www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 11 დეკემბერი, 2004 წელი. №294 (843) | ფასი 50 თეთრი

### სამართალი

## "საქაერონავიგაციის" ექვმიტანილი ყოფილი უფროსი "24 საათს" უჩივის

"24 საათი" რესპექტაბელური, აკადემიური გაზეთია, ეს სოლიდური გაზეთი მკითხველთა ფართო წრეებზეა გათვლილი, მეტად ვრცელდება, ვიდრე "ალია" და ამიტომაც, მისგან მოყენებული ზარალი მეტად შეფასდა - 25 ათას ლარად. გაზეთი "ალია" კი ყვითელი გაზეთია, შესაბამისად, მისგან მოყენებული ზარალი 15 ათასად შევაფასეთ," - ასე განმარტავს ადვოკატი გოჩა სვანიძე მისი საჩივრის ძირითად მოთხოვნებში არსებულ განსხვავებას. საქმე ისაა, რომ გოჩა სვანიძე "საქაერონავიგაციის" ყოფილი ხელმძღვანელის ალექსანდრე სილაგაძის ინტერესებს ვაკე-საბურთალოს სასამართლოში იცავს.

A7

### სამართალი

## არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ





A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

**გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4**

### ამინდი

| | 11/12 | 12/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 3 |
| ქუთაისი | 8 | 6 |
| ბათუმი | 9 | 8 |
| სოხუმი | 4 | 5 |
| ფოთი | 8 | 8 |
| თელავი | 5 | 1 |
| ზუგდიდი | 7 | 7 |
| გორი | 3 | 0 |
| ახმეტა | 4 | 1 |
| ჭიათურა | 5 | 2 |
| გაგრა | 1 | 3 |
| სამტრედია | 8 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.3380 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3790 |
| რუბლი | 0.0629 |

# როგორ და ასე, ბატონო პრეზიდენტო!

სოფო ბუკია

*ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 56-ე და "ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის თავს საქართველო კორუმპირებული მოსამართლეებით, პოლიციელთა მიერ პატიმრების ცემა-წამების ფაქტებით, რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემითა და სიტყვის თავისუფლების უკუსვლით ხვდება. ასე ფიქრობენ "თავისუფლების ინსტიტუტში"...*

**"პოლიტიკურ რიტორიკაში სიტყვები - ადამიანის უფლებები - სულ უფრო და უფრო იშვიათად ისმის. ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ლოზუნგებით მოვიდნენ, დღეს შოვინისტურ და შავრაზმულ განცხადებებს აკეთებენ. ამ ერთი წლის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ ახალი ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებების დაცვა პრიორიტეტული არ არის,"** - საქართველოში ადამიანის უფლებათა დამცველი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია, "ვარდების რევოლუციონერთა" მხარდამჭერი "თავისუფლების ინსტიტუტი" ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ასეთ განცხადებას აკეთებს.

"თავისუფლების ინსტიტუტში" აცხადებენ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მხოლოდ "ილუზორული პროგრესი" შეინიშნება.

**"ერთი მხრივ, კანონმდებლობის თვალსაზრისით, დემოკრატიული ნორმების აღიარება ხდება, მაგრამ ეს ნორმები ქაღალდზე რჩება. რეალობა აბსოლუტურად საწინააღმდეგოა,"** - აღნიშნა ლევან რამიშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის ხელოვნება




*რუსთაველის თეატრის ნოემბრის თვის გასტროლების შესახებ.*

# იუშენკოს წარმატებები პუტინის მოწინააღმდეგეთა რიგებს ამრავლებს

## ანუ რატომ დაკარგა რუსეთმა სტრატეგიული პერსპექტივა

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

*უკრაინის კრიზისი დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების, მათი გლობალური კონკურენციის შედეგია. უკრაინის წართმევით დასავლეთი საბოლოოდ მარხავს პუტინის "დერჟავულ" ამბიციებს. რუსეთმა ცივილიზებული მსოფლიოს თვალში სტრატეგიული პერსპექტივა დაკარგა და 1,5-2 წელიწადში სისტემური კრიზისის წინაშე აღმოჩნდება. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს რუსეთის გლობალიზაციის ინსტიტუტის დირექტორთან მიხაილ დელიაგინთან.*

**- ამ დღეებში ბევრი თქვენი კოლეგა ავლებდა პარალელს რუსეთის ჩარევაზე უკრაინისა და აფხაზეთის არჩევნებში. როგორი გაკვეთილების გამოტანა შეუძლია რუსეთს ამ ორი კრიზისიდან?**

- უკრაინის კრიზისი დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების, მათი გლობალური კონკურენციის აქტია. ართმევს რა უკრაინას რუსეთს, დასავლეთი საბოლოოდ მარხავს ოცნებებს რუსეთის "სუპერდერჟავობასა" და, შესაბამისად, უახლოეს მომავალში გლობალური ბაზრისათვის მისაწვდომ ეკონომიკურ ეფექტურობაზე, რაც მხოლოდ პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებით მიიღწევა. აფხაზეთში სიტუაციის ვითომ განმუხტვამ მოსკოვის ეფემერული გამარჯვება აჩვენა. ეს ეიფორია დიდხანს არ გასტანს, რადგანაც გარეშე ძალები ამას არ დაუშვებენ. ეს ორი მწარე მაგალითი რუსეთისათვის ცხადყოფს, რომ შეუძლებელია ასეთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რომელმაც თვალსაჩინოდ აჩვენა საკუთარი უგუნურობა და დამანგრეველი ძალა. მაგალითად, როგორც აფხაზეთში, ასევე უკრაინაში - მიმავალი პრეზიდენტის კაპრიზების შესრულება. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ უკრაინაში რუსეთის პოლიტიკის შესრულება პოლიტტექნოლოგებს გადაულოცეს, იმ, ბოდიში და, გარყვნილ ხალხს, ვინც რუსეთში დემოკრატიის მოსპობაზე მუშაობს. რუსეთს უკრაინა სწორედ მაშინ მოსწყდა, როცა პუტინმა იანუკოვიჩს დაუჭირა მხარი,

გაგრძელება A5 გვერდზე




## პიკეტი საზღვარზე

მაია მოსიაშვილი

*საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მდებარე სოფელ ვახტანგისში ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. ამ სოფლის აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა, ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, საზღვარზე პიკეტებს აწყობს და ეროვნული ნიშნით მათ დისკრიმინაციაზე საუბრობს.*

8 დეკემბერს ფინანსურმა პოლიციამ ვახტანგისში ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაატარა. რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტვირთი, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პირდაპირ სახლებიდან და თივის ზვინებიდან ამოიღეს. როგორც "24 საათს" ვახტანგისის გამგებელმა მარინა ირემაშვილმა განუცხადა, მოსახლეობის უკმაყოფილება განსაკუთრებით იმან გაამძაფრა, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე ქართველი მოქალაქე საზღვარზე ტვირთიანად გამოატარეს, აზერბაიჯანელებიდან კი ეს "პატივი" არავის ერგო. ირემაშვილის თქმით, ის მაშინვე შეეცადა ფინანსური პოლიციის უფროსისათვის, დავით კეზერაშვილისათვის აეხსნა, რომ ამგვარი ქმედება შემდგომში გართულებებს გამოიწვევდა. ვახტანგისში 600-მდე აზერბაიჯანული ოჯახია, ქართველები კი იქ მხოლოდ 49 კომლი დარჩა. გამგებელი შიშობდა, რომ აზერბაიჯანელების აგრესია თანასოფლელ ქართველებზე გადმოვიდოდა, მით უფრო, რომ ამგვარი რამ ამ სოფელში ადრეც მომხდარა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აქცია - სანქცია

დალი კუპრავა

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გუშინწინ დაწყებული აქცია გუშინ გაგრძელდა.* ***"ჩვენ მთელი ღამე აქ გავათიეთ და მზად ვართ, მივიღოთ ლომაია მოლაპარაკებაზე; მივიღოთ, როგორც სტუმარი, მისი სოროსის გუნდის გარეშე. გაგვცეს პასუხი",*** *- განაცხადა ზაზა სიამაშვილმა, უცხო ენების ფაკულტეტის ლექტორმა, რომელმაც გუშინწინ სააქტო დარბაზში გამართულ რექტორობის კანდიდატებთან შეხვედრას უთავკაცა, გუშინ კი აქციის რუპორ-რეპროდუქტორი იყო. იქნება თუ არა ის წამყვანი მოშიმშილე დღეიდან დაგეგმილ შიმშილობის აქციაში?*

კითხვაზე, თუ ვინ არიან უნივერსიტეტის აქციის ორგანიზატორები, პასუხი ასეთია: **"ჩვენ - სტუდენტები"**. თუმცა, აქციას მიკროფონიანი ლექტორი მართავს. **"ჩვენ გავმრავლდებით, ეს აქცია მასშტაბურში გადაიზრდება. დღეს ჩვენთან არის მთელი საქართველო. ვინც ნამდვილი ქართველია, ჩვენ შემოგვიერთდება,"** - რაოდენობრივი ზრდის პერსპექტივა დაუსახა შეკრებილ საზოგადოებას წამყვანმა.

ვინ იტყოდა უარს ნამდვილ ქართველობაზე! ჰოდა, შემოუერთდა აქციას "მთელი საქართველო" - რამდენიმეკაციანი (ზოგი ერთკაციანი) დელეგაციები პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან, სპორტის აკადემიიდან, გორიდან. როგორც გამოაცხადეს, სამედიცინო ინსტიტუტიც მალე იქ გაჩნდებოდა. ერთი ლოზუნგი იუწყებოდა: "თეატრალურიც თქვენთანაა". გამომსვლელთა საერთო კონცეპტუალური დევიზი იყო: "დავამხოთ ლომაიას დიქტატურა"! აქციას მუსიკალურ ფონად ქართულ სიმღერებს შენაცვლებული სასტვენების ხმა გასდევდა, რომელიც "ეროვნულ მუხტს" კიდევ უფრო "აძლიერებდა".

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 საზოგადოება | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ენერგეტიკა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# საქართველოში კვლავ ენერგოდეფიციტია

*დღეიდან საქართველოში კვლავ სერიოზული ენერგოდეფიციტია მოსალოდნელი, რასაც საფუძველს ენგურჰესზე მომხდარი მორიგი ავარია და კავკასიონის ხაზის სარემონტო სამუშაოები უქმნის.*

დიანა ჩაჩუა

პარასკევს დილიდან ავარიულად გამოირთო ენგურჰესის მეორე აგრეგატი, რის გამოც სადგურზე მუშა მდგომარეობაში მხოლოდ ერთი აგრეგატი დარჩა. ამიტომ, დღეისთვის საქართველოს ელექტროსისტემა დაახლოებით 200 მეგავატ ელექტროენერგიას კარგავს. როგორც საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ენერგოსისტემაში შექმნილი დეფიციტის გამო, რეგიონებში არსებული გრაფიკების დაცვა ვერ ხერხდება.

"ენგურჰესის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მეორე აგრეგატის შეკეთება ხუთ-ექვს დღეში იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება აგრეგატის დაზიანებას, ამის მიზეზად ჰესის ხელმძღვანელობა მის სიძველეს ასახელებს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, გუშინ ღამით, რუსეთთან დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი"-ს გამორთვა გახლდათ დაგეგმილი.

**"კავკასიონის" გამორთვის გამო, 24.00 საათიდან 08.00 საათამდე საქართველოში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდება,"** - აცხადებენ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში".

გადამცემი ხაზის გამორთვის მიზეზად რუსეთის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას ასახელებენ. ამიტომ, რუსეთის მხარემ ხაზის გამორთვა მოითხოვა.

რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტა დღის საათებში იყო დაგეგმილი, თუმცა საქართველოს ცენტრალური სადისპეტჩეროს თანამშრომლების მონაწილეობით მოლაპარაკებები შედგა და რუსული მხარე დათანხმდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები ღამის საათებში აწარმოოს. "კავკასიონის" მეშვეობით საღამოს პიკზე რუსეთიდან 240 მეგავატი შემოდის.

# "გადაიხადეთ მხოლოდ "თელასის" სერვის-ცენტრების სალაროებში!"

*"თელასის" თანამშრომელთა კეთილსინდისიერების საკითხს გამოძიება ადგენს. საქმე ისაა, რომ ფინანსურმა პოლიციამ "თელასის" სახელით თაღლითობის ფაქტზე კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოძიება დიღმის მასივში მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის მეპატრონის, ინგა შარაშენიძის განცხადების საფუძველზე დაიწყო. როგორც ირკვევა, შარაშენიძე დენის გადასახადთან დაკავშირებით არაერთხელ მოატყუეს.*

**"განცხადებაში დაზარალებული მიუთითებდა, რომ ის ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს "თელასის" თანამშრომელს, ზურაბ გაგნიძეს უხდიდა, რომელსაც მაღაზიაში თავადვე მიჰქონდა ქვითრები. დაზარალებულმა მასვე გადაუხადა გაუმართაობის მოტივით მრიცხველის შეცვლისთვის საჭირო 50 დოლარი. ამავე გაგნიძის სახელით, წერილით მისულ უცხო პიროვნებას კი 240 ლარი გადასცა უნებართვო ხაზის გაყვანისთვის. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ მაღაზია "ქეთის," გადაუხდელობის გამო, "თელასის" დიდი დავალიანება დაუგროვდა,"** - განგვიცხადეს ფინანასურ პოლიციაში.

როგორც გაირკვა, ზურაბ გაგნიძე მართლაც მუშაობს "თელასში" ტექნიკოსად. ფინანსურ პოლიციაში დაკითხვისას, მან კატეგორიულად უარყო მაღაზიის მეპატრონის ინგა შარაშენიძის ბრალდებები.

**"შემოწმებით დადგინდა, რომ მრიცხველის გამოცვლა საჭირო არ იყო, რადგან მის გაუმართაობაზე მაღაზიას "თელასისთვის" არ მიუმართავს. ამას გარდა, გაფორმებულ საბუთებში მხოლოდ მრიცხველის შეკეთება იყო მითითებული. შემოწმებით ისიც დადგინდა, რომ გამოცვლილი მრიცხველი აბსოლუტურად საღი იყო და გამართულადაც მუშაობდა,"** - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

"თელასის" თანამშრომლის ზურაბ გაგნიძის სახელით, ინგა შარაშენიძის მაღაზიაში უცხო პიროვნებას წერილი მიუტანია, ამ წერილის შინაარსით ირკვევა, რომ ეგრეთ წოდებული "ლევი ხაზის" გასაყვანად გაგნიძე 240 ლარს ითხოვდა. მაღაზიამ ეს ფული წერილის მიმტანს გადასცა, თუმცა, როდესაც არც ეს ხაზი გამოჩნდა და არც გაგნიძე, მაღაზიის პატრონმა, "თელასის" თანამშრომელს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. გაგნიძემ განაცხადა, რომ მან წერილის შესახებ არაფერი იცოდა. როგორც პოლიციაში განმარტავენ, უცნობი, რომელმაც მაღაზიის მეპატრონეს წერილი გადასცა, მოგვიანებით დაემუქრა კიდეც, მომხდარი სამართალდამცველებისთვის არ შეეტყობინებინა. ინგა შარაშენიძემ პოლიციას მართლაც განუცხადა, რომ "თელასის" თანამშრომლებთან პრეტენზიები აღარ ჰქონდა.

**"ყველაფრის მიუხედავად, ფინანსურ პოლიციაში ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მაინც აღიძრა და გამოძიებაც მიმდინარეობს. "თელასის" სახელით მსგავსი თაღლითობის არაერთი ფაქტია გამოვლენილი. მოსახლეობას კატეგორიულად ვაფრთხილებთ, რომ დენის გადასახადი მხოლოდ "თელასის" სერვის-ცენტრების სალაროებში გადაიხადონ,"** - გვითხრეს ფინანსურ პოლიციაში.

*24 საათი*

# უშიშროებამ ქურდობისათვის მარტყოფის ყოფილი გამგებელი დააკავა

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა მარტყოფის ყოფილი გამგებელი ანზორ დილებაშვილი დააკავეს.

როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, დილებაშვილს მარტყოფის ტერიტორიაზე მდებარე გაჯის საამქრო ეკუთვნის, რომლის ფუნქციონირებისთვის დააზიანა მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი მაგისტრალური გაზსადენი და გაზს იპარავდა. დაკავებული უკვე გადაყვანილია უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით არის აღძრული, რომელიც 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# "ახალი მემარჯვენეები" - რწმუნებულისა და პოლიციის უფროსის წინააღმდეგ

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" გორის ორგანიზაციის წარმომადგენლები შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს მიხეილ ქარელსა და სამხარეო პოლიციის უფროსს ალექსანდრე სუხიტაშვილს კონტრაბანდისტთა მფარველობაში ადანაშაულებენ.

"ახალი მემარჯვენეების" გორის რაიონული ორგანიზაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ფანიაშვილმა, ამ ბრალდების გარდა, შიდა ქართლში ბოლო პერიოდში გართულებულ კრიმინოგენულ ვითარებაზეც ისაუბრა და, აქედან გამომდინარე, სამხარეო პოლიციის უფროსის, ალექსანდრე სუხიტაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ახალი მემარჯვენეები" სამხარეო პოლიციის შენობასთან აქციების გამართვას გეგმავენ.

"ახალი მემარჯვენეების" ამ ბრალდებაზე შიდა ქართლის რწმუნებულს კომენტარი არ გაუკეთებია. ალექსანდრე სუხიტაშვილი კი აცხადებს, რომ "უსაქმურობით დაღლილი ოპოზიცია საზოგადოების ყურადღების მიქცევას ამგვარი უსუსური განცხადებებით აპირებს."

*ინტერ-პრესი*

# აქცია - სანქცია




ბესო გულაშვილის ფოტო

*აქცია უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.*

პირველი გვერდიდან

ყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი პარლამენტარი, გიორგი კობახიძე: **"ეს აქციაა. ასეა მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება აქციის მოთხოვნას - თუ ლომაია გადადგება, მაშინ კანონპროექტს პარლამენტი არ მიიღებს და რელიგია გადარჩება - ეს ჯაჭვური რეაქციაა".**

კახა ქორიძე ("ღიმილის ბიჭი", როგორც აქციის წამყვანმა წარუდგინა საზოგადოებას): **"ჩვენ უნდა ვიმუშაოთ გაუმჯობესებაზე და არა დასანგრევად".**

სტუ-ის წარმომადგენელი სტუდენტი (იგივე დელეგაცია): **"ჩვენ მოვითხოვთ მინისტრის გადადგომას; სახელმწიფო უნივერსიტეტის და, საერთოდ, უნივერსიტეტის საქმეებში ჩაურევლობას; ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ახალგაზრდობა".**

რა თქმა უნდა, ეს აქცია განვითარდება-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის, რადგან ვიცი, რომ, "ამდენი" კაცის მოთხოვნის მიუხედავად, ალექსანდრე ლომაია მაინც არ გადადგება, რომ კანონპროექტი, სპეციალისტების შენიშვნების გათვალისწინებით, პარლამენტში დამტკიცდება, რომ სექსუალური განათლება სახელმწიფო პროგრამაში არ დევს და თუ დამოუკიდებლობამინიჭებული დირექტორი მაინც შეიტანს, ეს მისი სკოლის საზოგადოების ნებაა; ქართული სიმღერა კი მღერის, თავისუფლება ლომთა ხვედრიაო.

მართალია, უნივერსიტეტს ჯერ რექტორი არ ჰყავს, მაგრამ ჰყავს სამეცნიერო საბჭო, ორასი მეცნიერითა და პედაგოგით.

# პიკეტი საზღვარზე

პირველი გვერდიდან

გამგებლის შიში იმ დღესვე გამართლდა - აზერბაიჯანული მოსახლეობა საზღვარზე გადმოტარებულ მიკროავტობუსს, რომელშიც ქართველები ისხდნენ, თავს დაესხა და დაამტვრია.

მეორე დღეს, 9 დეკემბერს, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა. საქმე ისაა, რომ ხუთშაბათობით, საქართველოდან აზერბაიჯანში მოვაჭრეებით დატვირთული, დაახლოებით, 20-30 ავტობუსი გადადის. ვახტანგისელმა აზერბაიჯანელებმა, ძირითადად ქალებმა, საზღვარი გადაკეტეს და არც ერთი ავტობუსი არ გაატარეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ქართველებს ვაჭრობის საშუალებას არ მისცემდნენ. პიკეტის დაშლა პოლიციამ ვერ მოახერხა და რამდენიმე ათეული ავტობუსი უკან გამობრუნდა.

ვახტანგისის აზერბაიჯანული მოსახლეობა კვლავაც აპირებს საზღვრის პიკეტირების გაგრძელებას. ამ სოფელში მცხოვრები ქართველები კი აცხადებენ, რომ, სამწუხაროდ, ფინანსური პოლიციის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, აზერბაიჯანელებს საბაბი მიეცათ, თავიანთი ქმედება გაამართლონ.

დღეს ვახტანგისის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არეულობას ისევ ელიან, რადგან აზერბაიჯანის მხრიდან მოვაჭრეები თავიანთი საქონლით სწორედ დღეს დილით უნდა გადმოვიდნენ. ჯერჯერობით უცნობია, რა ზომებს მიიღებს ხელისუფლება იმისათვის, რომ საზღვრის ამ მონაკვეთზე მუშაობა ნორმალურ რიტმში გაგრძელდეს.

# საქართველოს არ ახსენებენ, მაგრამ გულისხმობენ

## რუსეთი პანკისს არ ეშვება

ნინო გომართელი

**"რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მზად არის, უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე არსებულ ტერორისტთა ბაზებზე პრევენტული დარტყმები განახორციელოს,"** - მსგავსი განცხადებების რუსულ პრესაში გამოჩენა უკვე პერმანენტულ ხასიათს იძენს.

მორიგი ინფორმაცია ამჯერად "ნეზავისიმაია გაზეტას" ფურცლებზე გამოჩნდა, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ **"სავარაუდოდ, საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენ ტერორისტთა ბაზებზე."**

**"თავდაცვის სამინისტროს წყარო დაჟინებით ითხოვდა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას, რაც შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ მოსკოვს საქართველოს ხელისუფლებისათვის ერთგვარი "მესიჯის" გაგზავნა სურდეს,"** - წერს ჟურნალისტი.

სტატიაშივე მოყვანილია ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის მართვის რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის ილია შაბალკინის განცხადება, რომელმაც ადრე ჟურნალისტებს პანკისის ხეობაში რამდენიმე ასეული ჩეჩენი და უცხოელი ბოევიკის ყოფნა დაუდასტურა.

მისი ინფორმაციით, მოკლული საველე მეთაურის, რუსლან გილაევის 200-ზე მეტი მომხრე სოფლების - დუისის და ხალაწანის მიდამოებში იმყოფება. **"შედარებით მცირე კიდევ ერთი ჯგუფი ომალოსა და წინუბნის მიდამოებშია. ბოევიკთა ჯგუფი სოფელ ბირკიანის მახლობლადაც აფარებს თავს. მის შემადგენლობაში დაახლოებით 30 უცხოელია, რომლებიც ერთმანეთს თურქულ ენაზე ესაუბრებიან. ბოევიკთა შორის არაბებიც არიან,"** - განაცხადა შაბალკინმა.

მისივე მონაცემებით, პანკისში უსამა ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლის, აბუ ჰაფსის წარმომადგენლები - აბუ ათია და აბუ რაბია იმყოფებიან. არაბები სოფელ ხალაწანში არიან განთავსებული.

ამასთან, შაბალკინმა უარყო ვარაუდი, რომ რეგიონულმა ოპერატიულმა შტაბმა ტერორისტთა ბაზებს, შესაძლოა, პრევენციული დარტყმა მიაყენოს.

**"მზად ვართ, მათ საზღვარზე დავხვდეთ. თუმცა საეჭვოა, უახლოეს ხანში მათ რუსეთის ტერიტორიაზე შემოაღწიონ. გადასასვლელები თოვლითაა ჩახერგილი და 2005 წლის ივნისამდე დახურული იქნება,"** - თქვა შაბალკინმა.

აღნიშნული სტატია მხოლოდ და მხოლოდ რუსული პრესის მიერ მორიგი პროვოკაციის მცდელობა იქნებოდა, რომ არა კიდევ ერთი გარემოება - რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გუშინვე, სამხედრო-დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მოსკოვს უფლება აქვს, პრევენტული დარტყმები განახორციელოს ტერორისტულ ბაზებზე და იქვე ხაზი გაუსვა, რომ ამისათვის საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი ბაზაც არსებობს.

**"რუსეთის სამხედრო დოქტრინის შესაბამისად,** - აღნიშნა მინისტრმა, - **იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმი ქვეყანას ემუქრება, აგრესიის თავიდან აცილებისა და ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიარაღებული ძალების გამოყენებას კანონიერად მივიჩნევთ."**

**"ერთადერთი შეზღუდვა საერთაშორისო ნორმები და ბირთვული იარაღის გამოუყენებლობაა. სხვა ყველა მეთოდი, ჩემის აზრით, მისაღებია,"** - დაამატა რუსეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.

**"საქართველოს ტერიტორიაზე არანაირი ჩეჩნური ბაზები და დაჯგუფებები არ არის,"** - ხაზგასმით თქვა რუსი კოლეგის განცხადების კომენტირებისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და იქვე დაამატა: **"რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში კარგად იციან, რომ საქართველოში ტერორისტული ბაზები არ არის. თუ ვინმე მართლა აცხადებს, რომ მზად არის, ჩვენს ტერიტორიაზე დარტყმები განახორციელოს, მაშინ ეს გაუაზრებელი განცხადება და მოქმედებაა, რითიც რუსეთის ხელისუფლება საკუთარ თავს რთულ პოლიტიკურ და უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებს."**

**"რასაკვირველია, მსგავსი დარტყმების განხორციელების შემთხვევაში, საქართველო ვალში არ დარჩება, ისე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, და ადეკვატურ ზომებს მიიღებს. კონკრეტულად, რა ქმედებები განხორციელდება, ეს მოგვიანებით გახდება ცნობილი,"** - ხაზი გაუსვა გიორგი ბარამიძემ.

# არაორდინალური მხარდაჭერა უკრაინელებს

კონსერვატორების პარტიის წარმომადგენლებმა გუშინ მასმედია დაპატიჟეს და საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს აუწყეს, რომ ისინი 20 დეკემბერს უკრაინელებს ხელდამშვენებული ესტუმრებიან. კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური 30 წლის წინ დონეცკის ერთ-ერთი ტაძრიდან გაუჩინარებულ, მე-18 და მე-19 საუკუნის ხატებს უკრაინელ ხალხს ჩაუტანენ.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა მასმედიას გააცნეს მხატვარ-რესტავრატორი ოთარ მანგოშვილი, რომელმაც ხსენებული ხატები 30 წლის წინ მოსკოვში შეიძინა.

მართალია, "კონსერვატორების" ლიდერები უკრაინაში იუშენკოს მხარდასაჭერად მიემგზავრებიან, მაგრამ მათი ღრმა რწმენით, დაკარგული ხატების სამშობლოში დაბრუნება ხელს შეუწყობს უკრაინელი ერის გამთლიანებას. "ეს იქნება ჩვენი მოკრძალებული წვლილი," - განაცხადეს ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა, რომელთაც პრესკონფერენციაზე თბილისის საკრებულოს წევრი კოტე ჩოლოყაშვილიც ჰყავდათ მიწვეული.

უკრაინაში გამგზავრებამდე დავითაშვილი და ძიძიგური ხატების გატანის საკითხს კულტურის სამინისტროს შეუთანხმებენ, რათა საზღვარზე პრობლემები არ შეექმნათ.

## მოკლედ

### ავტოკატასტროფა კახეთის გზატკეცილზე

რამდენიმე ადამიანი დაშავდა გუშინ საღამოს, კახეთის გზატკეცილზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად. ლილოს მიმართულებით მოძრავი, მგზავრებით სავსე მიკროავტობუსი ბორდიურს შეეჯახა და ამობრუნდა. ავტოავარიის შედეგად დაზარალებულები თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაღუპულთა შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გუშინ არ გავრცელებულა. სამართალდამცველების განცხადებით, მოძრავ სამარშრუტო მიკროავტობუსს საბურავი გაუსკდა და სწორედ ეს გახდა მისი გადაბრუნების მიზეზი. გუშინვე გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ავტოავარიას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

*24 საათი*

### საპროტესტო აქცია ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გუშინ თბილისში, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებულმა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეები საქართველოს ხელისუფლებას ადამიანის უფლებების შეზღუდვაში ადანაშაულებენ. მათი აზრით, ამ მხრივ საქართველოში საკმაოდ საგანგაშო ვითარება შეიქმნა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, ქვემო ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სოსო მაზმიშვილი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია და მის ადგილს სახელმწიფო მინისტრი რეგიონებთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ მელიქიშვილი დაიკავებს. როგორც გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება ქვემო ქართლში არსებული რთული ვითარებით არის განპირობებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ადამიანის უფლებათა და სადოკუმენტაციო ცენტრმა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს გასული წლის შედეგები შეაჯამა. ცენტრი პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ტენდენციებზეც ამახვილებს ყურადღებას. ცენტრის ანგარიშში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები ადამიანის უფლებების დარღვევის, სიცოცხლის უფლების წართმევის, უკანონო დაკავებების და პოლიტპატიმრების რიცხვის ზრდის შემაშფოთებელ ტენდენციებზე. პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსანი პირების გამონათქვამები ნაკლებად უბიძგებს სამართალდამცავებს ადამიანის უფლებათა დაცვისკენ, - ნათქვამია ანგარიშში. მასში ასევე ყურადღებაა გამახვილებული "ვარდების რევოლუციის" წინა დღეს პრეზიდენტის დასაცავად გამოსული ჯავშანტრანსპორტიორის შეჯახების შედეგად ორი ადამიანის დაღუპვის ფაქტზე, რის გამოც დამნაშავე, ჯერჯერობით, არავის დაუსჯია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკისთვის გაზის მიწოდების უფლების მოსაპოვებლად "თბილგაზმა" ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა. "თბილსრესისთვის" "თბილგაზის" პირობები და, მათ შორის, აირის ფასიც მისაღებია. იმ შემთხვევაში, თუ "თბილსრესი" მიღებული აირის საფასურს სრულად გადაიხდის, ეს "თბილგაზის" ეკონომიკურ მაჩვენებელს გააუმჯობესებს. 15 დეკემბერს მე-3 ენერგობლოკის ჩართვაა დაგეგმილი. "თბილგაზი" ენერგობლოკს დღე-ღამის განმავლობაში თვენახევრის მანძილზე მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიაწვდის. ენერგობლოკი 110 მგვტ სიმძლავრით იმუშავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგოომბუდსმენი დავით ებრალიძე საათის უკან გადაწევას თვენახევრის შემდეგ აპროტესტებს და ენერგეტიკაში შექმნილ პრობლემებზე საუბრობს. როგორც გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ებრალიძემ განაცხადა, ენერგეტიკაში ეგრეთ წოდებული "საღამოს პიკი" ერთი საათით გაიზარდა, რამაც თვეში 350 ათასი ლარით მეტი დანახარჯი გამოიწვია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის თანახმად, 5 ათას ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე მიწის მესაკუთრე მიწის გადასახადისგან გათავისუფლდება. ასევე გადასახადებისგან გათავისუფლდება სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება და დღგ დაეკისრება მხოლოდ 100 ათას ლარზე მეტი სასაქონლო ბრუნვის მქონე საწარმოს. ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსით ამ გადასახადებისგან თავისუფლდება მხოლოდ ის მეწარმე, რომელიც ფერმერულ მეურნეობაში დაქირავებულ შრომას არ გამოიყენებს. ცნობისთვის: ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი პარლამენტმა მეორე მოსმენით 9 დეკემბერს მიიღო. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




სოფო ბუკიას სვეტი

# იკითხეთ კონსტიტუცია!

### იქ საკუთარი თავის შესახებ ძალიან ბევრ რამეს გაიგებთ

**10 დეკემბერს მსოფლიოს ცივილიზებული და მეტ-ნაკლებად განვითარებული ნაწილი ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.**

**ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია 1948 წელს მიიღეს.**

**ადამიანის უფლებებს ყველა ქვეყნის კონსტიტუცია აღიარებს, თუმცა ძალიან ხშირად მათი დაცვა არ ხდება. ადამიანის უფლებები ირღვევა ბევრად უფრო განვითარებულ ქვეყნებშიც, ვიდრე საქართველოა.**

**მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ამ უფლებების ბოლომდე გაგება და მიღება ძნელია, თუ ადამიანის "ღვთაებრივი" საწყისის არ გჯერა. თუ გჯერა, მაშინ ყველაფერი მარტივდება, მაშინ იცი, რომ ადამიანის უფლებები ღვთის მიერაა მინიჭებული და არა ადამიანების მიერ.**

**ადამიანებს არა აქვთ უფლება, ხელყონ ის, რაც ღვთისგანაა. მაგალითად, ადამიანები არ უნდა კლავდნენ ერთმანეთს, მათ შორის, სიკვდილით დასჯის გზითაც, რადგან სიცოცხლე ღვთის კომპეტენციაა და როცა ადამიანი გადაწყვეტს, რომ ის ღმერთია, მაშინ ყველაფერი თავდაყირა დგება.**

**მიუხედავად ამისა, ადამიანები განუწყვეტლივ კლავენ ერთმანეთს - საკუთარი ინიციატივით, სახელმწიფოს სახელით და, რაც მთავარია, დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამაში არასწორს ვერაფერს ხედავს. კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა იმის გაცნობიერებისგან, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ადამიანთან ერთად იბადება, ისე, როგორც ეს ჩვენს კონსტიტუციაშია ჩაწერილი.**

**ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ჩვენს კონსტიტუციას წუნს ვერ მოუძებნი - იქ ყველა საჭირო სიტყვას და ფრაზას იპოვი. სხვა საკითხია, რამდენად დაცულია ეს სიტყვები და ფრაზები.**

**ვნახოთ მე-14 მუხლი: "ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია." დაცულია? რა თქმა უნდა, არა. მართალია, ჩვენს კონსტიტუციაში პირდაპირ არ წერია, რომ მაღალჩინოსანს გაცილებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე მის ქვეშევრდომს და რომ ამ მაღალჩინოსნის უკანონო ქმედების დამტკიცება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუ საამისოდ ამ მაღალჩინოსანზე კიდევ უფრო მაღალი მაღალჩინოსნის პოლიტიკური ნება არ იქნა, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ასეა...**

**მუხლი მე-13: "საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს, განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა." კი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მაშინ მფარველობს, როცა ეს მოქალაქე წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. იქვე, იმავე საკანში ხდება კონსტიტუციის კიდევ ერთი, მე-17 მუხლის "რეალიზება" - "დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება."**

**კიდევ, ჩვენი კონსტიტუცია ამბობს, რომ "საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას." რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ მიხვიდეთ ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში და მოითხოვოთ ნებისმიერი ინფორმაცია, ოღონდ სანამ ამ გზას დაადგებით, აღიჭურვეთ რკინის ნერვებით, ურყევი ჯანმრთელობით და ძალიან ბევრი თავისუფალი დროით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობაა, ერთი ინსტანციიდან მეორეში სირბილით ჭკუიდან შეიშალოთ.**

**ჰო, კიდევ: "არავის არა აქვს უფლება... ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა." თუ როგორ არის დაცული ეს მუხლი, ამას ჩვენ თითქმის ყოველდღე ტელეეკრანებიდან ვხედავთ.**

**კონსტიტუციის 32-ე მუხლი გვეუბნება: "საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით." კიდევ, უზრუნველყოფილი და განსაზღვრულია პენსია და სხვა სოციალური დახმარებები. შეიძლება, უზრუნველყო ისეთი პენსია, რომელიც გეყოფა ერთი თვე, ერთი კვირა ან ერთი დღე. ამის უფლებას კონსტიტუცია იძლევა, ოღონდ მთავარია, განსაზღვრული იყოს...**

**სამწუხაროა, რომ ადამიანები კონსტიტუციას არ კითხულობენ. იქ საკუთარი თავის შესახებ ძალიან ბევრ რამეს გაიგებდნენ...**

# როგორ და ასე, ბატონო პრეზიდენტო!

პირველი გვერდიდან

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ყურადღება, ძირითადად, სასამართლოზე, როგორც ადამიანის უფლებების დამცველ მთავარ ინსტიტუტზე, გამახვილდა.

**"დღევანდელი ქართული სასამართლო ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დარღვევას,"** - აღნიშნეს გუშინ და იმ 22 მოსამართლის გვარიც დაასახელეს, **"რომელთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არათუ საქართველოს კანონმდებლობას, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს არღვევს."**

**"სასამართლო რევოლუციამდე გადაწყვეტილებას პოლიტიკური კონიუნქტურით იღებდა და ასევე აგრძელებს დღესაც,"** - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თამარ კინწურაშვილი და მაგალითად ერთი კურიოზული საქმე მოჰყავს:

"ვარდების რევოლუციამდე" იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა ქუთაისის საოლქო სასამართლოში ერთ-ერთი პირის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და სასამართლო დავა მოიგო. შაშიაშვილის გამნაწყენებელს მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. რევოლუციის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების შეცვლა დაავალა. ქუთაისის საოლქო სასამართლოში დავით მუმლაძე დაიბარეს, როგორც შაშიაშვილის უფლებამონაცვლე, თუმცა საქმე შაშიაშვილის პატივსა და ღირსებას ეხებოდა. მუმლაძე პროცესზე არ გამოცხადდა და ამიტომ შაშიაშვილს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. საბაჟო გადასახადი 5 ათასი ლარი დაეკისრა მოსარჩელეს - შაშიაშვილს. და როცა შაშიაშვილს ამ თანხის გამოსართმევად მიადგნენ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, ჭაღის ჩამოხსნა დააპირეს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" "შავ სიაში" უზენაესი სასამართლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ხარაგაულისა და გორის რაიონული სასამართლოების, ასევე მთაწმინდა-კრწანისის, დიდუბე-ჩუღურეთის და ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოების 22 მოსამართლე მოხვდა. მათ წინააღმდეგ "თავისუფლების ინსტიტუტი" უახლოეს დღეებში სარჩელს იუსტიციის საბჭოში აღძრავს.

**"კორუმპირებული და არაკომპეტენტური მოსამართლეების დასჯა ნომერ პირველი ამოცანა უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვინდა. თუკი ამ მოსამართლეებს პასუხი არ მოეთხოვებათ, მაშინ ჩვენს მოქალაქეებს სამართლებრივი სახელმწიფოს რწმენა არასოდეს ექნებათ,"** - აღნიშნა ლევან რამიშვილმა.

აკაკი მინაშვილის თქმით კი, **"ეს სია არასრული და სწრაფად მზარდია."**

როგორც გუშინ აღინიშნა, "თავისუფლების ინსტიტუტი" ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო "საჩივრებს" უფრო ხშირად რეგიონებიდან იღებს. ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, "უბედურების ზონად" გორი დასახელდა, სადაც განსაკუთრებით "მოდაშია" ჟურნალისტების უფლებების დარღვევა. ლევან რამიშვილის თქმით, გორში "ხალხის გაზეთის" მთავარი რედაქტორი აბსოლუტურად უკანონოდ იქნა დაპატიმრებული და მსგავსი შემთხვევები იქ ძალიან ბევრია.

გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორთა მონაცემებით, ადამიანის უფლებების დარღვევა წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი პოლიციის მიერაც. "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ, პოლიციის ძალადობის კუთხით, დაახლოებით 106-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული.

კვლავ არსებობს რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემაც, **"რომელმაც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სახე იცვალა და თუ აქამდე განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანებს დევნიდნენ, ამჯერად მართლმადიდებელ დისიდენტებს ერჩიან."**

და რაც ყველაზე მთავარია: "თავისუფლების ინსტიტუტი" აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სიტყვის თავისუფლების უკუსვლაც შეინიშნება.

**"ამ ფაქტს ყველა აღნიშნავს, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა, რომელიც ამას შიდა სარედაქციო პრობლემად ასაღებს. ფაქტია, რომ ის კორუფციული გარიგება რომ არა, რომელიც დღეს ელექტრონული მედიის მესაკუთრეებსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის არსებობს, სიტყვის თავისუფლების ხარისხი გაცილებით უფრო მაღალი იქნებოდა,"** - აცხადებს რამიშვილი.

**"პრეზიდენტს? რა თქმა უნდა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტს ვხვდებით, ამ საკითხებზე ვამახვილებთ ყურადღებას. ის რას ამბობს? ის ოლიმპიური გამომეტყველებით გვისმენს და გვეკითხება: მართლა? ეს არ ვიცოდი, ეს როგორ..."** - პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალები გაიხსენა გუშინ ლევან რამიშვილმა.

თვალსაზრისი

# რექტორობის კანდიდატები და მათი შანსები

ვანო ესებუა

მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები გაიმართება. კანდიდატთა ასეთი სიმრავლე დედაუნივერსიტეტს ჯერ არ ახსოვს (გემოვნებიან მკითხველს ამ *კომპოზიტისათვის - დედაუნივერსიტეტი* - ბოდიშს ვუხდი, მაგრამ, რადგან რექტორობის კანდიდატთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სწორედ ასე მოიხსენიებს, მეც მათ მივბაძავ). თავიდან რეგისტრაცია ექვსმა კანდიდატმა, რუსუდან ლორთქიფანიძემ, გუგული მაღრაძემ, ლარისა ყორღანაშვილმა, მიხეილ ქურდიანმა, ლერი ქურდაძემ და რევაზ გაჩეჩილაძემ გაიარა. თუმცა, ამ უკანასკნელმა თავისი კანდიდატურა მას შემდეგ მოხსნა, რაც საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. ექვსწლიანი პროგრამის მქონე 61 წლის რექტორობის კანდიდატს, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ "კეთილგონიერება" პარლამენტში მაინც იზეიმებდა და 65 წლიანი ასაკობრივი ზღვრის იდეას იქ მაინც უარყოფდნენ. თუმცა, ბატონ რევაზს ეს იმედი არ გაუმართლდა. ასევე 61 წლის რექტორობის მეორე კანდიდატი ბატონ ლერი ქურდაძე, ეტყობა, თვლის, რომ მის მიერ გასაკეთებელ საქმეს ოთხ წელიწადშიც მოასწრებს და შემდეგ გზას სხვას გადაულოცავს. თუმცა ამ ოთხ, ან ექვსწლიან პერსპექტივებს შესაძლოა, უმაღლესი განათლების კანონის მეორედ მოსმენამ საერთოდ აზრი დაუკარგვინოს. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სრული ავტონომიის მინიჭებამდე, მაქსიმუმ ორწლიანი "კონტროლირებადი" ვადა დააწესოს. კანონპროექტის გარდამავალი დებულებების 87 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, კანონის მიღება ყველა რექტორის განთავისუფლების საფუძველი ხდება. პრეზიდენტს უფლება ენიჭება, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ან მოქმედი რექტორი დატოვოს, ან მის მაგივრად სხვა პროფესორი დანიშნოს იგივე უმაღლესიდან. ეს პირი ვალდებულია, 6 თვის განმავლობაში სამინისტროს დასამტკიცებლად ახალი კანონმდებლობის შესაბამისი საუნივერსიტეტო დებულება წარუდგინოს, შემდეგ კი, არაუგვიანეს ორი წლის განმავლობაში, ამ დებულებით რექტორის ახალი არჩევნები ჩაატაროს. თეორიულად შესაძლებელია, რომ მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა ახალ არჩევნებზეც დადგეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები და უმაღლესი განათლების კანონის მეორე და მესამე მოსმენით მიღება დროში ერთმანეთს თითქმის ზუსტად ემთხვევა. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ზემოთ ნახსენებ მუხლებს მიიღებს და სავარაუდოდ, ასეც მოხდება კიდეც, რადგან, როგორც ამბობენ, პრეზიდენტიცა და უმრავლესობაც ერთ აზრზე არიან, მაშინ იმისდა მიუხედავად, თუ ვის აირჩევენ უნივერსიტეტში, იქ მოვალეობის შესრულებას, ალბათ, მაინც ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე გააგრძელებს. იგი წარუდგენს განათლების სამინისტროს უნივერსიტეტის ახალ დებულებას და მომავალ არჩევნებსაც იგი მოამზადებს. მასვე მიეცემა უფლება, მომავალ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურაც დააყენოს. თუმცა, თუ იგი არ იჩქარებს, 58 წლის ქალბატონს სრულუფლებიანი რექტორის სრული ციკლის შესასრულებლად დრო აღარ დარჩება. თუმცა აირჩევენ თუ არა მომავალ, უკვე რეალურ და ავტონომიურ არჩევნებში რუსუდან ლორთქიფანიძეს, ეს მთლიანად მასზე და მის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. ახალი კანონპროექტის შესაბამისი დებულება მას აღარ მისცემს საშუალებას, როგორც ეს ძველი რექტორის დროს ხდებოდა, სამეცნიერო საბჭო რექტორისადმი ლოიალურად განწყობილი დეკანებითა და კათედრის გამგეებით დააკომპლექტოს. აკადემიურ საბჭოს მთლიანად ფაკულტეტების მიერ არჩეული პროფესორები შეავსებენ. ფაკულტეტის დეკანები ახალ აკადემიურ საბჭოში, ახალი კანონმდებლობის თანახმად, საერთოდ ვერ მოხვდებიან. ეს კი ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეს, სავარაუდოდ, საშუალებას მისცემს, შედარებით ობიექტურად შეასრულოს ის უფლებამოსილება, რომელსაც გარდამავალი დებულებები დამატებით ანიჭებს. კერძოდ კი, იგივე 87-ე მუხლის მეორე პუნქტი მას უფლებას აძლევს, თანამდებობიდან გაანთავისუფლოს უკლებლივ ყველა ფაკულტეტის დეკანი, მისივე უფლებაა, ფაკულტეტებს ასარჩევად იგივე კანდიდატურები წარუდგინოს. ბუნებრივია, მოქმედი ფაკულტეტის დეკანები რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლოიალობის მოპოვებას მაქსიმალურად შეეცდებიან, მაგრამ, რახან რექტორის მომავალი არჩევნები დეკანების ხმებზე აღარ იქნება დამოკიდებული, ეს ქალბატონ რუსუდანს გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს.

### ჭორ-მართალი რექტორობის კანდიდატების შესახებ, ანუ რას ამბობენ ჩურჩულით

რექტორობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის შეგროვება საკმაოდ გაჭირდა, უფრო სწორად, დასაბუთებული და დაზუსტებული ინფორმაციების მოპოვება გაჭირდა, თორემ ისე, თუ მთქმელის გვარსა და სახელს არ დაასახელებ, უნივერსიტეტის თანამშრომლები ყველაზე და ყველაფერს საუბრობენ. ამიტომაც ისღა დაგვრჩენია, წყაროდ უნივერსიტეტის საიტზე გამოქვეყნებული რექტორობის კანდიდატების ბიოგრაფიები და წინასაარჩევნო პროგრამები გამოვიყენოთ და თან ცოტა კულუარულ ინფორმაციებსაც დავეყრდნოთ.

როგორც ცნობილია, 13 დეკემბერს უნივერსიტეტის რექტორობისათვის ხუთი კანდიდატი იბრძოლებს: ქალბატონები ლარისა ყორღანაშვილი, გუგული მაღრაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე და ბატონები ლერი ქურდაძე, მიხეილ ქურდიანი.

ჩამოთვლილთაგან პირველი ორი ქალბატონი რექტორობის რეალური პრეტენდენტობიდან მაშინვე შეგვიძლია გამოვრიცხოთ. მათ კანდიდატურას არც უნივერსიტეტში და არც მის გარეთ სერიოზულად არავინ განიხილავს. ქალბატონი ლარისა ყორღანაშვილი კანდიდატთა ისეთ განსაკუთრებულ ტიპს განეკუთვნება, რომელიც ქვეყანაში პრეზიდენტობის არჩევნების დროსაც იჩენს ხოლმე თავს: უცებ გამოჩნდებიან გვარები, რომელიც აქამდე არასდროს არავის სმენია და არჩევნების ჩავლის შემდეგ ყველას ასევე ადვილად ავიწყდება. არაფრით მესმის, რატომ იწუხებს ხოლმე ეს ხალხი ასე თავს, მაგრამ, ეტყობა, არის ამაში რაღაც გარკვეული თვითკმაყოფილური ხიბლი. რაც შეეხება ქალბატონ გუგული მაღრაძეს, მისი გვარი ქალბატონ ლარისასთან შედარებით, უფრო ცნობილი და ხმაურიანია (იგი ნაციონალების სიით გასული საქართველოს პარლამენტის დეპუტატიც გახლავთ), მაგრამ როგორც ამბობენ, ამ ხმაურს უფრო თავად ქალბატონი გუგულის აქტიუროობები იწვევს ხოლმე. უნივერსიტეტელებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ქალბატონმა გუგულიმ მშობლიურ ფსიქოლოგიის კათედრაზე თავისი კანდიდატურა თავადვე დააყენა და ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მისი მხარდაჭერა ჩვეული აქტიურობით მოსთხოვა...

მარტივი მათემატიკა გვკარნახობს, რომ სულ სამი კანდიდატი დაგვრჩენია, თუმცა, როგორც ამბობენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამეცნიერო საბჭო რექტორად მიხეილ ქურდიანს აირჩევს, მას გარექტორება მაინც არ უწერია, რადგან ქვეყნის პრეზიდენტი მისი კანდიდატურის დამტკიცებას არ აპირებს. კულუარული ინფორმაციით, პრეზიდენტისა და უნივერსიტეტის პროფესორთა შეხვედრაზე, პრეზიდენტმა არ დააკმაყოფილა რამდენიმე პროფესორის თხოვნა, მის მიერ უნივერსიტეტში მოყვანილი ქალბატონი რუსუდანისათვის მხარი უფრო აშკარად დაეჭირა, თუმცა მეორე მხრივ, პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში რევანშისტ რექტორს აირჩევენ, იგი თავის უფლებას გამოიყენებს და კანდიდატურას არ დაამტკიცებს. ვინ უნდა ეგულისხმა ამ შემთხვევაში საააკაშვილს, ძნელი მისახვედრი არ არის. ასე რომ, თუ უნივერსიტეტს ძალიან მოუნდება მაინცდამაინც უპარტიო, მართლმადიდებელი (მისი ბიოგრაფიის პირველ ხაზში მინიშნებული ცნობები) რექტორი ჰყავდეს, რომელსაც თავის ბიოგრაფიაში სადიპლომო თემის სათაურიც კი აქვს მითითებული, რომელიც მთელი ცხოვრება მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურულ მიმდინარეობებზე მუშაობდა და უცებ ენათმეცნიერი იმით გახდა, რომ სადოქტორო დისერტაცია ლექსთწყობის შესახებ დაიცვა ენათმეცნიერებთან გაერთიანებულ საბჭოზე, რომლის ძირითადი დამსახურებაც თავის დროზე დავით აღმაშენებლის დაარსებული და შემდეგ ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ განახლებული გელათის აკადემიის აკადემიკოსობაა, რომელიც თავის ბიოგრაფიაში სერიოზულად წერს, რომ 2002 წელს, როგორც მულახი, ვარაგთა საგვარეულოს წარმომადგენელი საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს გამგეობის წევრად იქნა არჩეული, მაშინ იმ დრომდე უნდა მოიცადონ, როდესაც ახალი კანონმდებლობა ძალაში სრულად შევა და უმაღლესების რექტორობის კანდიდატებს პრეზიდენტის დამტკიცება აღარ დასჭირდება.

ისევ მარტივი მათემატიკა გვეუბნება, რომ დაგვრჩა ორი კანდიდატი: ბატონი ლერი ქურდაძე და ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე. ბატონ ლერის მხარს ფიზიკოსები უჭერენ და მის შესახებ ერთობ დადებითადაც საუბრობენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მის ბიოგრაფიაში არაფერი მიგვანიშნებს კომუნისტური წარსულისადმი რაიმე მიკუთვნებულობას, პირიქით, ნაცნობები აღნიშნავენ, რომ იგი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთგული მხარდამჭერი გახლდათ, იგი ბევრ ადამიანს მაინც ტიპურ საბჭოთა ინტელიგენტს მოაგონებს. ბევრისათვის ეს შედარება, შესაძლოა, არც იყოს უარყოფითი დატვირთვის მატარებელი, მაგრამ ჩვენი საზოგადოების უბედურებაც სწორედ ეს არის და თანაც ვითომ შესაფერისია 21-ე საუკუნის უნივერსიტეტის რექტორისათვის ასეთი ასოციაციები? ამ ასოციაციებს ერთგვარად მისი წინასაარჩევნო პროგრამაც ბადებს. წარსულის მიმართ ისეთი ნოსტალგია, როგორიც მის პროგრამაში იკითხება, სხვა არც ერთი კანდიდატის ნაწერში არ გვხვდება. ბატონი ლერის პროგრამა სხვებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ იგი ახალ საგანმანათლებლო კანონმდებლობის სრულ იგნორირებას ახდენს. თითქოს იგი არც არსებობდეს და მისი მიღება ნავარაუდევი არც კი იყოს. გამოადგება კი უნივერსიტეტის რეალურ რექტორს რეალობის ასეთი შეგრძნება? თუმცა ჯობს, რეალობას თვალები ჩვენ გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ სამეცნიერო საბჭოში არსებული ფიზიკოსთა დიდი ლობი და რამდენიმე "წესიერი პროფესორი" ბატონი ლერი ქურდაძის კანდიდატურას მაინც ვერ გაიყვანს. დიდ საბჭოში უფრო მეტნი ისეთები არიან, ვისაც ქვეყნის პრეზიდენტისადმი "განსაკუთრებული მოწიწების" გრძნობა აქვს და თანაც ამასობაში ქალბატონ რუსუდანსაც მშვენივრად შეეწყვნენ.

ასე რომ, მარტივ მათემატიკასაც და ლოგიკასაც ერთი კანდიდატისკენ მივყავართ. რა შეიძლება ითქვას ქალბატონი რუსუდანის შესახებ გარდა იმისა, რომ იგი ყველას ერთნაირად ულიმის და ყველას ერთნაირად ჰპირდება, რომ ყველაფერი კარგად იქნება? ოღონდ, სამწუხაროდ, უმრავლესობისათვის ეს "ყველაფერი კარგად" "ყველაფერს ძველებურად-ს" ნიშნავს. რაც შეეხება რუსუდან ლორთქიფანიძის წინასაარჩევნო პროგრამას, ობიექტურობა უნდა შევინარჩუნოთ და ვთქვათ, რომ იგი სხვებთან შედარებით ყველაზე კონკრეტული და საქმიანია. თუმცა, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ეს პროგრამა მთლად მისი დაწერილი არ არის. მავანი იმ ინტერვიუებითა და საჯარო გამოსვლებით თუ იმსჯელებს, რაც ქალბატონ რუსუდანს ამ ბოლო პერიოდში ჰქონია, ალბათ, ამ ვერსიის დაჯერება არ გაუჭირდება.

დღეს იმათ გარდა, ვინც თავს ძალით იტყუებს, ყველამ მშვენივრად იცის, რომ იმ იდეას შორის, რასაც ცოდნის დიდი, თეთრი ტაძარი ჰქვია და იმ რეალობას შორის, რაც დღეს უნივერსიტეტის სახით გვაქვს, დიდი უფსკრულია. უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატთა ვინაობაც ამას ადასტურებს.

## "GEORGIAN EARWEIS"-ის პარკი ორი ბოინგით გაიზარდა

საქართველოს ფლაგმანურმა გადამზიდავმა ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისმა" (ყოფილი "აირზენა-საქართველოს ავიახაზები") 10 დეკემბერს, პარიზში, ამერიკულ კომპანია "ILEFSI"-სთან 2 საჰაერო ხომალდის ლიზინგით აღების თაობაზე კონტრაქტი გააფორმა.

ხელშეკრულებას პარიზში ხელი მოაწერა კომპანიის პრეზიდენტმა თამაზ გაიაშვილმა.

თვითმფრინავები ბოინგ-737 ტიპისაა და უფრო მეტი მგზავრის გადაყვანა შეუძლიათ, ვიდრე დღემდე ავიაკომპანიის პარკში არსებულ სხვა ხომალდებს.

კონტრაქტის თანახმად, ლიზინგის ვადა 5 წელია.

ავიაკომპანიის პარკში ამჟამად 5 საჰაერო ხომალდია, აქედან 3 თვითმფრინავი ლიზინგით აღებულია გერმანული კომპანია "ჰაპაკ ლოიდისაგან".

ახალი თვითმფრინავები დუბაის და მილანის მიმართულებით ახალ რეისებს მოემსახურება. ავიაკომპანია ასევე გეგმავს სიხშირეების გაზრდას ევროპის მიმართულებით. თბილისში თვითმფრინავებს 20 დეკემბერს ჩამოიყვანენ.

როგორც თამაზ გაიაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, კომპანია 2006 წელს საქართველოში კიდევ ორი თვითმფრინავის შემოყვანას გეგმავს.

*24 საათი*

## საქართველო-რუსეთს შორის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყება

10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის იგორ ლევიტინის, რუსეთში საქართველოს ელჩის ვალერი ჩეჩელაშვილისა და შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ფოთი (საქართველო) - კავკაზი (რუსეთი) ნავსადგურების მეშვეობით პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის დაწყების ორგანიზების საკითხებს.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოეწერება 2005 წლის იანვრის პირველ ნახევარში ქ. ფოთში.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბერს თბილისში გაიმართა რუსეთის ტრანსპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის შეხვედრა, სადაც განიხილეს ამ მარშრუტის ამოქმედების შესაძლებლობის საკითხები.

მომზადდა შეთანხმების პროექტის ტექსტი, რომელმაც ორივე ქვეყანაში გაიარა შიდასახელმწიფოებრივი და ყველა საჭირო პროცედურა.

ორივე ქვეყნის ნავსადგურებმა მაქსიმალურად სწრაფი ტემპით ჩაატარეს ტექნიკური სამუშაოები და მზად არიან პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის დასაწყებად.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განვითარებას ტრანსპორტის სფეროში, შერეული (კომბინირებული) გადაზიდვებისა და საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის ორგანიზებას რუსეთსა და საქართველოს ნავსადგურებს შორის.

გარდა ამისა, შეამცირებს სატვირთო გადაზიდვებზე არსებულ ტარიფებს და მიმზიდველს გახდის სატვირთო გადაზიდვებს აღნიშნულ მარშრუტზე. ამასთან, გაიზრდება ფოთის ნავსადგურის საბორნე კომპლექსის დატვირთვა.

გაიხსნება საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების (რომელიც ზამთრის პერიოდში შეფერხებებით მუშაობს) ალტერნატიული მარშრუტი, რაც გადაზიდვების მოცულობის ზრდას ხელს შეუწყობს.

სამინისტროს ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის სარკინიგზო მიმოსვლის დაწყება განავითარებს ბიზნესურთიერთობებს, რაც კერძო სექტორს დაეხმარება, ურთიერთსასარგებლო საქმიანი კავშირები დაამყაროს და თანამშრომლობის ახალი მიმართულებები შექმნას.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესმენთა ფედერაციისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები ბიზნესმენებთან ერთად, შაბათს სასტუმრო "თორში" ბიზნესისა და საზოგადოებრივი სექტორის ურთიერთთანამშრომლობაზე და ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე იმსჯელებენ. როგორც "პრაიმ-ნიუსს" შეხვედრის ორგანიზატორებმა განუცხადეს, დისკუსია პროექტის - "ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა" ფარგლებში ეწყობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის რკინიგზის დეპარტამენტის ინფორმაციით, აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე ტრანზიტული ტვირთით 1500 ვაგონია გაჩერებული. მათ შორის 1000 ცისტერნა ნავთობით და ნავთობპროდუქტებით არის დატვირთული, რომელიც შუა აზიიდან აზერბაიჯანის გავლით საქართველოში უნდა შემოვიდეს. გარდა ნავთობპროდუქტებისა, დაკავებულია ხორბლით დატვირთული 300 ვაგონი. ვაგონები აზერბაიჯანის საბაჟომ დააკავა. ისინი ამოწმებენ ინფორმაციას იმის თაობაზე, ხომ არ არის ეს ტვირთი სომხეთისთვის განკუთვნილი. აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ მას ტვირთის დაკავების უფლებას აძლევს 1998 წლის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის ტერიტორია არ უნდა გადაკვეთოს სომხეთისთვის განკუთვნილმა ტრანზიტულმა ტვირთმა. ასევე იკრძალება სომხეთიდანაც აზერბაიჯანში რაიმენაირი ტვირთის შეტანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლისთვის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ საქართველოში მცირე პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს 39 250 ევრო გამოუყო. ეს თანხა განათლების, ეკონომიკის, და სოციალური პოლიტიკის ექვს მცირე პროექტს მოხმარდა. მსგავსი პროექტების განსახორციელებლად 2005 წლისთვის გერმანია ამავე რაოდენობის ფინანსურ დახმარებას კვლავ გამოყოფს. პროექტების მიზანია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და იგი ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის ორმხრივი თანამშრომლობისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება. **მედია-ნიუსი**


### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**13 დეკემბერს, 11.00-დან 16.00 სთ-მდე:**
საქსოფლმანქანის და მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლების, ლილოს დასახლების II მიკრორაიონის, ლილოს დასახლების IV კვარტლის, ორახელაშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.



### ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მცველების მოწოდებაზე:

| | |
|---|---|
| **მცველი დნობადი ონ2-250/250ა** | **1540ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-250/160ა** | **60ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-400/250ა** | **2100ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-400/315ა** | **2100ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-400/400ა** | **1050ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-400/630ა** | **600ც** |
| **მცველი დნობადი ონ2-630/630ა** | **300ც** |
| **მცველი ოT-1.2-6-50-31.5ხ3** | **108ც** |
| **მცველი ოT-1.2-10-40-31.5ხ3** | **108ც** |
| **მცველი ოT-1.3-6-160-20ხ3** | **108ც** |
| **დენმკვეთი პოჟ-4/1 30ც** | |
| **დენმკვეთი პოჟ-2/1 30ც** | |
| **ტუჩები საკონტაქტო დენმკვეთის 400A** | **100ც** |

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 დეკემბერი.


## USAID-ის ენერგოდახმარების პროგრამით თბილისელები ვერ ისარგებლებენ

*ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) საქართველოს სოციალურად დაუცველი ფენების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის 3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*3 მილიონი დოლარი საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, აჭარის ენერგოკომპანიასა და კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას შორის გადანაწილდება.*

გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში საქართველოს მთავრობასა და USAID-ს შორის "ზამთრის გათბობით უზრუნველყოფის" პროგრამის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. 3 მილიონ დოლარს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები მიიღებენ, რომლებიც ელექტროენერგიის იმპორტს განახორციელებენ და სოციალურად დაუცველ ფენებს ელექტროენერგიას მიაწვდიან.

გამოყოფილი თანხა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას, აჭარის ენერგოკომპანიასა და კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას შორის გადანაწილდება. დახმარებას, სავარაუდოდ, 146 ათასი ოჯახი მიიღებს. ასევე, ნაწილობრივ დაიფარება რეგიონებში არსებული 500 სკოლის და საავადმყოფოს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

საქართველოს მთავრობის მხრიდან ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა, ამერიკის მთავრობის სახელით კი - აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა და USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორმა დენი რობერტსონმა მოაწერეს.

გუშინ დადასტურდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, ზამთრის გათბობის პროგრამით თბილისელები ვერ ისარგებლებენ.

დედაქალაქის ენერგოგამანაწილებელ კომპანია "თელასში" ამის მიზეზს ვერ ასახელებენ, თუმცა გაკვირვებას გამოხატავენ და აცხადებენ, რომ მათთვის გაუგებარია, რატომ მოხდა საქართველოს მოსახლეობის დიფერენცირება და რატომ ვერ მიიღებს თბილისელი სოციალურად დაუცველი მომხმარებელი უფასო ელექტროენერგიას.

**"აღნიშნული პროგრამა საქართველოში მეშვიდე წელია ხორციელდება. თუმცა, "თელასი" პროგრამაში წელს პირველად ვერ მოხვდა. ამის მოტივაცია ჩვენთვის გეუგებარია. ამიტომ, მოვითხოვთ USAID-მა განმარტება გააკეთოს და მოსახლეობას ამ გადაწყვეტილების მიზეზი აუხსნას,"** - განაცხადეს კომპანიაში.

გასულ წელს "ზამთრის გათბობით უზრუნველყოფის" პროგრამისთვის USAID-მა 6 მილიონი დოლარი გამოყო. მაშინ, თანხის 40 პროცენტი - 2,4 მილიონი აშშ დოლარი "თელასმა" მიიღო. გამოყოფილი თანხით, გასული ზამთრის განმავლობაში, USAID-ის დახმარებით, 100 ათასზე მეტმა თბილისელმა ისარგებლა. მათ ზამთრის სეზონზე 48 ლარის ღირებულების ელექტროენერგია უფასოდ მიიღეს.

*24 საათი*

## აეროპორტის მენეჯმენტი ოთხთვიანი მუშაობით კმაყოფილია

სოფო თბილელი

*აეროპორტის ახალმა მენეჯმენტმა მუშაობის ოთხთვიანი პერიოდის განმავლობაში მეორე საპრეზენტაციო ნაბიჯი გადადგა. ამჯერად, აეროპორტის ხელმძღვანელობამ ამერიკული კომპანია Rapiscan-ის ბარგისა და ხელბარგის შემმოწმებელი აპარატურის პრეზენტაცია გამართა. დამონტაჟებული ოთხი აპარატი (ორი ხელბარგისთვის, და ორი ბარგისთვის) ექპლუატაციაში გუშინვე შევიდა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აეროპორტი არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა.*

აეროპორტის თანამშრომლები ბარგს მოძველებული აპარატურის ნაცვლად, რომლის დროსაც ცდომილებაც დიდი იყო, უახლესი და უმაღლესი ხარისხის აპარატურით შეამოწმებენ. მენეჯმენტის შეფასებით, ახალი ოთხი ფერადი შემმოწმებელი აპარატი, რომლის შესაძენად აეროპორტმა 170 ათასი დოლარი გადაიხადა, შემოწმების პროცედურას დააჩქარებს, გაამარტივებს და რაც მთავარია, ნულამდე დაიყვანს ცდომილების მაჩვენებელს. **"ეს არის სტაციონალური აპარატები, რომლებიც ბარგს უსაფრთხოებაზე და კონტრაბანდაზე ამოწმებენ. მათში ჩადებულია ის ფუნქციები, რომლებიც სხვა აპარატებს არა აქვთ, კერძოდ, არის სპეციალური პროგრამა, რომელიც ეხმარება ოპერატორს, ავტომატურ რეჟიმში აღმოაჩინოს ასაფეთქებელი ნივთიერება, ნარკოტიკი, ვალუტა და ოქრო",** - განაცხადა "Rapiscan"-ის წარმომადგენელმა ტექნიკურ ცენტრ "გროს" ხელმძღვანელმა სულიკო კახაძემ.

Rapiscan 522 EPX - განვითარებული რენტგენული ტექნოლოგიაა, რომელიც უმაღლესი შესაძლებლობის ფერადი მონიტორებითაა აღჭურვილი, შიდა დამცავი ფენით დაფარული რენტგენული დეტექტორების წყალობით რამდენჯერმე ზრდის ხედვადობას, უმაღლესი ხარისხის გამოსახულების ჩვენებასა და ობიექტის ღრმა გაშიფვრას უზრუნველყოფს. აპარატი ერთი საგნის გამოსახულებით ერთდროულად სხვადასხვა ინფორმაციას აძლევს სპეციალისტს, მათ შორის, ავლენს მასალის თვისებასა და ხასიათს (ასაფეთქებელი ნივთიერები, ნარკოტიკები, ვალუტა, ოქრო...), პოტენციურად საშიშ ან აკრძალულ ნივთიერებებს. **"ეს აბსოლუტურად სხვა სისტემაა, მას ანალოგი არ აქვს მსოფლიოში, წარმოუდგენელია, რომ რაიმე გაიპაროს",** - განაცხადა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ.

Rapiscan-ის შემმოწმებელი აპარატურა თბილისში ერთი კვირის წინ ჩამოიტანეს, პრეზენტაციამდე საავიაციო უსაფრთხოების თანამშრომლები ეცნობოდნენ და სწავლობდნენ დანადგარების შესაძლებლობებს.

ოთხი თვეა, აეროპორტში ახალი მენეჯმენტია. აეროპორტის ხელმძღვანელობა უკვე სერიოზულ მიღწევებზე საუბრობს და კმაყოფილია, რომ მუშაობის დასაწყისში გაცხადებული დაპირებების ნაწილი რეალობად აქცია. თუმცა, ირწმუნება, რომ შემდგომი ოთხი თვე უფრო ეფექტური და ნაყოფიერი იქნება.

კადრების შემცირება, EBRD-ისა და ფინანსთა სამინისტროს სესხების გასტუმრება, შემოწმებისა და მგზავრთა გადაადგილების გამარტივება, ახალი აპარატურის დამონტაჟება, უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება, კომპიუტერული სისტემის დანერგვის დაწყება, საჰენდლინგო კომპანიასა და საინვესტიციო ჯგუფებთან მოლპარაკებების დაწყება და ა.შ. - ეს იმ მიღწევების მცირე ჩამონათვალია, რისი განხორციელებაც აეროპორტის ახალმა მენეჯმენტმა მოახერხა. დანარჩენი დაპირებები, ჯერჯერობით, გეგმის სახით არსებობს, თუმცა, მათი განხორციელება არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა.

ერთ-ერთი დაპირება, რომელიც ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია, ერთიანი სარეგისტრაციო კომპიუტერული სისტემაა. უკვე ჩამოტანილია აეროპორტის მიერ შეძენილი 24 კომპიუტერი, SITA-ს დახმარებით მიმდინარეობს მათი დამონტაჟება და კადრების მომზადება. ახალი სისტემა ექსპლუატაციაში მომავალი წლის იანვრის პირველ კვირაში, შობამდე, შევა. სისტემის პარალიზების თავიდან ასაცილებლად სარეგისტრაციო კომპიუტერულ სისტემაზე გადასვლა ეტაპობრივად მოხდება. აეროპორტის ხელმძღვანელობის განმარტებით, ახალი სარეგისტრაციო კომპიუტერული სისტემის დანერგვით ბოლო მოეღება ხელით დაწერილ ჩასხდომის ბარათებსა და ბარგის ქვითრებს, მგზავრი გარანტირებული იქნება, რომ არც ბარგი დაეკარგება და არც ადგილს გაუყიდის ვინმე. ცდომილება ნულის ტოლი იქნება. **"დღეს კი, მოდის ავიაკომპანიის წარმომადგენელი, რომელსაც ხელში უჭირავს ხელით დაწერილი ფურცელი, რამდენი კაცი რომელ კლასში უნდა დასვას, რაც ძალიან დიდი გაუგებრობებს იწვევს,"** - განაცხადა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კომერციულმა დირექტორმა ზაქარია ხეჩუაშვილმა და იქვე დაუმატა, რომ ამ სისტემის დანერგვით, (საქართველოს ბაზარზე მოქმედი ყველა ავიაკომპანიის ერთ სისტემაში გაერთიანებით), ბოლო მოეღება გაუთავებელ რიგებს, გაუგებრობებს და რეგისტრაციისა და ბარგის დათვლის პროცედურები გამარტივებული და ავტომატიზირებული იქნება, რაც ხელს შეუწყობს მგზავრისა და ავიაკომპანიების მომსახურების დაჩქარებას.

რეგისტრაციის კომპიუტერული სისტემა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებსაც ითხოვს. აეროპორტის გადაზიდვების სამსახურმა კადრების მომზადებაზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იზრუნა. გადაზიდვების სამსახურის უფროსის ეკა ჯამბაზიშვილის განმარტებით, ამ ახალ სისტემაზე სამუშაოდ რეგისტრატორმა მინიმუმ ორი-სამი პროგრამა მაინც უნდა იცოდეს. კადრების კვალიფიკაციაზე აეროპორტის უსაფრთოების სამსახურშიც იზრუნეს. სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, საავიაციო უსაფრთხოების სამსახურში უპირატესობა ახალგზარდა, ფიზიკურად მომზადებულ და უცხო ენის მცოდნე კადრებს მიენიჭებათ. უსაფრთხოების სამსახური ერთადერთი სამსახურია, სადაც კადრების შემცირება არ იგეგემება, პირიქით, მგზავრთნაკადისა და ფრენების სიხშირის გაზრდის შემთხვევაში, ამ სამსახურში საშტატო ერთეული შეიძლება გაიზარდოს კიდეც. უსაფრთხოების სამსახურში სიახლეებიც იგეგმება, სამსახურის ხელმძღვანელის თამაზ იანტბელიძის განცხადებით, უახლოეს მომავალში გაფორმდება ხელშეკრულება კინოლოგიურ სამსახურთან და ამ კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული ძაღლებით შეამოწმებენ საეჭვო საჰაერო ხომალდებს. აეროპორტის ხელმძღვანელობა უსაფრთხოების ნორმებს ამკაცრებს. მანჯგალაძის განმარტებით, რამდენიმე კვირაში შიდა პერიმეტრისათვის უსაფრთხოების ისეთი ახალი სისტემის დანერგვას აპირებს, რომ "ბუზიც კი ვეღარ გადმოფრინდება".

აეროპორტის მენეჯმენტი საავიაციო უსაფრთხოების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას გადაზიდვების სამსახურს უთმობს, რასაც ასე ხსნის: ჩვენი მიზანია, შევცვალოთ აეროპორტის სახე და სტილი, პირველ რიგში, ეს ცვლილება მგზავრებთან ურთიერთობას ეხება. აეროპორტში მგზავრებთან ურთიერთობის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა დაინერგება. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, გადაზიდვების სამსახურის თანამშრომლებს პროფესიულ ჩვევებსა და ინგლისურ ენაში ტესტირება ჩაუტარდათ. შედეგი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. თუმცა, სამსახურში პრობლემები ძალიან ბევრია. გადაზიდვების სამსახურის უფროსის განმარტებით, ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ავიაკომპანიების 90 პროცენტმა უკმაყოფილება გამოთქვა აეროპორტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შესახებ, უცხოური კომპანიების უკმაყოფილების მიზეზი მგზავრებთან ცუდი დამოკიდებულების გარდა, ენის არცოდნაც იყო. მომავალი წლიდან აეროპორტის საშტატო ერთეული (920 ადამიანი) 10 პროცენტით შემცირდება. ხოლო, რაც შეეხება კადრებს, წლის ბოლოს უმრავლესობას კონტრაქტის ვადა ეწურება, ახალი ხელმძღვანელობის განმარტებით, სამსახურში დარჩება ის, ვინც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აეროპორტი მანჯგალაძის გუნდის მოსვლის დროს მხოლოდ სურვილი იყო, ახლა კი, ეს არცთუ ისე შორეული პერსპექტივაა. ხელმძღვანელობის ვარაუდით სამშენებლო სამუშაოებისთვის მზადება უკვე იანვრის შუა რიცხვებში დაიწყება. მანამდე კი, მხოლოდ რამდენიმე დეტალი დარჩა დასაზუსტებელი. კერძოდ, გადასაწყვეტია ახალი ტერმინალი აშენდება თუ ძველის რეკონსტრუქცია მოხდება. ამ საკითხზე მთავრობა ექსპერტებთან უკვე მუშაობს და საბოლოო გადაწყვეტილება ორ კვირაში გახდება ცნობილი. **"ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ ამ პროცესებმა აეროპორტის მუშაობა არ შეაფერხოს",** - განაცხადა მანჯგალაძემ და იქვე დაუმატა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში (ახლის მშენებლობა თუ რეკონსტრუქცია) თბილისს ექნება ცივილური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი აეროპორტი. მისი ვარაუდით, რეკონსტრუქციის შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აეროპორტი ივნისის ბოლოსთვის ამოქმედდება, ახლის მშენებლობის შემთხვევაში კი - სექტემბერში. ამ ეტაპზე უკვე მოძიებულია საინვესტიციო ჯგუფები, რომლებიც მთლიანად უზრუნველყოფენ ფინანსურ მხარეს. თუმცა, აეროპორტის ხელმძღვანელობამ, ჯერჯერობით, მათი დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

დაახლოებით, ექვს კვირაში აეროპორტში საქმიანობას დაიწყებს ე.წ. საჰენდლინგო კომპანია, რომელიც არსებულ ტექნიკურ პრობლემებს საბოლოოდ მოაგვარებს და აეროპორტს ყველა საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, საჰენდლინგო კომპანიის შემოსვლის შემდეგ აეროპორტი სტრუქტურულად შემცირდება, რადგან გადაზიდვების სამსახური მთლიანად შემოსულ კომპანიას დაექვემდებარება. ამ ეტაპზე, საქართველოს ბაზარზე შემოსვლით რამდენიმე კომპანია დაინტერესდა და მათთან სერიოზული მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. კომპანიის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი ისაა, თუ ვინ უფრო მეტ ინვესტიციას შემოიტანს. **"კომპანია 4-6 მილიონ დოლარს ჩადებს, ამ ინვესტიციის წყალობით, გამოთავისუფლებულ თანხებს ჩვენ სხვა პრობლემების მოსაგვარებლად გამოვიყენებთ,"** - განაცხადა მანჯგალაძემ და იქვე დაუმატა, რომ მენეჯმენტი ყველანაირად ცდილობს, ქართულ ბაზარზე ისეთი კომპანია შემოიყვანოს, რომელიც სხვა ქვეყნის აეროპორტებშიც ცნობილია.

აეროპორტში კი ტექნიკური თვალსაზრისით მართლაც სერიოზული პრობლემებია, არ ფუნქციონირებს რაციები, ტექნიკა ან არ არის, ან თუ არის 30 წლისაა და ყველაფერი მოძველებულია - ავტობუსები, საბარგო ურიკები, კონტეინერები, ბარგის ასატანი, ტრაპები და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ამორტიზებულია. უმრავლესობა ჯართია. 180 ერთეული სატრანსპორტო ერთეულიდან 80 პროცენტი არ ვარგა. **"ერთი რეისი როცაა, მაშინ კიდევ შეიძლება არსებული რესურსი გამოვიყენოთ და პრობლემები ავირიდოთ, მაგრამ როცა ორი რეისი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ უკვე საშინელებაა. ყველაფერი წყობიდან გამოდის,"** - განაცხადა გადაზიდვების სამსახურის უფროსმა ეკა ჯამბაზიშვილმა და იქვე დაუმატა, რომ საჰენდლინგო კომპანიაზე დიდ იმედებს ამყარებენ.

აეროპორტის ხელმძღვანელობა დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნის მიზნით 15 დოლარიანი განაკვეთის საბაჟო მოსაკრებლის შემოღებას აპირებს. **"ევროპაში ბაჟის მინიმალური განაკვეთი 25 დოლარია, ჩვენ მხოლოდ 15 დოლარის დაწესებას ვაპირებთ, აქედან, გადასახადების შემდეგ რეალურად 12 დოლარი დაგვრჩება. ამ თანხას მთლიანად აეროპორტის განვითარებას მოვახმართ. საბაჟო განაკვეთი ბილეთის ფასში აისახება. მესმის, რომ ეს მგზავრებს არ მოეწონებათ, მაგრამ ეს მგზავრების ინტერესებშივეა,",** - განმარტა მანჯგალაძემ და დაუმატა, რომ ამ ინიცატივით პარლამენტში უახლოეს მომავალში შევლენ.

ცნობისთვის, შარშანდელთან შედარებით, წელს მგზავრთნაკადი 27,7 პროცენტით გაიზარდა, რაც იმის შედეგია, რომ საქართველოში "ბრითიშ ეარვეიზმა" აღადგინა ფრენები და ქართულ ბაზარზე ჰოლანდიურმა ავიაკომპანიამ "კა ელ ემ"- მაც დაიწყო რეისების შესრულება. აეროპორტის ხელმძღვანელობა მგზავრთნაკადის კიდევ უფრო გაზრდას ვარაუდობს, ამის მიზეზად კი, რამდენიმე უცხოური ავიაკომპანიის მიერ საქრთველოს ბაზრით დაინტერესებას ასახელებს. მათ შორის, გერმანული ავიაკომპანია "ლუფთჰანზა" და ჩეხეთის ავიაკომაპანია იგულისხმება.

# იუშენკოს წარმატებები პუტინის მოწინააღმდეგეთა რიგებს ამრავლებს

პირველი გვერდიდან

როცა უკრაინელ ხალხს, ნახირი ხარო, უთხრეს. ამ პოლიტტექნოლოგთა უმრავლესობა ფულით ნაყიდი პროვოკატორია. იგივე მოხდა აფხაზეთშიც.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ თუ რუსეთი უკრაინაზე გავლენას დაკარგავს, მის ეკონომიკასაც, პოლიტიკის მსგავსად, კრახი ელოდება?**

- ალბათ, ასეც იქნება, რადგანაც სიტუაციაზე პოლიტიკური კონტროლის პარალელურად, ეკონომიკური ბერკეტებით მანიპულირებასაც ვკარგავთ. სიტუაცია თანდათან იხრება სახელმწიფო გადატრიალების მომწყობთა სასარგებლოდ, გრძელდება გამარჯვებული სპეცოპერაციების წყება დემოკრატიული არჩევნების შირმით. გაიხსენეთ სლოვაკეთი, როცა მაჩიარი ჩამოაგდეს, შემდეგ სერბეთში მილოშევიჩის კრახი და საქართველოში შევარდნაძის გადაყენება. მსგავსი ოპერაციების შემდეგი ობიექტი (თუნდაც კორექტირებული მეთოდებით - ჯერ სიტუაცია გამოვა კონტროლიდან, არა მასობრივი გამოსვლების წყალობით, არამედ უფრო საშინელი ტერაქტებით), დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი იქნება. ამის ტაქტიკური მიზეზია ის, რომ პუტინის პოლიტიკური რეფორმა უცხო სხეული აღმოჩნდა დასავლეთისათვის. სტრატეგიული მიზეზი: რუსეთის, როგორც დასავლეთის პოტენციური მოწინააღმდეგის, ლიკვიდაცია.

**- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა რუსეთში რევოლუციისათვის ვითარება მომწიფებული?**

- მთელი რიგი დამატებითი ობიექტური გარემოებები არსებობს, რაც დასავლეთს პუტინის ჩამოგდებას გაუადვილებს: ეკონომიკაში სტრუქტურული პრობლემების გაუარესება, საკუთრების დაუცველობა. რუსეთის ეკონომიკის მინისტრის გერმან გრეფის სიტყვებით, იანვარ-ოქტომბერში ნავთობმოპოვებაში ინვესტიციები 20 პროცენტით დაეცა, მონოპოლიურმა განუკითხაობამ, მასობრივმა სილატაკემ ადამიანური კაპიტალის დეგრადაცია გამოიწვია. კრემლით უკმაყოფილებას გაზრდის სახელმწიფო მმართველობის არაკომპეტენტურობა, რუსეთიდან ინტელექტის გაჟონვა, ხელისუფლებისა და ფინანსური კონტროლისათვის კლანთაშორისი ომი. შეღავათთა მონეტიზაციამ რუსეთში მოსახლეობა უკვე სოციალური ბუნტისათვის განაწყო. 2005 წელს ეს უკმაყოფილება კულმინაციას მიაღწევს. ასე რომ, რუსეთში ფართომასშტაბიან სისტემურ კრიზისს 1,5-2 წელიწადში უნდა ველოდოთ, რომლის მონაწილენიც სიამოვნებით იქნებიან პუტინის ოპონენტები - დასავლეთი, ოლიგარქები, ბიზნესი და ინტელიგენცია. ხალხს ქუჩაში გამოიყვანს მილიციის ორგანოთა თანამშრომლებისა და ტერაქტების სულ უფრო მზარდი შიში.



*მიხაილ დელიაგინი: ამ ხელისუფლების მხარდაჭერა არ შეიძლება - მას ქვეყანა დანგრევამდე მიჰყავს.*

**- ისინიც დასავლეთის დახმარების მოთხოვნით გამოვლენ, თუ სსრკ-ს აღდგენის პლაკატებით?**

- არაადეკვატური სახელმწიფოს ხელში მისი პოტენციური მომხრეებიც კი, მალე დასავლეთის მხარდაჭერას დაუწყებენ ძებნას. ის, ვინც დღემდე დასავლეთს აკრიტიკებდა, მასობრივად იწყებს გადასვლას საწინააღმდეგო მხარეზე. იუშენკოს წარმატებები რუსეთში პუტინით უკმაყოფილოთა რიგებს ინტერესს უღვივებს. ოპოზიცია საშინელ მდგომარეობაშია: ხელისუფლებასთან ბრძოლა რუსეთის მტრების რიგებში ჩაწერას ნიშნავს, ამ ხელისუფლების მხარდაჭერა კი არ შეიძლება - მას ქვეყანა დანგრევამდე მიჰყავს.

**- უკრაინაში მოვლენების განვითარების როგორი პროგნოზი გაქვთ?**

- იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში იგი 3-5 თვით სამკურნალოდ გაემგზავრება, რადგანაც მისი ავადმყოფობა კეთრს წააგავს, ხელისუფლება იულია ტიმოშენკოს ხელში გადავა და იგი შეასრულებს მთელ ბინძურ სამუშაოს - ხელისუფლებიდან მოაშორებენ რუსი ეროვნების ადამიანებს, პრორუსულად განწყობილ ძალებს, მოკლედ, ლატვიისა და ესტონეთის მაგალითები განმეორდება. შემდეგ ტიმოშენკოს დადანაშაულებასაც შეძლებენ გადამეტებაში და დემონსტრაციულად დასჯიან. ამ დროისათვის უკვე დათვლიან, რომ უკრაინამ ამ კრიზისით 10 მლრდ დოლარი დაკარგა.

**- მაინც რა სფეროში მიიღო რუსეთმა ყველაზე მწარე "უკრაინული გაკვეთილი"?**

- უკრაინაში ყველაზე კეთილი სცენარის მიუხედავადაც, სახეზეა დსთ-ს სივრცეში რუსეთის ლიდერობის პუტინის მიერ აშენებული სტრატეგიული გეგმის მსხვრევა. დასავლეთის პოზიცია ნათელია: იუშენკო პრეზიდენტი გახდება, უკრაინა იძულებული შეიქნება, უარი თქვას ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე, სამაგიეროდ, დაჩქარდება ევროკავშირთან ინტეგრაცია. ჯერჯერობით, რუსეთს ის შველის, რომ დასავლეთი ღია დაპირისპირებას ერიდება. მაგრამ რუსეთის დასუსტების პარალელურად, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, რადგანაც მან ცივილიზებული მსოფლიოს თვალში სტრატეგიული პერსპექტივა დაკარგა. დსთ-ს მომგებიანობის მითიც არარეალისტურად ჟღერს. გამოსავალი ერთია: დაუყოვნებლივ შესამუშავებელია რუსეთის ახალი საგარეოპოლიტიკური დოქტრინა.

# რევოლუციების პრაქტიკა ყირგიზეთსაც აშინებს

დსთ-ს სივრცეში ქართულ "ვარდების რევოლუციას" ერთი წლის შემდეგ უკრაინის ნარინჯისფერი მღელვარება მოჰყვა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთკავკასიური მოდელის სლავური ანალოგიაა. თუმცა, როგორც ჩანს, დსთ-ს მთელ სივრცეს დემოკრატიული ევოლუციისათვის უცილობლად ესაჭიროება ხავერდოვანი რევოლუცია. მინიშნებები რევოლუციურ მისწრაფებაზე რამდენიმე დღის წინ ცენტრალური აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ წრეებშიც გაკეთდა. ოფიციალურად კი ოპოზიციონერთა განწყობა გუშინ ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა ბიშკეკში გამართულ კონფერენციაზე - "დემოკრატია ცვალებად მსოფლიოში" - დაადასტურა, სადაც განაცხადა, რომ ოპოზიცია ნებისმიერ ფასად ეცდება ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. მისი თქმით, ხდება ყირგიზეთის ოპოზიციის უცხოური კაპიტალით დაფინანსება და ბინძური პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენება.

ცენტრალური აზიის ლიდერის განცხადებით, ასეთი გზით ყირგიზი ხალხისათვის მავანნი "დემოკრატიის გარედან თავს მოხვევას ცდილობენ". "ასეთი პრაქტიკა დამღუპველია, იგი არ პასუხობს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, რამაც შეიძლება, გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს," - აღნიშნა აკაევმა.

საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ყირგიზეთის პრეზიდენტს ქვეყნის დემოკრატიის ნამდვილ გამოცდად მიაჩნია და ოპოზიციონერთა მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას უმძაფრებს, მომავალი წლის 27 თებერვალსაა დანიშნული. "მე, როგორც კონსტიტუციის გარანტი, ყველაფერს გავაკეთებ, რათა საპარლამენტო არჩევნები ღიად, დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდეს," - განაცხადა აკაევმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყირგიზეთი მზადაა, შექმნას ყველა ის აუცილებელი პირობა, რაც საერთაშორისო დამკვირვებლებს სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის სჭირდებათ და რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქვეყნის სურვილს და ნებას, მომავალშიც გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა და ამ გზით სიარული.

*24 საათი*

# პაკისტანის სასულიერო სასწავლებლებში სკანდალია

რელიგიის საკითხებში პაკისტანის მინისტრის ამირ ლიაქათ ჰუსეინის განცხადებით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მის უწყებაში დაახლოებით 2 500 საჩივარია შესული მედრესეებში - ისლამურ სემინარიებში - ბავშვებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. მინისტრის თქმით, მხოლოდ მიმდინარე წელს უკვე 500 საჩივარია შეტანილი მედრესეების მასწავლებლებზე, მაგრამ არც ერთ შემთხვევაზე, ჯერჯერობით, განაჩენი არ გამოტანილა. ამირ ლიაქათ ჰუსეინის განცხადებას ბევრი ისლამისტი-პოლიტიკოსი აღშფოთებით გამოეხმაურა. თუმცა, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე მხოლოდ პაკისტანური მედრესეების უმნიშვნელო ნაწილს ეხება, მედრესეების ფედერაცია კი აქტიურად თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და ცდილობს, ბავშვებზე ძალადობაში ბრალდებულნი დაისაჯონ.

*ბი-ბი-სი*

## ორი სიტყვით

**ისრაელი.** ისრაელის მმართველი პარტიის "ლიკუდი"-ს ცენტრალურმა კომიტეტმა პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის წინადადება, ნაციონალური ერთობის მთავრობის შექმნის შესახებ, სპეციალური კენჭისყრის დროს მოიწონა. მემარცხენე პარტიის "ავოდ"-ისა და მემარჯვენე რელიგიური პარტიის მონაწილეობით კოალიციის ფორმირების საკითხს ცენტრალური კომიტეტის 62 პროცენტმა მხარი დაუჭირა. კენჭისყრის პროცედურა 12 საათის მანძილზე მიმდინარეობდა და გვიან საღამოს დასრულდა. დამკვირვებელთა განცხადებით, ახალი სახელისუფლებო კოალიციის ჩამოყალიბება შარონს პალესტინელებისაგან ცალმხრივი გამოყოფის პროგრამის რეალიზების საშუალებას მისცემს, რომელიც ღაზას სექტორისა და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროებიდან მოსახლეობის 2005 წლის ბოლომდე გამოყვანას ითვალისწინებს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**პოლონეთი.** პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ მეტნაკლებად მატერიალურად უზრუნველყოფილი პოლონელების შემოსავლებზე 50 პროცენტიანი გადასახადებით დაბეგვრის შესახებ კანონს მოაწერა ხელი. 2005 წლის 1 იანვრიდან, მათ, ვისი შემოსავლებიც წელიწადში 600 000 ზლოტს, რაც დაახლოებით 200 000 აშშ დოლარია, აღემატება, სახელმწიფო ხაზინაში ნახევრის შეტანა მოუწევს.

ახალი კანონი, სავარაუდოდ, პოლონეთის 4 000 ყველაზე მდიდარ ადამიანს შეეხება. პრეზიდენტის ხელმოწერამდე კი ახალი კანონპროექტი სეიმსა და სენატშიც დაამტკიცეს. კანონის მოწინააღმდეგეებმა უკვე განაცხადეს, რომ იჩივლებენ საკონსტიტუციო ტრიბუნალში, რომელიც კონსტიტუციის თანახმად, უფლებამოსილია, პრეზიდენტის გადაწყვეტილებაში შესწორება შეიტანოს. **იტარ-ტასი**

# პუტინს უკრაინის ევროკავშირში მიღება გაახარებს?

ესპანეთის პრემიერ-მინისტრის, ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში რუსეთის მმართველმა უკრაინის თემაზე კომენტარისთვისაც გამოიყენა.

**"თუ უკრაინას ევროკავშირში გაწევრიანება სურს, თუ მას იქ მიიღებენ, ჩვენ მხოლოდ გაგვიხარდება,"** - ასეთ, ერთი შეხედვით სენსაციურ განცხადებას აკეთებს ვლადიმირ პუტინი უკრაინის ევროპულ თანამეგობრობაში შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პოლიტიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად დაჩრდილა მსოფლიოს თითქმის ყველა მოვლენა. მასზე საუბრობენ როგორც ორმხრივი შეხვედრებისას, ისე საერთაშორისო ფორუმებზე მყოფი ლიდერები.

ოფიციალურად, რუსეთი მხოლოდ მიესალმება უკრაინის გაწევრიანებას ევროპულ გაერთიანებაში, თუმცა, იქვე პუტინი დასძენს, რომ ეჭვობს, ევროკავშირის გაფართოება უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდეს. **"ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობები გვაქვს უკრიანასთან, მჭიდრო კავშირები ეკონომიკაში, მჭიდრო თანამშრომლობა წარმოებაში,** - ამბობს პუტინი, - **ამ, პრაქტიკულად, რუსული ეკონომიკის ნაწილის, ევროკავშირში ჩართვა, იმედი მაქვს, რუსეთზეც დადებითად აისახება."**



*საინტერესო, რამდენად გულწრფელი შეიძლება იყოს ვლადიმირ პუტინი.*

პუტინის თქმით, მიმდინარე წელს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის მიერ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება არანაირად არ უპირისპირდება უკრაინის ევროკავშირსკენ ლტოლვას (თუ ასეთი მას ექნება - ჯერჯერობით, ოფიციალურ კიევს არ უთხოვია ევროკავშირში მიღება. სხვათა შორის, ამის შესახებ ორი დღის წინ ბრიუსელშიც აღნიშნეს). თუმცა, საწინააღმდეგო მოსაზრებები, როგორც პოლიტიკოსთა, ასევე ექსპერტთა მხრიდან არაერთგზის გამოითქვა.

გუშინდელი შეხვედრისას ორი ქვეყნის ლიდერი კიდევ ერთ მტკივნეულ თემას - ერაყის საკითხსაც შეეხო. **"რუსეთი, რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებს ერაყის აღდგენაში თავისი წვლილის შესატანად,** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, - **ჩვენი კომპანიები მზად არიან, უსაფრთხოების თვალსაზრისით ხელსაყრელი ვითარების დამყარებისთანავე დაბრუნდნენ ერაყში. თუმცა, როგორც ვხედავთ, ასეთი პირობები, ჯერჯერობით, არ არსებობს."**

რუსეთს, რომელსაც სადამ ჰუსეინის რეჟიმთან ფრიად მომგებიანი ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდა, ბუნებრივია, სურს, დაიბრუნოს ერაყის ნავთობბაზარზე ხელსაყრელი მდგომარეობა. ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო (აშშ-ს ზეწოლასთან ერთად), რომ უკანასკნელ მომენტში რუსეთი, პარიზის კლუბის სხვა წევრთა მსგავსად, ერაყისთვის ვალების ჩამოწერას დათანხმდა. ახლა რუსეთი ცდილობს, ნებისმიერ სიტუაციაში გაახსენოს მსოფლიოს, რომ მან ერაყს ყველაზე დიდი ოდენობით თანხები ჩამოაწერა. შესაბამისად, მისი წილიც ერაყული ნავთობბიზნესის მოგებიდან უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

*24 საათი*

# აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით

უკვე ერთი წელი გავიდა დიდი ბელადის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მრავალწლიანი მმართველის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შემდეგ. მან თავის ერს შეუფასებელი მემკვიდრეობა - სუვერენული, მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში და საერთაშორისო ურთიერთობებში ინტეგრირებული სახელმწიფო დაუტოვა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით ქვეყანამ ძალიან რთული გზა განვლო - ანარქიიდან და ქაოსიდან, სტაბილურობამდე და აყვავებამდე. ეს ათი წლის ისტორია კი ქვეყნისთვის და ერისთვის ჰეიდარ ალიევის ჭეშმარიტი მსახურების მაგალითს წარმოადგენს. იგი თავის გადაწყვეტილებებში ყოველთვის ერის პრობლემებით ხელმძღვანელობდა. მისი სიბრძნის და ცოდნის წყალობით რესპუბლიკის მოსახლეობამ, მისთვის ყველაზე რთულ წუთებში, როცა საფრთხე ქვეყნის უდიდეს მონაპოვარს - სუვერენიტეტს ემუქრებოდა, შეძლო, გაერთიანებულიყო თავისი ეროვნული ლიდერის გარშემო და მსოფლიო საზოგადოებამდე სიმართლის მისატანად საერთაშორისო იზოლაცია გაერღვია.

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანას მრავალრიცხოვანი პრობლემები დაატყდა თავს. შედეგად იგი სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. თუმცა, ჰეიდარ ალიევის ნებამ, ვაჟკაცობამ და ცოდნამ საშუალება მოგვცა, გადაგველახა ყველა არსებული პრობლემა და დაგვესახა ის პოლიტიკური გეზი, რომელმაც რესპუბლიკაში სტაბილიზაციის აღდგენა და მთელი თავისი რესურსების მობილიზებით ცნობილი, დემოკრატიული ქვეყნის შექმნა გახადა შესაძლებელი.

თუმცა, ეს გზა ყოველთვის არ იყო იოლი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც, ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები და თავდასხმები ეწყობოდა, რათა მისი პატიოსანი სახელისთვის ჩირქი მიეცხოთ. თუმცა, ამ მცდელობებმა ვერ შეძლო მასში თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის სურვილის ჩაკვლა და აღებული გეზიდან გადახვევა.



აზერბაიჯანის აყვავებაზე დაუღალავი ზრუნვისას, ჰეიდარ ალიევს რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთსასარგებლო და პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად კარგად მოფიქრებული და დეტალურად გათვლილი სტრატეგია გააჩნდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოძმე საქართველოს. სწორედ მისი მონდომების წყალობით, პრაქტიკული გადაწყვეტილებების და მრავალრიცხოვან საერთაშორისო და რეგიონულ პროექტებში თანამშრომლობის გზით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ყოველთვის პოზიტიურად ვითარდებოდა. ალიევის ყურადღების მიღმა არ რჩებოდა აზერბაიჯანის ფარგლებს გარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელების პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ამ თემას საქართველოს მთავრობის სისტემატური ყურადღება ეთმობოდა. ამიტომაც დღეს, ერთი წლის შემდეგ, მოძმე ქართველი ერი ისევე განიცდის ჰეიდარ ალიევის დაკარგვას, როგორც ნებისმიერი რიგითი აზერბაიჯანელი. გასული რამოდენიმე დღის მანძილზე საქართველოს რიგ რეგიონებში და თბილისში ჰეიდარ ალიევისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო ღონისძიებები მოეწყო. ჩვენ მადლობას ვუხდით საქართველოს ასეთი ყურადღებისათვის, რომელიც ჩვენთვის ასე ძვირფას ადამიანს დაუთმო. ასობით ადამიანი მივიდა იქ, რათა თანაგრძნობა გამოეხატა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობისთვის და დაერწმუნებინა აზერბაიჯანელი ხალხი იმაში, რომ საქართველო ყოველთვის იყო და მომავალშიც სტრატეგიული პარტნიორის გვერდით იქნება.

დღეს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის სახით, ქვეყანამ ეროვნული ლიდერის ღირსეული მემკვიდრე ჰპოვა. მას, თავისი წინამორბედის მსგავსად, რესპუბლიკა დემოკრატიის გზით მიჰყავს. ჰეიდარ ალიევმა განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებად ის მეგზური აირჩია, რომელზეც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება იგება. ეს ქვეყნისთვის აყვავების და პროგრესის პერსპექტივებს ქმნის. აზერბაიჯანის საზოგადოებას და მთავრობას საერთო სურვილი ამოძრავებთ, ააშენონ თანამედროვე, ძლიერი, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო, რომელიც მხარს დაუჭერს რეგიონის ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობებს და მზად იქნება, გადაჭრას ამ მიმართულებით მდგარი ნებისმიერი პრობლემა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ ახალგაზრდა, მსოფლიო პოლიტიკაში უკვე აღიარებულ სახელმწიფოში, რომლის ავტორი და შემოქმედი ჰეიდარ ალიევია და მის მიერ დაწყებულ საქმეს ვაგრძელებთ.

*რამიზ ჰასანოვი*
*აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში*

გიგა გურასაშვილის სვეტი

## ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ანუ, ანანო და მთელი კლასი



"სწავლა სიკვდიმდე შენია"... იცით. გამეორება ცოდნის დედააო, - ესეც იცით! ჰოდა, როცა გვეგონა, - სკოლაში სიარულს თავი დავანებეთო, - თურმე ვცდებოდით, ყველაფერი წინ გვქონია, თანაც - ბევრად რთული სასკოლო პროგრამით.

დღეს რომ სასწავლო პროგრამის ავკარგიანობაზე ცხარედ დავობენ და კამათობენ, ეს ლოგიკურიცაა და აუცილებელიც. ვერ გეტყვით, საბოლოოდ რას მოგვიტანს რეფორმა თუ რეფორმები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რაღაც უნდა შეიცვალოს, თანაც - უკეთესობისკენ და რაც შეიძლება სწრაფად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სასწავლო პროგრამების ტემპები, რომლებიც დღეს საშუალო სკოლებშია, იქამდე მიგვიყვანს, რომ ბავშვები მას ფეხს ვერ აუწყობენ (თუ უკვე ვერ უწყობენ).

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბავშვები "გადაიწვებიან", რაშიც საკუთარი, უფრო სწორად, ჩემი დისშვილის, ანანოს მაგალითიც გამოდგება.

ანანო მეხუთეკლასელია, ანუ ჩემი თაობისთვის ძველებური ათვლით - მეოთხეკლასელი. აქვე ვთქვათ, რომ დისშვილის სასწავლო პროგრამის გადამკიდე, ჩვენი ოჯახის თითოეული წევრი: დე ანუ დედა, ბა - ბაბუა, ბე - ბებია და გიგალო - იგივე მე, როგორც ანანო მებიძას მეძახის, მეხუთე კლასში ვართ. ერთი ეგაა, მერხებთან არ ვსხედვართ, თორემ მეხუთე კლასის პროგრამის ათვისება სრულიად ჩვენს კისერზე გადადის. მაგრამ ვაი, რომ ვერც ანანოს, ვერც მის კლასელებს, თუ მათ მასწავლებელთა ტემპს ჩვენც - ოთხი კაცი ერთად, ვერ ვუწყობთ ფეხს; თანაც, მართალი გითხრათ, სკოლაში სიარულიც აღარ გვინდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დავიღალეთ, აღარ შეგვიძლია!

არადა, მანამ ჩვენი ოჯახი იძულებით გადავიდოდა მეხუთე კლასში, ყველაფერი ხუთიანზე იყო. ანანო დამოუკიდებლად სწავლობდა გაკვეთილებს; დღეში რამდენიმე ხუთიანიც მოჰქონდა შინ. ამის გამო, ლამის, გაგვაკოტრა კიდეც.

საქმე ისაა, რომ ანანოს ერთგვარი "პრემიალური" დავუწესეთ - თითო ხუთიანზე - 50 თეთრი, ან "სნიკერსი". ჯიბეზე ხელის გაკვრა ბაბუას, დედას და მე გვიწევდა, ბე კი "გადასახადებისგან" თავისუფალი იყო, რადგან არ მუშაობს. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ ოჯახის წევრებს ანანოს ხუთიანები აღარ "მოგვწონდა", რადგან ოჯახის ბიუჯეტს გვარიანად ურტყამდა. საკუთარი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ "პრემიალურების" გაცემას ველარ ავუდიოდი და ბოლოს საკმაო ვალიც დამიგროვდა. ამის გამო, "პრემიალურებმა" სეკვესტრი განიცადა. ეს კი საჯარიმო სისტემის დანერგვით მოვახერხეთ - ყოველ ოთხიანზე იმ ხუთიანებს 20-20 თეთრი აკლდებოდა. ცოდვა გამხელილი ჯობს და, ამგვარად კონვერტირებული ხუთიანებისა თუ თეთრების მერე აშკარაა, დღეს ჩემს ჯიბეში ხურდა ფულმა იმატა.

და მაინც, რა ხდება? სამაგალითოდ, ანანოს, გიორგის, გვანცას, დათოს თუ მარიამისა და სხვების ერთი ჩვეულებრივი სასწავლო დღის განრიგს, თუ გაკვეთილების ნუსხას მოვიყვანთ. დავიწყოთ ქართული ლიტერატურით, რომელიც, მართალი გითხრათ, დღევანდელი წერილის "შთაგონების" წყარო გახდა. როგორი ამბავია, ათი წლის ბავშვს მომდევნო დღისთვის სასწავლად მისცე "ამბავი როსტევან არაბთა მეფისა", კერძოდ 12 სტროფის გარჩევა წერილობით - ანუ შინაარსი დასაწერად; ამას დამატებული როსტევანისა და თინათინის დახასიათება - ისიც წერილობით; პლუს - აფორიზმები; ვეფხისტყაოსანში ხსენებული სახელმწიფოების, მეფეების, მცენარეების, ცხოველების, ძვირფასი თვლების, ციური მნათობების დასახელებათა ცოდნა და, რაც მთავარია, ექვსი სტროფი ზეპირად! ხალხო, ხომ არ გაგიჟდით?! დღეს რომ ვინმემ მომთხოვოს იგივე, ჩემზე საცოდავი, ალბათ, არავინ იქნება. ვთქვათ და, როგორღაც თავი გავართვით, ვისწავლეთ, დავიზუთხეთ, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ აზრს გამოიტანს ბავშვი? ეს იგივეა, ლუკმა ისე გადაყლაპო, რომ გემო არ გაუსინჯო, თანაც - "ვეფხისტყაოსანს".

ეგ კი არა, მასწავლებელს დამატებით ტესტების მიცემაც ნდომებია, მაგრამ ბავშვებს გაუბედავთ და დაუწუწუნიათ: მას, გვეყოფაო!

კარგით, რის ვაი-ვაგლახით ლიტერატურა ვისწავლეთ, მაგრამ სხვა საგნებს რაღა ვუყოთ? მაგრამ... მაგრამ ის, რომ ამის დრო არ გვრჩება. არადა, სასწავლია მათემატიკა: დაახლოებით 20 ნომერი ამოცანით, განტოლებებითა თუ მაგალითებით.

ინგლისური: 22 წინადადება თარგმნით, წერილობით და თხრობით, დაახლოებით, ერთი გვერდი.

ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ანანოს კლასელები მეორე ცვლაში არიან - ანუ, როდესაც გაკვეთილები უმთავრდებათ, ბნელა. აქედან გამომდინარე, ბავშვის სკოლიდან გამოყვანისთანავე მშობელი იმის ცდაშია, რომ შინ, რაც შეიძლება, მალე მივიდეს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ისეთი ცნება, როგორიცაა მუსიკაზე სიარული, ცეკვაზე, ცურვაზე... არ არსებობს. შინ მისულს კი ხშირად დენიც არ ხვდება. ჰოდა, გაკვეთილების სწავლა დილით უწევთ - ანუ მაშინ, როდესაც ყველა სამსახურში გარბის და ბავშვისთვის აღარავის სცხელა. ამიტომაცაა, რომ ანანო ტირილს იწყებს, -გაკვეთილებს ვერ ვასწრებო, - და უკვე სკოლაში წასვლაც აღარ უნდა. ამის გამო, ხშირია სურათი, როდესაც ცრემლნარევი ხმით დაუჩივლია: თამაშიც მინდაო.

და კიდევ, დამრიგებელი ქართული ენის მასწავლებელია. ჰოდა, გინდა არ გინდა, პირველყოვლისა დამრიგებლის დავალება უნდა შეასრულო. ანანოს კი მათემატიკა უყვარს, მაგრამ, ქართული ლიტერატურის უზომოდ გადატვირთული პროგრამის გამო, იძულებულია, მათემატიკას ნაკლები ყურადღება დაუთმოს. აღარაფერს ვამბობთ ისტორიაზე, ბუნებაზე და კიდევ, ვინ იცის, რაზე.

ამის შემდეგ იბადება კითხვა: მასწავლებლებო, დარწმუნებული ხართ, რომ ის, რაც ბავშვებს სკოლაში მოაქვთ მომზადებული: დახასიათებები, გარჩევები, მაგალითები, განტოლებები თუ ნათარგმნები, თქვენი მოსწავლეების მიერაა გაკეთებული?

არ ჯობს, რომ ცოტა მისცეთ დავალებად და ხარისხიანად მომზადონ, ვიდრე - ბევრი და ვერაფერი?!

# ნატვრის ხის ნატვრები

ნანა ყაველაშვილი

*"ჩემი ნატვრაა, გავიარო და ვისწავლო. თეონა ბელთაძე; 12 წლის" - ეს "ნატვრა" ფერადი ლენტით სხვა მრავალ "ნატვრასთან" ერთად ცერებლური დამბლით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატ "ნატვრის ხის" ფოიეში "ამოსულ" ნატვრის ხეზე ჰკიდია. მეტყველება და მოძრაობაშეზღუდული ბავშვები საკუთარ პრობლემებს პანსიონატის ექიმებისა და აღმზრდელების დახმარებით ებრძვიან. სასურველ შედეგს, უმეტესად, აღწევენ. ის, ვინც ადრე საერთოდ ვერ მოძრაობდა, ახლა ეტლით გადაადგილდება, ზოგი დამოუკიდებლად სიარულსაც ახერხებს, ბევრმა ლაპარაკი სწორედ "ნატვრის ხეში" დაიწყო. 9 წლის ზაურმა სიარული ჯერ ვერ შეძლო, მაგრამ გამართული ქართულით ამეტყველდა. პანსიონატის დირექტორი, პროფესიით ფსიქოლოგი, დოდო ეგუტია თითოეულის მარცხსა და წარმატებას ერთნაირი სიმძაფრით განიცდის. ბავშვები გრძნობენ ამას და, როგორც კი საშუალება ეძლევათ, მადლიერებას გამოხატავენ - კოცნიან და ხელებზე ეფერებიან.*



ვახო ბესელიას ფოტო

პანსიონატ "ნატვრის ხე"-ში დღეს 3-დან 16 წლამდე ასაკის ორმოცდათხუთმეტი ბავშვია.

"ნატვრის ხე" რვა წელია, არსებობს. ამჟამად იქ 3-დან 16 წლამდე ასაკის ორმოცდათხუთმეტი ბავშვია. ისინი, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან. დღეს პანსიონატში ატარებენ, საღამოს კი შინ ბრუნდებიან.

პანსიონატი თემქაზე, მეხუთე სამშობიაროს მეოთხე სართულზეა განთავსებული. დერეფანში საკმაოდ ცივა, რადგან აქაურები "ტურბოებითა" და ელექტროქურებით, ძირითადად, ოთახებს ათბობენ. სამაგიეროდ, დერეფანში კედლებზე მიმაგრებული ჭრელ-ჭრელი აპლიკაციები და ჭერზე გაბმული, აღმზრდელებისა და პატარების ნახელავი ფერადი გირლიანდები ქმნის წინასაახალწლო, სადღესასწაულო განწყობას. აქაურები საახალწლო კარნავალისათვის მონდომებით ემზადებიან. საზეიმო პროგრამა უკვე მზადაა, ახლა კოსტიუმებს იკერავენ.

პანსიონატში ბავშვებისთვის სასადილო, სავარჯიშო, სამეცადინო ოთახები და ხელოვნების სტუდია მოქმედებს. ირგვლივ სისუფთავე, მაგრამ ხელმოკლეობაა - ინვენტარისა და სათამაშოების სიმცირე იგრძნობა. თუმცა, აქ ბავშვების მიერ შექმნილი ბევრი ნივთი და ნახატია. მოლოდინის მიუხედავად, აქაური ბავშვები საოცრად აქტიურები, მხიარულები და თამამები არიან. ერთმანეთის გვერდით თავს კარგად გრძნობენ; საერთო ენასაც ადვილად პოულობენ.

ჩვენი სტუმრობისას შედარებით უფროსები ხელოვნების სტუდიაში შეკრებილიყვნენ და "მამაო ჩვენოს", შეძლებისდაგვარად, ერთხმად ამბობდნენ. ლოცვის შემდეგ დოდო ეგუტიამ ისინი სათითაოდ გაგვაცნო.

ლიკა მჭედლიშვილი 13 წლისაა; ორი წლისა დედას მიუტოვებია; პანსიონატში დოდო ეგუტიამ შეიკედლა და ახლა იქ ბებიასთან ერთად ცხოვრობს; ჭკვიანთვალებიანი, ეტლს მინდობილი გოგონა მონდომებით ამბობს, - "მზეო, ამოდი, ამოდი"... მერე - "საახალწლოსაც". სტუმრებთან ცოტა მორცხვობს, განსაკუთრებით მაშინ, დოდო მასწავლებელმა რომ თქვა, - შეხედეთ, რა კოპწია გოგოა, რა ლამაზი საყურეები აქვსო. **"ვეჭვობთ, ლიკა დაავადებული დაიბადა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ცხრა თვის რომ გახდა, მაშინ გავიგეთ. ძალიან მძიმედ იყო. ჩვარივით უმოძრაო, ხელით გადამყავდა ერთი ადგილიდან მეორეზე; საჭმელსაც ვერ ყლაპავდა; აქ რომ მოვიყვანეთ, ფაქტობრივად, ხელახლა დაიბადა - ლაპარაკსაც ცდილობს, ეტლის საშუალებით მოძრაობს. ეს ყველაფერი ქალბატონი დოდოს და აქაურების დამსახურებაა"**, - ამბობს ლიკას ბებია ლიანა მჭედლიშვილი.

ნათია გამიდოვა 11-12 წლის ყოფილა, მეექვსე სართულის ფანჯრიდან რომ ჩამოვარდნილა. **"თითქმის დაშლილი მოიყვანეს ჩვენთან. განძრევა უჭირდა. ძალიან რთული იყო მისი რეაბილიტაცია, მაგრამ თვითონ იყოჩაღა, ნამდვილი სასწაული მოახდინა. თავიდან გვეგონა, რომ ვერასდროს გაივლიდა, მიწაზე ფეხს ვერ დგამდა. ახლა ყავარჯნების დახმარებით დამოუკიდებლად მოძრაობს; უფრო მეტიც - გათხოვდა, ამ სამშობიაროში იმშობიარა და მშვენიერი გოგონა შეეძინა. ის ოპტიმისტია. მართალია, მისთვის ძალიან ძნელი და მტკივნეულია, მაგრამ შეუძლია, 24 საათი ივარჯიშოს. ნათია ნათელი მაგალითია იმისა, რომ რწმენასა და მონდომებას სასწაულის მოხდენა შეუძლია"**, - ამბობს პანსიონატის დირექტორი დოდო ეგუტია. ნათია ახლა 27 წლისაა, მისი ქალიშვილი სვეტლანა - სამის.

მშობლები აღიარებენ, რომ მათ შვილებს ოჯახის პირობებში ასეთი შედეგები ვერასდროს ექნებოდათ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ტრანსპორტით პანსიონატი უზრუნველყოფს, ყოველდღე მაინც უჭირთ "ნატვრის ხეში" მისვლა. **"მაღალ სართულზე ვცხოვრობ. როცა სახლში მამაკაცები არ არიან, მიჭირს 14 წლის ბავშვის ეტლით ქვემოთ ჩამოყვანა. ლიფტი კი არ მუშაობს; თანაც, ლიფტების უმეტესობა ისეთი ვიწროა, ეტლი არც მოთავსდება. იმ დღეს სახლში ვტოვებ, მაგრამ გული ძალიან სწყდება,** - ამბობს ერთ-ერთი მშობელი, - **არადა, აქ ბავშვები თავს კარგად გრძნობენ, უადვილდებათ სწავლა, ვარჯიში, ერთმანეთთან ურთიერთობა. ეს პანსიონატი ჩვენც ძალიან გვჭირდება და ჩვენს შვილებსაც".**

სწავლის გარდა, პანსიონატში ბავშვები სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსსაც გადიან, რისი საშუალებაც მათ მშობლებს არ აქვთ. "ნატვრის ხეს" სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აფინანსებს. ერთ ბავშვზე დღეში შვიდი ლარი და 25 თეთრია განსაზღვრული. ეს თანხა კვებას, სასწავლო-სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროცესს ხმარდება. მშობლების თქმით, ეს საკმარისი არ არის, მაგრამ ბავშვები მშივრები არ რჩებიან.

**"ზოგიერთ პანსიონატში უკეთესი პირობები და დაფინანსებაა, რადგან მათ სპონსორები ჰყავთ. რასაც სახელმწიფო ბიუჯეტი პროგრამისთვის გამოყოფს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ერთ ბავშვზე 20-25 ლარი მაინცაა საჭირო, რომ მათ თავი კომფორტულად იგრძნონ. ვცდილობთ, არ დავამძიმოთ სიტუაცია და თანხას ყოველთვის დროულად ვაწვდით",** - ამბობს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახელმწიფო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი მამუკა მაჭავარიანი.

იგი გუშინ "ნატვრის ხეში" იმყოფებოდა, სადაც ინვალიდთა მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის დახურვა თავისებურად აღნიშნეს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაცია "პანაცეამ" საკუთარი სახსრებით უზრუნველყო პანსიონატში ექიმთა ბრიგადის ვიზიტი. კარდიოლოგი, ექოსკოპისტი, პედიატრი, თერაპევტი, ოკულისტი და სტომატოლოგი საკუთარი აპარატურით ეწვივნენ ბავშვებს. აქციის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ეს ერთჯერადი აქცია არ იქნება და სხვა ბავშვებსაც შეეხება. გუშინდელი და შემდგომი გასინჯვების შედეგად მიღებული დიაგნოზების საფუძველზე განისაზღვრება, მომავალში ვის რა სახის კურორტი ესაჭიროება ზაფხულში დასასვენებლად.

იქამდე კი 14 წლის გვანცა ადუაშვილს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება. მისი მშობლები პრეზიდენტის მეუღლეს სანდრა რულოვსს ჩვენი დახმარებით სთხოვენ ხელშეწყობას.

# ახალი პრემიერი - ახალი ბიუჯეტი

*გუშინ თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ ქალაქის პრემიერის თანამდებობაზე თემურ ქურხულის კანდიდატურა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთხმად დაამტკიცა. ოპოზიციურ პარტიებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ახალი პრემიერი უახლოეს მომავალში საკრებულოს წინაშე 2005 წლის ბიუჯეტის პროექტით წარდგება. ერთ კვირაში ქალაქის ვიცე-პრემიერებისა და საქალაქო სამსახურების უფროსების კანდიდატურების ვინაობაც უნდა გამოიკვეთოს.*

ნანა ქადაგიშვილი

ახალი პრემიერი საკადრო ცვლილებებზე კონკრეტულად საუბარს თავს არიდებს. ჯერჯერობით, ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ქალაქის მთავრობაში ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. დროებით უუფროსოდ დარჩენილ საქალაქო სამსახურებს, ძირითადად, ისევ ყოფილი ხელმძღვანელები დაუბრუნდებიან. საუბარია, აგრეთვე, ამ სამსახურების რეორგანიზაციაზე. სავარაუდოდ, ქალაქის კაპიტალური მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურები გაერთიანდება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ახალმა პრემიერმა საკრებულოს უნდა წარუდგინოს, რეალური ბიუჯეტის მხოლოდ მიახლოებითი ვარიანტია და მის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ბევრი რამ შეიცვლება. საკრებულოს ფრაქცია "მემარჯვენეებს" უკვე გაუჩნდათ შენიშვნები, რომლებიც 2005 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებისას, ალბათ, გასათვალისწინებელი იქნება.

მაგალითად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში ახალგაზრდობის ღონისძიებებისათვის 300 ათასი ლარია ნავარაუდევი. თუმცა, არ არის დაზუსტებული, რომელი ღონისძიებისთვის რა თანხაა გაწერილი. გარდა ამისა, პენსიებზე სამლარიანი დანამატისთვის 6 მილიონი ლარია ნავარაუდევი. 2003-04 წლების ბიუჯეტში, ამ მიზნით, 651 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი. გაურკვეველია, მომავალი წლის ბიუჯეტში თანხა რატომ მცირდება, როცა პენსიონერთა რაოდენობამ, შარშანდელთან შედარებით, წელს პირიქით, იმატა. სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, შარშან თბილისში 164 313 პენსიონერი იყო რეგისტრირებული, წელს კი ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ მათი რაოდენობა 167 071-მდე გაიზარდა.

სოციალურად დაუცველი ფენისთვის ბაგირგზაზე უფასოდ მგზავრობის ხარჯებისთვის 153 ათასი ლარია გამოყოფილი. სხვათა შორის, ამ ხარჯებისთვის წლევანდელ ბიუჯეტშიც იყო 110 ათასი ლარი გათვალისწინებული. **"საბაგირო გზები არ გვაქვს და ამ თანხებს რისთვის რიცხავენ"?** - უკვირთ "მემარჯვენეებს".

საბაგირო სამსახური კი განმარტავს, რომ თბილისში სამი საბაგირო გზა - ვაკე-კუს ტბა, ბაგები - სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი და სამგორი - ვაზისუბანი ფუნქციონირებს. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათგან პირველი ორი ამჯერად აღარ მუშაობს. როგორც საბაგირო სამსახურში აცხადებენ, ვაკე-კუს ტბის საბაგირო გზაზე რემონტი კეთდება და მარტამდე არ იმუშავებს. ასე რომ, მართლაც გასარკვევია, წლის განმავლობაში ნახევრად უფუნქციო საბაგირო გზებით მოსიარულეთა კომპენსაციისთვის 153 ათასი ლარი საჭიროა თუ არა.

ქალაქის მთავრობა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში აღმოჩენილი ხარვეზების გამო, თავის მართლებას იოლად ახერხებს. **"ეს პროექტი ბიუჯეტის მიახლოებითი ვარიანტია და სახელწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო კოდექსის დამტკიცების მერე მასში ბევრი რამ შეიცვლება. მანამდე ქალაქის ბიუჯეტზე დაზუსტებით საუბარი ნაადრევია,"** - აცხადებს თემურ ქურხული.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროქტის პარალელურად, ქალაქის მთავრობამ მიწისძვრით დაზარალებულთა, "თბილტრანსის" მძღოლთა და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში მონაწილე მოქალაქეთა პრობლემის მოგვარების 3-7-წლიანი პროგრამაც შეიმუშავა. ამ პროგრამაში აღნიშნული კატეგორიის დაზარალებულთათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა, ბიუჯეტის პროექტთან შედარებით, გაზრდილია.

"თბილტრანსის" მძღოლთა პრობლემის მოსაგვარებლად პროგრამა მომავალი წლისთვის, ფულადი კომპენსაციის სახით, 1 250 ათასი ლარის გაცემასა და 52 საცხოვრებელი ბინის მშენებლობას ითვალისწინებს. დანარჩენი დავალიანების დაფარვა 2006-07 წლებისთვის არის დაგეგმილი. კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის კი გათვალისწინებულია 4 250 ათასი ლარი, საიდანაც 3 მილიონი ლარი კაპიტალურ მშენებლობებს უნდა მოხმარდეს, 1 250 ათასი ლარი კი - კომპენსაციებს.

მიწისძვრით დაზარალებულთათვის, პროგრამით, 27 მილიონი ლარის გამოყოფაა დაგეგმილი (ბიუჯეტის პროექტში 17 750 ლარი დევს). აქედან საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციის ცენტრს უნდა გადაერიცხოს 10 მილიონი ლარი, რაც მრავალსართულიანი ავარიული კორპუსების აღდგენას მოხმარდება; 7 მილიონი ლარი გამგეობებზე გადანაწილდება (საინტერესოა, ამჯერად ამ თანხას რა პრინციპით გაანაწილებენ. წელს ავარიული სახლების აღსადგენად დაფინანსება გამგეობებმა მოსახლეობის რაოდენობის, და არა ავარიული სახლების რაოდენობის, მიხედვით მიიღეს).

დარჩენილი 10 მილიონი ლარი მუნიციპალური საკუთრების ბინების მშენებლობის თანადაფინანსებისთვის არის განკუთვნილი - ანუ ამ თანხას მიიღებს კერძო კომპანია, რომელიც დაზარალებულებსაც აუშენებს ბინებს და თვითონაც ისარგებლებს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალაქის მთავრობა უცხოური კომპანიის ჩამოყვანას აპირებს.

"მემარჯვენეები", ზემოთ აღნიშნული ხარვეზების გარდა, 2005 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას დაშვებულ დარღვევაზეც ლაპარაკობენ. საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების მიხედვით, 2004 წლისა და შემდგომი წლების ბიუჯეტების ხარჯები მიზნობრივი პროგრამის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, ქალაქის მთავრობას 2005 წლის ბიუჯეტის მომზადებამდე მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება საკრებულოს 2004 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებითაც დაევალა. დაზარალებულთა დახმარების მიზნობრივი პროგრამა კი ბიუჯეტის პროექტის შემუშავების შემდეგ შეიქმნა.

# არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ

სოფიკო ჩხაიძე

*"ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოში მხოლოდ სიმბოლურად არ უნდა არსებობდეს. ჩვენი მიზანია ვიბრძოლოთ ნებისმიერი ადამიანის უფლებების დასაცავად. მართალია, რევოლუციის პერიოდში, შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ, დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენც ვიბრძოდით, მაგრამ თუ შევამჩნევთ, რომ ისინიც ძველ გზას უბრუნდებიან და ცხოვრებაში არ დანერგავენ იმ დეკლარაციებს, რაზეც ხელისუფლებაში მოსვლამდე საუბრობდნენ, კვლავ ხალხის ინტერესების დასაცავად დავდგებით და პირველი კრიტიკული თვალი ჩვენ ვიქნებით," - შარშან, 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ლიდერის თინიკო ხიდაშელის ეს სიტყვები დღეს უკვე წინასწარმეტყველურად შეიძლება მოინათლოს. დღეს, ამ სიტყვების თქმიდან ერთი წლის თავზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებაზე ცალსახად იქნა აღნიშნული, რომ დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით, მდგომარეობა კვლავაც საგანგაშოა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სოზარ სუბარის თქმით, საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წინსვლა ნამდვილად არის და ეს ეხება სოციალური უფლებებისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას.*



*"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა ყველაზე "უსამართლო მოსამართლეები" გამოავლინეს.*

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღედ მას შემდეგ იქნა აღიარებული, რაც 1948 წლის 10 დეკემბერს ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია მიიღო. საქართველოში კი ამ დღეს 1998 წლიდან, სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ, უკვე მეექვსედ აღნიშნავენ. გუშინ, ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, ქვეყნის ხელისუფლების მიმართ ყველაზე ლოიალური სწორედ სახალხო დამცველი გახლდათ, უფრო კონკრეტულად, მის მიერ მოხსენიებული, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები უფრო კონკრეტული ჩინოსნების მიმართ პრეტენზიებს შეიცავდა, ვიდრე ზოგადად - ხელისუფლების, რომელსაც, სოზარ სუბარის თქმით, ადამიანის უფლებების დარღვევებთან ბრძოლის ნება ნამდვილად გააჩნია.

გუშინ სახალხო დამცველის ჟურნალისტებთან შეხვედრის დაწყებას მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ და გურამ შარაძემ შეუშალეს ხელი, თუმცა, შეხვედრა მაინც შედგა. სოზარ სუბარის თქმით, საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წინსვლა ნამდვილად არის და ეს ეხება სოციალური უფლებებისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას. სამაგიეროდ, მისი თქმით, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, რაც ყველაზე მეტად აშფოთებთ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. სახალხო დამცველი საგანგაშოდ მიიჩნევს წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტების გახშირებას და მიიჩნევს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები არა ზოგადად ხელისუფლებას, არამედ კონკრეტულად სასამართლო ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს, რომლის რეფორმაც აქამდე გვიანდება.

შეფასებებში გაცილებით მკაცრნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, ბარიკადების რომელ მხარეს იდგნენ ისინი ვარდების რევოლუციის დროს.

თავისუფლების ინსტიტუტისა და "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა აქცენტი სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე გააკეთეს და თუ პირველმა ორგანიზაციამ 25 მოსამართლის უსამართლობის გამო იუსტიციის საბჭოში საჩივრის შეტანის შესახებ გააკეთა განცხადება, კონსტიტუციის 42 მუხლის ადვოკატებმა რამდენიმე, კანონის არაფრად ჩამგდები მოსამართლე საჯაროდ დაასახელეს.

ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო ერთი წლის მანძილზე ადამიანის უფლებათა და კანონის დამრღვევ მოსამართლეთა შორის გამორჩეული არიან საოლქო სასამართლოს მოსამართლეები მზია ლომთათიძე, მამუკა გიორგაძე, კარლო ბზიაშვილი, მანანა ქურდაძე, მანანა ჩაჩანიძე, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლე შალვა კვარაცხელია.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელთა განცხადებით, ეს მოსამართლეები კანონის უხეშ დარღვევაზე არ რეაგირებენ, რისი მიზეზიც მათი კორუმპირებულობა და ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედებაა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ადვოკატი ლია მუხაშავრია კი აცხადებს, რომ ხშირად მოსამართლეებს ძალოვანი სტრუქტურებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ეშინიათ, ან თავად არიან კორუმპირებულები და, შესაბამისად, მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უკანონოა.

გუშინვე ადვოკატებმა იმ მოსამართლეთა გვარები დაასახელეს, რომლებიც, მათი განცხადებით, პროკურატურის გავლენის ქვეშ არ მოექცნენ. მათ შორის არიან თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები - ვაჟა ქასალაშვილი, მთვარისა კევლიშვილი და მაია ივანიძე.

მიუხედავად იმისა, რომ "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატთა პრესკონფერენციის ძირითადი თემა სწორედ "უსამართლო მოსამართლის" წოდების დარიგება გახლდათ, მათ ვერც ადამიანის სხვა უფლებების დარღვევაზე საუბარს აუარეს გვერდი. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ "ვარდების რევოლუციის" შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ადამიანის წამების ფაქტები გახშირდა. გარდა ამისა, გაიზარდა საეჭვო ვითარებაში მომხდარ თვითმკვლელობათა, უკანონო დაკავებათა და იარაღის ჩადების შემთხვევები.

სწორედ ამგვარ დარღვევებზე გაამახვილეს ყურადღება არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლებმა. როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ განაცხადა, 2004 წელს წინასწარი დაკავების საკნებში ცემა-წამების 150 ფაქტი დაფიქსირდა, ფიზიკური ზემოქმედების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ციხე-საპყრობილეებში გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულთა რიცხვმა 40-ს მიაღწია. აქვე ითქვა, რომ მართლმსაჯულების სისტემა პოლიტიკური დაკვეთების აღმსრულებელ დაწესებულებად იქცა, მოქალაქეებისთვის იარაღის და ნარკოტიკების ჩადების ფაქტებმა კი საგრძნობლად იმატა.

დაბოლოს, როგორც მოგეხსენებათ, დაახლოებით ორი თვის წინ, წინასწარი დაკავების საკნებში ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან და გენერალურ პროკურორთან ერთად სახალხო დამცველმა მონიტორინგის ჯგუფების შექმნის შესახებ ამცნო საზოგადოებას.

გუშინ კი სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ეს ჯგუფები ბოლომდე ჯერ კიდევ არ დაკომპლექტებულა. ანუ, იმედი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მდგომარეობა ერთი მიმართულებით მაინც ცოტათი გამოსწორდება, კვლავ მხოლოდ იმედად რჩება.

## "საქაერონავიგაციის" ექვმიტანილი ყოფილი უფროსი "24 საათს" უჩივის

*"24 საათი" რესპექტაბელური, აკადემიური გაზეთია, ეს სოლიდური გაზეთი მკითხველთა ფართო წრეებზეა გათვლილი, მეტად ვრცელდება, ვიდრე "ალია" და ამიტომაც, მისგან მოყენებული ზარალი მეტად შეფასდა - 25 ათას ლარად. გაზეთი "ალია" კი ყვითელი გაზეთია, შესაბამისად, მისგან მოყენებული ზარალი 15 ათასად შევაფასეთ," - ასე განმარტავს ადვოკატი გოჩა სვანიძე მისი საჩივრის ძირითად მოთხოვნებში არსებულ განსხვავებას. საქმე ისაა, რომ გოჩა სვანიძე "საქაერონავიგაციის" ყოფილი ხელმძღვანელის ალექსანდრე სილაგაძის ინტერესებს ვაკე-საბურთალოს სასამართლოში იცავს.*

უფრო კონკრეტულად, ალექსანდრე სილაგაძემ "24 საათსა" და "ალიაში" გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებშიც სილაგაძის საქმიანობის პერიოდში "საქაერონავიგაციაში" არსებულ დარღვევებზე იყო საუბარი, მისი ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიიჩნია და გაზეთებისგან მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მატერიალურადაც მოითხოვა. "სოლიდურ და რესპექტაბელურ "24 საათს" 25 ათასი დააკისრა, "ყვითელ "ალიას" კი 15 ათასი. პროცესი, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, გადაიდო.

სახელმწიფო საწარმო "საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელის ალექსანდრე სილაგაძის საეჭვო საქმიანობის თაობაზე პუბლიკაციები 30 აპრილსა და 20 მაისს ჟურნალისტმა ოთარ ქირიამ გამოაქვეყნა. პუბლიკაციებში საუბარი იყო წლების მანძილზე "საქაერონავიგაციაში" მიმდინარე პროცესებზე. პუბლიკაციები დაიწერა კონკრეტულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებშიც ნათლად იყო ასახული, თუ როგორ კოტრდებოდა და ინგრეოდა ქვეყნისთვის სტრატეგიული დანიშნულების დარგი - ქართული ნავიგაცია. დოკუმენტები, რომელიც პუბლიკაციაში იყო გამოყენებული, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ყურადღების ობიექტიც გახდა. საქმე ისაა, რომ გენერალურ პროკურატურაში "საქაერონავიგაციაში" დაშვებული კორუფციული ხარვეზების გამო საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე და 332-ე მუხლის პირველი ნაწილებით, უფლებამოსილებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლებით აღიძრა. სილაგაძე, ჯერჯერობით, ეჭვმიტანილის სტატუსით სარგებლობს. მისი დაკითხვა გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა ვერ მოახერხეს, რადგან იგი საქართველოში არ იმყოფება. რის გამოც, მან "გაზეთების მიერ შელახული რეპუტაციისა და ღირსების" დაცვა პირადად ვერ მოახერხა. როგორც ადვოკატი გოჩა სვანიძე ირწმუნება, სილაგაძე აზერბაიჯანის ერთ კლინიკაში გულ-სისხლძარღვთა იშემიურ დაავადებას მკურნალობს და ამის თაობაზე გენერალურ პროკურატურაში აღძრულ საქმეშიც დევს ცნობა.

ალექსანდრე სილაგაძემ თანამდებობა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 19 თებერვალს დატოვა, მის ნაცვლად, დედაქალაქის ყოფილი ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი დაინიშნა. სხვათა შორის, სილაგაძის საეჭვო საქმიანობის თაობაზე გიორგი კარბელაშვილმაც გადასცა გენერალურ პროკურატურას მასალები.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ "საქაერონავიგაციამ" რამდენიმე პროცესი უკვე წააგო. ყველა წაგებული საქმე სწორედ სილაგაძის საქმიანობის პერიოდს ეხებოდა.

მოსარჩელე მხარის - ალექსანდრე სილაგაძის უსაფუძვლო სარჩელს, შესაგებებელი სარჩელი მოჰყვა. "24 საათი" "საქაერონავიგაციის" ყოფილ ხელმძღვანელს ცილისწამებაში ადანაშაულებს და მისგან 100 ათას ლარს ითხოვს. დოკუმენტები, რომლებიც სქელტანიან კიპად არის აკინძული და რომელთა საფუძველზეც დაიწერა "24 საათში" გამოქვეყნებული მასალები, უახლოეს დღეებში ვაკე-საბურთალოს სასამართლოში შევა. ამ მასალების უარყოფა და ალექსანდრე სილაგაძის უდანაშაულობის მტკიცება ადვოკატ გოჩა სვანიძეს, რომელიც თავს "დამრტყმელ ძალას" უწოდებს, ძალიან გაუჭირდება. არადა, როგორც ჩანს, სილაგაძისა და მისი ადვოკატის ინტერესში საგაზეთო პუბლიკაციების უარყოფა და მათი ცილისწამებად გამოცხადება შედის, რადგან სასამართლოს მიერ გამოტანილი მსგავსი გადაწყვეტილება სილაგაძეს, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოქვეყნებაშია ეჭვმიტანილი, გენერალურ პროკურატურაშიც წაადგება. თუმცა, როგორც გითხარით, იმ დოკუმენტური მასალების უარყოფა, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ ნიავდებოდა სახელმწიფოს - "საქაერონავიგაციის" სოლიდური თანხები, სილაგაძესა და მის ადვოკატს ძალიან გაუჭირდებათ.

*24 საათი*

## პოლიციის მაიორმა თავი მოიკლა

გუშინ, დაახლოებით დღის ორ საათზე, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა, აფხაზეთიდან დევნილმა, უმუშევრად დარჩენილმა პოლიციის მაიორმა ბონდო ლუკავამ, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმებული შენობის მე-5 სართულზე თავი მოიკლა. შემთხვევის ადგილზე, გასროლის ხმაზე მისულებმა ბონდო ლუკავას ხელით დაწერილი წერილი ნახეს.

"ახალგაზრდა კაცის თვითმკვლელობის მიზეზი უმუშევრად დარჩენა და პენსიის გაფორმებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემებია", - ასე აფასებენ გარდაცვლილის ახლობლები თვითმკვლელობის ფაქტს.

თვითმკვლელობის ფაქტზე პროკურატურამ გუშინვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ბონდო ლუკავას მიერ დატოვებული წერილიც უკვე პროკურატურის ხელშია.

შეგახსენებთ, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაუქმებულად დაახლოებით ერთი თვის წინ, პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე გამოცხადდა. სამინისტროს გაუქმების შედეგად, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1600 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................................

საკონტაქტო ტელეფონი..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგეტიკა

გუშინ, დღეს, ხვალ

# გამრიცხველიანების პროგრამა იწყება

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" (სსე), ელექტროენერგიის კომერციული კარგვები, ახალი მენეჯმენტის ხელშეწყობით, მნიშვნელოვნად შემცირდა.

დაარსებიდან, საქართველოს ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მხოლოდ 220 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზზე "აჭარა" გაკეთდა, რომელიც აკავშირებს საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემებს.

ელექტროგადამცემ ხაზებზე და ქვესადგურებში აღრიცხვიანობა ძირითადად კონტროლდებოდა 10 კილოვოლტის ძაბვაზე. საქართველოს ენერგოსისტემამ რეორგანიზაციის ეტაპები განვლო. დეპარტამენტი "საქენერგო" დაიშალა და მის ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი ობიექტები: სს "საქრუსენერგო," "ელექტროსისტემა" და სადისტრიბუციო კომპანიები. ენერგობაზარზე მოქმედი ეს იურიდიული პირები, მათ საბალანსო გაყოფის წერტილებში ელექტროენერგიის აღრიცხვის მოწესრიგებისთვის არ აღმოჩნდნენ მზად. რიგ ქვესადგურებში, პირველადი კომუტაციის სქემები ისე იყო შესრულებული და შედგენილი, რომ მათზე აღრიცხვის მოწყობა დღემდე გრძელდება. ყოველივე, ხელახლაა გასაკეთებელი, რაც უზარმაზარ თანხებთან და შრომასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამ პრობლემასთან გამკლავება მხოლოდ ეტაპობრივადაა შესაძლებელი.

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში, სსე-ის თანამშრომლებმა, შეამოწმეს და მოაწესრიგეს 202 აღრიცხვის წრედი - იმერეთის, გურიის, ქვემო ქართლის, კახეთის, თბილისის, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მესხეთისა და აჭარის ფილიალების ქვესადგურებში. უვარგისობის მიზეზით შეიცვალა და დამონტაჟდა 56 ახალი მრიცხველი. აგრეთვე, მთელ რიგ ქვესადგურებში გარემონტების მიზნით მართვის ფარიდან მოიხსნა, დარეგულირდა და დამონტაჟდა ელექტროგამზომი ხელსაწყოები. ახლახან, სსე-მ შეიძინა 132 ცალი ალფა ტიპის მრიცხველი, რაც ენერგოსისტემაში აღრიცხვიანობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. მათ დამონტაჟებაზე დეტალური პროგრამა მუშავდება.

განსაზღვრულია პრიორიტეტები, თუ რომელ ქვესადგურებში და მინაერთებზე დამონტაჟდება მრიცხველები. ამ მიმართულებით, სსე-ის მეტროლოგიურ სამსახურში დამუშავებული გამრიცხველიანების პროგრამა, რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს, გენერაციის ლიცენზიანტი ობიექტებიდან და მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებიდან მიღებული ან ექსპორტზე გაცემული ელექტროენერგიის აღრიცხვის წრედების მოწესრიგება. მეორე და მესამე ეტაპის ამოცანად 220 და 500 კილოვოლტის ქვესადგურებში ავტოტრანსფორმატორებისა და ტრანსფორმატორების შემყვანების აღრიცხვის წრედების მოწესრიგება და მათი სრული გამრიცხველიანება. აღნიშნული სახის მრიცხველები უკვე დამონტაჟდა ქვესადგურ "დიდი ქუთაისის" თითქმის ყველა მინაერთზე, ასევე "წყალტუბო-220კვ.", მაღალი ძაბვის ქვესადგურზე "დიდი ზესტაფონი". ამ ეტაპზე ახალი მრიცხველები ინსტალირდება შემდეგ ქვესადგურებზე: "წყალტუბო-110კვ.", "სათაფლია-110კვ.", "ჭიათურა-3", 500 კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ქვესადგურში "ქსანი," "ზაკის უბანი-110კვ.", გამრიცხველიანობის პროექტი მიმდინარეობს კახეთის რეგიონში: "გურჯაანი-220კვ.", "ახმეტა-110კვ.", "წინანდალი-110", "საგარეჯო-110კვ."

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად შემცირდა ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები. თუ გასული წლის დასაწყისში ელექტროენერგიის კარგვა 16%-17%-ს შეადგენდა, მიმდინარე წლის 6 თვეში უკვე 8,4%-ი დაფიქსირდა, ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც კომპანიაში აღრიცხვიანობაზე მკაცრი კონტროლი დაწესდა. მაგალითისთვის, 2002 წელს ენერგოსისტემაში დანაკარგები ფიქსირდებოდა 14,9%-ის ოდენობით (საუბარია წლის გაშუალედებულ მაჩვენებელზე), მაშინ, როდესაც დასაშვები ნორმა შეადგენდა 9,95%-ს, თუმცა "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად და აღრიცხვის სისტემის მოწესრიგების ხარჯზე, 2004 წლის 10 თვის მონაცემების მიხედვით, ელექტროენერგიის კარგვა შემცირდა 7,1%-ით.

სადღეისოდ, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-სა და სს "თელასს" შორის გამრიცხველიანება ყველაზე ნაკლებაქტუალური პრობლემაა. მართალია "თელასი"-ს გამრიცხველიანების პროგრამა იდეალური არ არის, მაგრამ სავსებით მისაღებია ამჟამად საქართველოში არსებულ სისტემებს შორის. უფრო მნიშვნელოვანია იმ დიდი პროგრამის განხორციელება, რომელიც სსე-სა და "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" შორის გამრიცხველიანებას გულისხმობს. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ყველაზე ცუდად არის გამრიცხველიანებული. სხვა ენერგოკომპანიებთან (აჭარა, კახეთი, "თელასი") დაკავშირებით, პრობლემები ნაკლებია.

რაც შეეხება მონიტორინგის ცენტრის ეჭვებს, "ელექტროსისტემასა" და "თელასს" შორის გარიგების არსებობის შესახებ, რაც მათი მიხედვით 110კვ-იანი ქსელის სინქრონიზაციას და 220-კვ ქსელის მონაცემების გაუთვალისწინებლობას გულისხმობს, ეს ცნობა, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ინფორმაცია, ჩვენს ქსელში ელექტროენერგიის აღრიცხვის შესახებ, სრულიად ღია და გამჭვირვალეა. სსე ადგენს სადისპეტჩერო ცენტრში თავმოყრილი ელექტროენერგიის ყოველდღიურ გრაფიკებსა და სქემებს, ადარებს მათ გასული წლის მონაცემებს და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, როგორიცაა "თელასი", "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი" და ა.შ. ასე რომ, მსგავსი რამ გამორიცხულია. ჩვენ თავად ვართ დაინტერესებული იმ თანამშრომლების გამოვლენით, ვინც ასეთ გარიგებებშია გარეული და მათ დაუყოვნებლივ ვათავისუფლებთ სამსახურიდან.

მას შემდეგ, რაც კომპანიის მმართველობა, "ი-ეს-ბი-აი"-მ გადაიბარა, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსოსტემა"-ში ბევრი რამ გაკეთდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ის ფაქტი ჩაითვალოს, რომ კომპანიის საქმიანობა სრულიად ღიად და გამჭვირვალედ წარმოებს. ასევე გამჭვირვალეა "ელექტროსისტემის" ბიზნეს - ურთიერთობები "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსა" და მის მომსახურე სხვა ენერგოკომპანიებს შორის. ჩვენ საზოგადოებრივი მომსახურების კომპანია ვართ, რადგან ვემსახურებით საზოგადოების ყველა ფენას. ამიტომ, ეს ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია.

კომპანიის მიღწევები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არა მთელი რიგი პრობლემებისა, რასაც მუშაობის პერიოდში აწყდება სსე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, საჭირო სახსრების უქონლობაა. როგორც ცნობილია, კომპანიამ თავი გადახდის უუნაროდ გამოაცხადა. იგი სასამართლოს მიერ ბანკროტად იქნა გამოცხადებული და ამოქმედდა 18-თვიანი რეაბილიტაციის პროგრამა. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის მოგვარება ერთ ან ორ წელიწადში არ მოხერხდება. პარალელურად, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაც" ახორციელებს რეგიონების გამრიცხველიანების პროგრამას, რის შედეგადაც თანხების ამოღება მნიშვნელოვნად გაიზრდება, ეს კი ასახვას ჰპოვებს როგორც "ელექტროსისტემის" ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე მთლიანად საქართველოს ენერგოსექტორზე.

### "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" (სსე) გათვალისწინებულია 4,5 მილიონი ლარი. ამ თანხის ფარგლებში შეძენილი იქნება თანამედროვე ტიპის სააკუმულატორო ბატარეები, ელეგაზური ამომრთველები და სხვა საჭირო სათადარიგო ნაწილები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა მეწყერულ ზონაში მოხვედრილ 35 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზზე-"უწერა", ამჟამად კეთდება 35 კილოვოლტიანი ხაზი "ქვალონი" და მიმდინარეობს ორი ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქცია. სარემონტო სამუშაოები ტარდება ელექტროგადამცემ ხაზზე "არაგვი". 220 კვ. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ხაზი "სურამი", რომელსაც 500კვ. გადამცემი ხაზის გამორთვის შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების ფუნქცია ეკისრება, მეწყერული ზონიდან ახალ ტრასაზე იქნება გადატანილი. სამუშაოები წლის ბოლოსთვის დასრულდება. ელექტროგადამცემ ხაზ "ჩხოუშის" ერთ-ერთ ანძას, მდინარის კალაპოტის შეცვლის გამო, უკეთდება სპეციალური ფუნდამენტი, რომელზეც დამონტაჟდება ანძა და გადამცემი ხაზის მუშაობა უსაფრთხო გახდება. ამასთანავე, ქვესადგურში "დიდი ქუთაისი" მოხდება ავტოტრანსფორმატორის შეცვლა, რომელიც სხვა ქვესადგურიდან იქნება გადატანილი. დაგეგმილია აღდგენითი სამუშაოები სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის ქსელებში და კოდორის ხეობაში. ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მაქსიმალურად უზრუნველყოს ენერგოსისტემის სტაბილური მუშაობა.

გარდა სახელმწიფო სუბსიდიის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოებისა, 2005 წლისათვის დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება 500კვ. სასისტემო დანიშნულების ზესტაფონის ქვესადგურზე.

ძალზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ელექტროგადამცემ ხაზებზე ანძებიდან კუთხოვანებისა და სადენების მოპარვის ფაქტები, რითაც, როგორც ფინანსურად, ასევე ელექტროენერგიის მომარაგების სფეროში, უზარმაზარი ზარალი ადგება ქვეყნის ენერგოსისტემას. დაზიანებულია რამდენიმე ათეული გადამცემი ხაზი, რომელთა აღსადგენად საჭიროა ასობით ათასი ლარი.

*აღნიშნული მასალა, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტს გამოსაქვეყნებლად მიაწოდა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ".*

# იმერეთში მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა

ა.წ. 23 ოქტომბრიდან მოყოლებული, ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რეგულარულად, გაზეთ "24 საათის" შაბათის ნომერში, საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა იმ საზედამხედველო ობიექტებში, რომელთა შემოწმებას სისტემატურად აწარმოებენ დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ჩატარებული შემოწმებების შედეგები უკვე იცის საზოგადოებამ, მაგრამ აღნიშნული პროცესი არ ჩერდება, შემოწმებები მუდმივად მიმდინარეობს სათანადო აქტების შედგენით, რის გამოც მრავალ მეწარმესა თუ ორგანიზაციას დაერღვა მშვიდი ძილი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ენერგოზედამხედველობის სამსახური კიდევ უფრო გააძლიერებს და გაამკაცრებს ბრძოლას დარღვევებისა და უკანონო ქმედებების წინააღმდეგ.

23 ოქტომბრისა და 20 ნოემბრის გაზეთ "24 საათის" ნომრებში გამოვაქვეყნეთ იმ რაიონებისა და საწარმოების შემოწმების შედეგები, სადაც მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოჩნდა, მათ შორის, მივუთითებდით, რომ სავალალო მდგომარეობა იყო იმერეთში. ფაქტობრივად, ეს იყო სექტემბრისა და ოქტომბრის თვის შემოწმების შედეგები. ახლახან კი მივიღეთ ნოემბრის თვის შემოწმების შედეგები, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის II ზონალური ქვედანაყოფიდან, ანუ იმერეთის რეგიონიდან, სადაც იმერეთის სამმართველოს სპეციალისტების მიერ შემოწმდა რეგიონში არსებული ობიექტების ელ.მეურნეობის ტექნიკური მდგომარეობა, რის შედეგადაც ასეთი სურათი გამოიკვეთა:

ქ. ჭიათურაში:

1) ინდ. მეწ. "ცარციძე ენვერი" (მადნის სარეცხი), ჭილლაძის ქ. N30, ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ;

2) ინდ. საწარმო "ლ. ზეინკლიშვილი" (მადნის სარეცხი), სოფ. თაბაგრები, ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ;

3) საკაბელო სტუდია შპს "იმერსალი", ყაზბეგის ქ. N2, ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ და უმრიცხველოდ;

ზესტაფონში:

1) სს "ლადა" ავტოტექმომსახურების სადგური ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ;

2) ავტოტექმომსახურების სადგური "მეგობრობა" ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ;

3) სს "ალავერდი" (რკინიგზის) სადურგლო საამქრო, ქსელზე მიერთებულია უნებართვოდ, არ არის რეგისტრირებული საგადასახადო ინსპექციაში;

აღნიშნული შემოწმების სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე, II ზონის მენეჯერი და იმერეთის სამმართველოს უფროსი, თხოვნით მიმართავენ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის იმერეთის ფილიალის დირექტორს, უზრუნველყოს ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ქსელიდან გათიშვა და არ დაუშვას მათი ქსელზე მიერთება, ენერგოზედამხედველობიდან სათანადო ნებართვის წარმოდგენის გარეშე.

ჩვენ კვლავ ვაუწყებთ და ვაფრთხილებთ ენერგომომხმარებლებს, რომ უკანონო ქმედებებისა და დარღვევების ფაქტების გამოვლენისთანავე, მასალები, სათანადო რეაგირებისათვის, დაუყოვნებლივ გადაეგზავნება ზემდგომ ინსტანციებს და შესაბამის სამართალდამცავ ორგანიზაციებს.

# საზედამხედველო ობიექტების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისას, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მთავარ იარაღს, როგორც ენერგეტიკული საწარმოების, ისე მომხმარებლების ელექტრომეურნეობის შემოწმება წარმოადგენს. ასეთი შემოწმებები ხორციელდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარის მიხედვით, რომელთაგან მთავარია: 1) ობიექტების კომპლექსური შემოწმებისა და 2) ელექტრომეურნეობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის კითხვარი.

დღეს, სახელმძღვანელოდ, საზედამხედველო ობიექტების სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ მუშაკებს ვთავაზობთ კომპლექსური შემოწმების კითხვარს.

### ობიექტის კომპლექსური შემოწმების კითხვარი

I. ობიექტის მოკლე დახასიათება

1. ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების აღწერა;

2. ძირითადი საამქროების ჩამონათვალი;

3. გამოსაშვები პროდუქციის დასახელება;

4. ცვლების რაოდენობა.

II. ობიექტის ელექტრომომარაგება

დაიხაზოს ელ. მომარაგების ცალხაზოვანი სქემა.

1. სქემაზე ნაჩვენები იყოს:

2.1. ძალოვანი ტრანსფორმატორი (ძაბვა, სიმძლავრე, შეერთების ჯგუფი).

2.2. ელ.გადამცემი ხაზი (ძაბვა, სიგრძე, კვეთი).

2.3. მრიცხველები (აქტიური და რეაქტიული მიერთების წერტილი, ძაბვისა და დენის ტრანსფორმატორების ჩვენებით).

2.4. მაკომპენსირებელი მოწყობილობების მიერთების წერტილი, სიმძლავრის ჩვენებით.

2.5. საბალანსო გაყოფის წერტილი.

2.6. ავტონომიური კვების წყაროს (დიზელგენერატორის, აკუმულატორების) მიერთების წერტილი.

2.7. რეზერვის ავტომატური ჩართვის მიერთების წერტილი (მაღალი, დაბალი ძაბვის მხარეს).

2.8. ტექსტში ჩაიწეროს ელ. მომარაგების მოკლე აღწერა.

III. ელექტრომომარაგების იმედიანობა

1. ელექტროდანადგართა მოწყობილობების წესების თანახმად, პუნქტები: 1.2.17 - 1.2.20, განისაზღვროს წარმოების კატეგორია ელ.იმედიანობის თვალსაზრისით.

2. აღინიშნოს პროექტით გათვალისწინებული და ფაქტიურად არსებული სქემის მიხედვით ობიექტის კატეგორიულობა.

3. აღინიშნოს შემდეგი:

ა) რეზერვის ავტომატური ჩამრთველის (რაჩ) არსებობა და მისი აუცილებლობა.

ბ) სარეზერვო კავშირების არსებობა ობიექტის ს/ქ-ბს შორის.

გ) ავტომატური სიხშირის განტვირთვის არსებობა და მისი აუცილებლობა.

დ) სარელეო დაცვების სახეობა.

ე) ბოლოს, გაკეთდეს მოკლე დასკვნა იმედიანობის შესახებ.

IV. ელ.ენერგიის მოხმარება

1. მ/ძაბვის ელ.ძრავების და ძალოვანი ტრანსფორმატორების დადგმული სიმძლავრე

2. ხელშეკრულება ელ.ენერგიის მომხმარებელ ორგანიზაციასთან (ნომერი, თარიღი)

3. მოხმარებული ელ.ენერგიის ანგარიშსწორების ტარიფი

4. ელ.ენერგიის მოხმარება (საშუალო დღეღამური, ყოველთვიური, წლიური)

5. სააბონენტო დავალიანება

V. ელექტრომეურნეობის ტექნიკური მდგომარეობა

1. გამოკვლეული იქნას მთლიანად მაღალი ძაბვის და შერჩევით დაბალი ძაბვის დანადგარი.

2. ქ/ს-ის საამშენებლო ნაწილი.

3. საჰაერო და საკაბელო ხაზები.

4. გამანაწილებელი მოწყობილობები.

5. ტრანსფორმატორები.

6. დამიწების კონტურის არსებობა (რომელი ლიცენზირებული ორგანიზაციის მიერ არის შესრულებული, ოქმი N , თარიღი).

7. ავტონომიური კვების წყარო.

8. გამთიშველები და ზეთიანი ამომრთველები (ზეთიანი ამომრთველების ავარიული გამორთვების რაოდენობა).

9. სტატიკური კონდენსატორები.

10. უსაფრთხოების პლაკატებისა და უჯრედების წარწერების არსებობა.

11. სააკუმულატორო ბატარეა (წარწერები, ვენტილაცია, დამცავი საშუალებები, ხსნარების არსებობა, კაპიტალური რემონტი ექსპლოატაციაში გაშვებიდან).

12. მუშა და ავარიული განათება.

13. ძალოვან დანადგართა, მეორადი კომუტაციის გამოცდების პერიოდულობა.

14. სარელეო დაცვა და ავტომატიკა.

15. სახელმწიფო მეტროლოგიურ კონტროლსა და ზედამხედველობას დაქვემდებარებული გამზომი ხელსაწყოები (ვის მიერ არის დამოწმებული, დამოწმების პერიოდულობა).

16. სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებულ ელ.დანადგარებსა და მოწყობილობებზე შესაბამისობის სერტიფიკატის არსებობა.

17. ბოლოში გაკეთდეს დასკვნა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

VI. ტექნიკური უსაფრთხოება

1. მუშაობა პერსონალთან.

2. ცოდნის შემოწმება.

3. ინსტრუქტაჟის ჩატარება.

4. ელ.მომსახურე პერსონალის სამედიცინო შემოწმება.

5. დამცავი საშუალებების ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის არსებობა და მათი განლაგება (გამოცდების თარიღი, ვის მიერ არის ჩატარებული, აკრედიტაციის არსებობა).

6. ბოლოში გაკეთდეს დასკვნა ტექ. უსაფრთხოების შესახებ.

VII. ელ.ტრავმატიზმის მდგომარეობა

1. ელ.დენით გამოწვეული უბედური შემთხვევების არსებობა (რაოდენობა და თარიღი).

VIII. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. საკვალიფიკაციო ბრძანების არსებობა ელ.მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნაზე (ჯგუფი, გ.ს.მ. ბრძანების N და თარიღი).

2. დამტკიცებულ იმ პირთა სია, ვისაც ელ.დანადგარების ერთპიროვნული დათვალიერების, ოპერატიული განკარგულებების გაცემისა და სხვა უფლება აქვს.

3. განაწესებისა და განკარგულებების გაფორმება.

4. შემდეგი სახის ჟურნალების არსებობა:

ა) ოპერატიული;

ბ) ელ.დანადგართა დეფექტების;

გ) საკონტროლო მზომი ხელსაწყოებისა და ელ.მრიცხველების ჩვენების უწყისები.

5. შემდეგი ოქმების არსებობა:

ა) დამიწების და დანულების;

ბ) მ/ძ დანადგარების და სარელეო დაცვის გაწყობის;

გ) ელ.მზომი და დამცავი საშუალებების გამოცდის;

დ) ტრ-ის და საიზოლაციო ზეთის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი. (რომელი აკრედიტებული ორგანოს მიერ არის შემოწმებული N, თარიღი).

6. ელ.დანადგარების საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკის არსებობა და მისი შედგენის ხარისხი.

6.1. ენერგოტევადი დანადგარების მიმდინარე ან კაპიტალური რემონტი.

7. თანამედროვე და საექსპლოატაციო ინსტრუქციების, ელ.დანადგარების პასპორტებისა და ნახაზების, საამქროებისა და უბნების ელ.მომარაგების სქემების არსებობა. ყველა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა ინახოს და ბოლოს გაკეთდეს დასკვნა ტექ.დოკუმენტაციის შესახებ.

IX. აღრიცხვის წრედების მდგომარეობა

1. მრიცხველების დაყენების ადგილი.

2. მრიცხველების, დენის და ძაბვის ტრანსფორმატორების მონაცემები.

მრიცხველების ჩვენება შემოწმების დროს (თარიღის ჩვენებით).

3. დამლების არსებობა მრიცხველებზე და ძაბვის ტრანსფორმატორების უჯრედებზე.

4. მრიცხველების შემოწმების პერიოდულობა.

5. ბოლოში გაკეთდეს დასკვნა აღრიცხვის წრედების მდგომარეობის შესახებ.

X. ატმოსფერული ზემაბვისგან დაცვა

1. აღწერა, განლაგების სქემა.

2. მცლელების რაოდენობა და ტიპი.

3. მეხამრიდების გვარლის სიგრძე, კვეთი, დამიწება და ადგილმდებარეობა.

4. გაკეთდეს დასკვნა.

XI. ავარიული გამორთვები

1. ავარიული გამორთვების ჟურნალის არსებობა.

2. გამორთვის მიზეზი, თარიღი და გამორთვის ხანგრძლივობა.

XII. ელ.ენერგიის ხარისხი მიღებული ენერგოსისტემებიდან

1. შემოწმდეს ელ.ენერგიის ხარისხი.

2. გაკეთდეს დასკვნა ელ.ენერგიის ხარისხის შესახებ.

XIII. ელ.ენერგიის ხარჯის ნორმირება

1. რა მეთოდით არის დამუშავებული ელ.ენერგიის ხვედრითი ნორმები და მათი სტრუქტურა.

2. ვის მიერ არის დამუშავებული და დამტკიცებული ხვედრითი ნორმები.

3. წერილის თარიღი და ნომერი ელ.ენერგიის ხვედრითი ნორმების შესახებ.

4. ინსტრუქციების არსებობა ნორმირების შესახებ.

5. ელ.ენერგიის ხარჯის აღრიცხვა საამქროების ტექნოლოგიური პროცესისა და მსხვილი ტექნოლოგიური აგრეგატების მიხედვით.

6. წარმოებაში ნორმირების ბიუროს ან ჯგუფის არსებობა.

7. აღინიშნოს რაციონალური წინადადებებისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების დანერგვა ხვედრითი ნორმების შემცირებაზე.

8. ბოლოს გაკეთდეს დასკვნა.

XIV. რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაცია

1. სინქრონული ელ.ძრავების, სტატ. კონდენსატორების ბატარეებისა და სინქრონული კომპენსატორების სიმძლავრე ძაბვების 0.4-6-10 კვ მიხედვით და ჯამში.

2. სტატ. კონდენსატორების ბატარეების სიმძლავრის რეგულირება (ხელით, ავტომატურად) ავტომატურად რეგულირებადი სიმძლავრე, რამდენია რეზერვი.

3. ოპტ. მნიშვნელობა დადგენილი ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციის მიერ (თუ არა აქვს დადგენილი, დაუდგინდეს).

4. ხელშეკრულების არსებობა რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაზე ხელშეკრულების გაფორმებით.

5. რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაზე დანამატის გამოყენება.

6. ბოლოში გაკეთდეს დასკვნა რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაზე.

XV. ავარიული ტექნოლოგიური ჯავშანი

1. ნაჩვენები იქნეს კვტსთ და კვტ.

2. შედგენილი იქნეს სათანადო ავარიული და ტექნოლოგიური ჯავშნის აქტი.

XVI. მიწერილობების შესრულება

1. როდის იყო ჩატარებული წინა შემოწმება და რა სახის.

2. რამდენი მიწერილობა გაიცა, რამდენი შესრულდა.

3. ჩამოთვლილი იქნეს მხოლოდ ის მიწერილობები, რომლებიც არ შესრულებულა (მიზეზი).

XVII. დასკვნა

1. გაკეთდეს ტექნიკური მდგომარეობის მოკლე ანალიზი.

XVIII. ენერგოზედამხედველობის მიწერილობები

1. გაიცეს კონკრეტული მიწერილობები შესრულების ვადების ჩვენებით.

**შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საზედამხედველო ობიექტზე ტექნიკური გაუმართაობის გამო მოსალოდნელია ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების დაზიანება, რომელმაც შეიძლება ელექტროსისტემაში ავარიული სიტუაცია გამოიწვიოს, დეპარტამენტი უფლებამოსილია, აკრძალოს მათი შემდგომი ექსპლუატაცია.**

**"ელექტროენერგიის მოხმარების დროებითი წესების" დარღვევის შემთხვევაში, საზედამხედველო ობიექტის ხელმძღვანელობის მიმართ გატარდება ადმინისტრაციულ-საჯარიმო ღონისძიებები, ამას გარდა, თუ სხვა დარღვევებიც აღმოჩნდა, მაგალითად, ენერგეტიკული დანადგარებისა და მოწყობილობების ტექნიკური გაუმართაობა, უსაფრთხო ექსპლოატაცია, დატაცებები და სხვ., გამოიყენება მიწერილობები (შესრულების ვადების მითითებით) და საჯარიმო სანქციები.**

**მიწერილობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საზედამხედველო ობიექტებს შეუწყდებათ ელექტროენერგია და განხორციელდება ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.**

P.S. დეპარტამენტის მიერ მომზადებული ზემოთ აღნიშნული "ობიექტის კომპლექსური შემოწმების კითხვარის" მიმართ, თუკი საზედამხედველო ობიექტების ხელმძღვანელებს გაუჩნდებათ დამატებითი მოსაზრებები ან შენიშვნები, ვთხოვთ, ამის შესახებ მასალები მიაწოდონ დეპარტამენტის რეგიონულ სამმართველოებს ან უშუალოდ დეპარტამენტს.

## პოეზია კომპოზიტორთა ნასახალისებლად

სახელმწიფო განაახლებს მუსიკალურ შეკვეთებს



B2

## World Soccer-ის ვერსიით, საუკეთესოა რონალდინიო

ვის აირჩევენ France Football-ი და FIFA?



B4

## ერთი კვირის შთაბეჭდილებები



B6

# ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის ხელოვნება

### რუსთაველის თეატრის ნოემბრის თვის გასტროლების შესახებ

თამარ ბოკუჩავა

სანამ ქართველნი
სახეთა ედემის გრაფიკას კვეთენ,
გერმანელები ძერწავენ და
კალათებში აწყობენ კვერცხებს.
თუმცა, შეიკრა ცოცხალი ძაფით
და დაიძრა ჩვენი საერთო კიდობანი.
მოკირწყლულ ქუჩებს
ველარ სცემენ ჩლიქებს ციკანნი.
კოლხეთი ლატაკდება. ევროპა
ვეებერთელა ტელე-ციკლოპის
თვალის რქოვანით ლაპლაპებს...
ლატაკი ღარიბი არ არის - ის ლატაკია,
ის - ის არის. რადგან მიზანი მხოლოდ
გადარჩენაში როდია,
უნდა გადარჩე ისეთი, როგორიც ხარ
და არა გაგხადეს,
რათა მოქარგო შენი სახე მშრალი
ჯვარედინი ნასკვებით,
და, როგორც ვაზი, შეინახო შენი
ნაკვთები.

*ანატოლი ნაიმანი,*
*19 სექტემბერი, 2003 წელი*

ნაიმანის ეს ლექსი, რომელიც მან საქართველოში თავისი პირველი (და ჯერ ერთადერთი) ჩამოსვლის შემდეგ დაწერა, მოსკოვში წამაკითხეს და ასლიც მომცეს. მომეჩვენა, რომ ის ჩვენი წერილის ეპიგრაფად გამოდგებოდა და სახელდახელოდ ვთარგმნე. იმედი მაქვს ლექსის ძირითადი "აზრის" გადმოცემა მცირედ მაინც შევძელი. ლექსისა, რომელიც ადამინურ ღირსებას ეძლვნება. სწორედ ამაზეა რობერტ სტურუას "ჰამლეტის" ახალი რედაქციაც. სპექტაკლი ადამიანის სულიერ ძალაზე, ტკივილსა და სიმრთელეზე მოგვითხრობს, რომელსაც ვერავითარი განსაცდელი და დამცირება ვერ შელახავს. რაც შეეხება რუსთაველელთა მეორე სპექტაკლს - "სტიქსს", მოსკოვში მისი მსოფლიო პრემიერა შედგა. ის ყანჩელის ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა. სიმფონიური პოემა კომპოზიტორმა იური ბაშმეტისათვის დაწერა, რომლის აზრითაც "სტიქსი" ალტისათვის ოდესმე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვში შედის. ნაწარმოები, ისევე როგორც სპექტაკლი - უსიტყვო სანახაობა - "უცეკვოდ ქორეოგრაფიული, რომელიც ყველაფერს ცეკვად აქცევს - სკამების გადანაცვლებას, ადამიანთა მასის შემჭიდროებასა და დაშლას, ქოროდან გმირის ამოზრდასა და ქოროს მიერვე მის შთანთქმას, ყოველდღიურობის მეტაფორულობას, სახეთა თვითჩაღრმავებულ გამომეტყველებას, ირონიის გაელვებასა და შიშის გაკრთომას, მოქმედების ინტენსივობის მორიგი ზრდის წინ შექმნილ პაუზასა და მას მოდევნებულ აფეთქებას..." (ჟურნალი "თეატრის მანია") - გარდაცვლილ ახლობელთა და მეგობართა ხსოვნას ეძღვნება; თუმცა, თანდათან, **"მუშაობის შედეგად, გამოვიდა რაღაც ისეთი, რაც რეკვიემს, მაინცადამაინც აღარ ჰგავს. ასე ხშირად ხდება: რაღაც ერთის კეთებას იწყებ, მაგრამ პროცესის ლოგიკას სხვაგან მიყავხარ. და მე მომწონს, როდესაც ასე ხდება. "ცოცხალ" ცხოვრებას თავისი კორექტივები შემოაქვს. ჩვენ ყანჩელის მუსიკას მივყვებოდით, ხოლო სად მივედით, თქვენთვის მომინდვია განსასჯელად..." (რობერტ სტურუას ინტერვიუდან).** რაც შეეხება გია ყანჩელს, რომელსაც ანდრეი არხანგელსკი კომპოზიტორთან ინტერვიუს შესავალში დღეს მცხოვრებ ქართველთა შორის ყველაზე ცნობილს უწოდებს, ნაწარმოების სახელწოდების იდეა მისთვის გიდონ კრემერს მიუწოდებია, მას შემდეგ, რაც კომპოზიტორმა მას ჩანაფიქრის შესახებ მოუთხრო. ასე დაიბადა რეკვიემი, რომელიც იან სმირნიცკიმ დანტეს მასშტაბის ტილოს შეადარა.

2004 წელი. ნოემბერი. მოსკოვში ყინავს. დომოდედოვოს აეროპორტში თვითმფრინავი გაჭირვებით ჯდება. ძლიერი პირის ქარი ქრის. დაშვება მხოლოდ სამი "რიტუალური" წრის შემდეგ ხერხდება. სამი "მაგიური" წრე სიცოცხლემდე, მოულოდნელი "ინიციაცია" - შიშით "განწმენდა". თითქოს ცაშივე დაიწყო სპექტაკლი "სიკვდილსა და სიცოცხლეზე". ქართველებს უცნაური "ტვირთი" მიაქვთ - "ჰამლეტი" და "სტიქსი", თითოეულს - ერთი ნაწილი მთელის. ბრედბერის - "ფარენჰეიტი - 451" მაგონდება.

ალბათ, ყველა მოგზაურობას, ყველა გასტროლს თავისი საზრისი და განუმეორებელი მისია აქვს. ერთსა და იმავე ქალაქსაც სულ სხვადასხვაგვარად სტუმრობ. რადგან დღეს ჩვენთან "სტიქსის" თემაა პოპულარული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ მდინარეში "ორჯერ ვერ შეხვალ". დღევანდელი გასტროლები "ჭიდილია", ორი ეგზისტენციის, ორი კულტურის სტიქიის რიტუალური "ორთაბრძოლა", აგონი, ერთმანეთის ხელახალი აღიარებისა და ცნობის თამაში. თუმცა, ეს თამაში სერიოზულია, როგორც იტყოდა იოჰანეს ჰოიზინგა. და მართლაც, წლევანდელი გასტროლები ძალზე სერიოზულ და პრინციპულ "თამაშად" იქცა. ქართველები, შეიძლება ითქვას, პირველადაც კი, მოსკოველების წინაშე ღიად "პოლემიკური" პოზიციით წარდგნენ. მათი უპირატესობა აშკარა იყო. ფაქტობრივად, ორი პრემიერა (თანაც როგორი! - წერდა პრესა), დასის სიმამაცე და დიდსულოვნება, მიუხედავად მკვეთრად უარყოფითი პოლიტიკური ფონისა, კიდევ ერთხელ გაწვდილი "მეგობრობის ხელი", ეს ყველაფერი ამ ვიზიტის ირგვლივ არაჩვეულებრივად საინტერესო ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს ქმნიდა. გასტროლების შესახებ ინფორმაციის ორმოცზე მეტმა საშუალებამ აუწყა ქალაქს. ინტერესი იქამდე მივიდა, რომ, როგორც ამბობენ, "იტარ-ტასში" ყანჩელთან და სტურუასთან გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელშიც საპროდიუსერო ცენტრ "მედია რეპაბლიკის" დირექტორი ირინა გოროდეცკაიაც მონაწილეობდა, ორი ტელეოპერატორი მოსახერხებელი ადგილის გამო ერთმანეთს ისე ეჩხუბა, რომ ყველა დამსწრის ყურადღება მიიქცია. "ჩვენ კიდევ ერთხელ გავაკვირვეთ ქართველები", წერდა კორესპონდენტი ამ ინციდენტის გამო. პრესა აღნიშნავდა, რომ ამ შეხვედრაზე რობერტ სტურუა მოლუშული იყო, რაც თავად რეჟისორმა საგასტროლო სცენის ხარვეზებითა და დაღლილობით ახსნა (პექტაკლები პოვარსკაიას ქუჩაზე მდებარე კინომსახიობის თეატრში გაიმართა. ერთ-ერთმა მიმომხილველმა ამ სცენურ სივრცეს "თრეშული" უწოდა და დასძინა, რომ ამისდა მიუხედავად, ქართველების სპექტაკლების სისადავემ და გახსნილობამ თეატრისა და დარბაზის თავისებურება გაამართლა კიდეც). თუმცა, რუსები, რომლებიც სტურუას ქარიზმატულობას განსაკუთრებულად გრძნობენ, მის განწყობილებაში კიდევ სხვა მოტივების დანახვას ცდილობდნენ. ჟურნალისტი ა. ვერდი წერდა:

"საქართველოში სტურუა წინასწარმეტყველად მიაჩნიათ. მის სპექტაკლთა მრავალი მეტაფორა მოგვიანებით ახდა. მაგალითად "მეფე ლირში" სტურუამ სსრკ-ს დასასრულისა და საკუთარი ქვეყნისა და თეატრის ნგრევის განჭვრეტა შეძლო. მაგრამ "სტიქსში"... - სტურუას მეტაფორული თეატრის შედევრში, რომელშიც ეს მეტაფორული ენა სრულყოფილებამდეა აყვანილი - ... არავითარი აპოკალიფსური ჟღერადობა არ არის. პირიქით, მუსიკის დიდებული მოძრაობა ხანდახან სიცილითა და ფარსით "განზავდება", ხოლო სპექტაკლის ფინალში ქორო ხმამაღლა მღერის: სიხარული, სიხარული... სიხარული - სიცოცხლეა, და მომავლის მოლოდინი, და პირქუშ წარსულზე გამარჯვება. და მინდა მჯეროდეს, რომ უდიდესი რეჟისორის წინასწარმეტყველება კვლავაც გამართლდება".

მაშასადამე, საქმე მხოლოდ "ჰამლეტისა" და ყანჩელის "სტიქსის" სცენურ ინტერპრეტაციას არ ეხებოდა, თეატრს გაცილებით მეტი უნდა ეთქვა მოსკოველი მაყურებელისათვის და ახალი ურთიერთობის "ინიცირება" მოეხდინა, მომავლის იმედიც კი მიეცა. თავად მაყურებელიც გაცილებით მეტს ელოდა რუსთაველელებისაგან, როგორც იან სმირნიცკი დაწერს, მათ "სიბრძნესთან შეხება" აჯადოვებდათ და იზიდავდათ.

პირველი სათქმელი რუსთაველის თეატრმა თავად ჩასვლის ფაქტით თქვა. მოსკოველი ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებში რობერტ სტურუას არ დაუმალავს, რომ ზოგიერთ მსახიობს, პოლიტიკური ვითარებისა და ფარული თუ ღია აგრესიის საფრთხის გამო, მოსკოვში წასვლა არ სურდა, მან ამ ადამიანების ასეთი განწყობილების მიზეზიც ახსნა: **"თუ სატელევიზიო გადაცემებით ვიმსჯელებთ, რუსეთში დღეს ჩვენ, უბრალოდ, ვძულვართ. ჩვენი ბევრი მსახიობი ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ამ გასტროლებზე უარი მეთქვა, რადგან ისინი საკუთარი სიცოცხლის გამო შიშობდნენ. მას შემდეგ, რაც წელს მოსკოვში ჩვენი თანამემამულე - ქორეოგრაფი გოგი ალექსიძე ქუჩაში მხეცურად სცემეს, - ამ თავდასხმის შემდეგ ის ვერ მუშაობს და ვერაფერს ხედავს, - ნათელი გახდა, რომ "კავკასიური ეროვნების პირებისათვის" (სიტყვათა საზარელი შეთანხმებაა), რუსეთის დედაქალაქის ქუჩებში სიარული სახიფათოა. მე კი მგონია, რომ თუ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. გახსოვთ, ბროდსკისთან - "მაგრამ ცუდი პოლიტიკა ზნესაც აუარესებს, ეს უკვე ჩვენი საქმეა"... ვფიქრობ, სიძულვილს, ხშირად, უმეცრება ბადებს. სხვა ერის არცოდნა. საკუთარი ისტორიის არცოდნა. შიშიც უცოდინრობისაგან ჩნდება. ადამიანები, ერები ერთმანეთს კულტურითა და ხელოვნებით ეცნობიან. ხანდახან მეჩვენება, რომ რუსმა ერმა, უბრალოდ, უნდა გააცნობიეროს, რომ ის ძალიან დიდი ერია და ძალიან დიდი ქვეყანა აქვს. საქართველოში კი მხოლოდ ოთხი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. განა ეკადრება დიდ სახელმწიფოს პატარას ესხმოდეს თავს?"**



სცენა სპექტაკლიდან




ინტერვიუ სტურუასთან. სპექტაკლის შემდეგ



აპლოდისმენტები გია ყანჩელს

მოსკოვი განსაკუთრებული მოლოდინით ელოდა თეატრს, ჩუმი, დაძაბული, ოდნავ ნაწყენი და ოდნავ მონანიე მოლოდინით. დარბაზის სიჩუმეც განსაკუთრებულად ჟღერდა. "სტიქსის" აჟღერებამდე ყოველი უმნიშვნელო ხმაური განსაკუთრებულ საზრისს იძენდაო, წერდა რეცენზენტი. ამ გასტროლებზე მართლაც ყველაფერმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა - სიჩუმემაც და სიტყვამაც. გია ყანჩელს ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს: "თქვენ ამბობდით, რომ სიჩუმეში ხართ შეყვარებული".

- "უბრალოდ... ჩემთვის სიჩუმეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს... სიჩუმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს... და ყოველთვის ვცდილობ, ან სიჩუმეში წავიდე, ან სიჩუმიდან მოვიდე... სიჩუმე ძალზე მრავალნაირი შეიძლება იყოს, არსებობს დარბაზის თანამონაწილეობის მაუწყებელი სიჩუმე... ეს მჟღერი ცოცხალი სიჩუმეა და ძალზე სასიამოვნოდ გესმის".

კინომსახიობის თეატრში სპექტაკლის სანახავად შეკრებილი მაყურებლის მომლოდინე სიჩუმეში საკუთარ თავში ერთგვარი დაეჭვება ისმოდა, ის მუდმივი თვითრეფლექსია იკითხებოდა, რომელიც ასე გამოარჩევს სტურუას სპექტაკლებს და რომელიც, თითქოს წინასწარ, დარბაზში მსხდომთაც გადაედოთ.

"... ეს სტურუას თვისებაა - ეჭვობდეს. ის არასოდეს იქნება თვითკმაყოფილი. ასე დაეჭვებული წავა ცხოვრებიდან. თუმცა! თუმცა მისი თეატრი დარჩება. მე აღარ გავიხსენებ რამდენ ხანს გაგრძელდა აპლოდისმენტები - 5 თუ 25 წუთს. სტურუას ისინი მაინც არ ესმის. ...სტურუამ და ყანჩელმა სახელი გაუთქვეს მუსიკასა და თეატრს, სახელი გაუთქვეს საქართველოს, ხოლო შეძრული მოსკოვი, თუნდაც ყველაფერს არ იზიარებდეს, მაინც სულგანაბული შესცქერის მათ, რადგან სიბრძნესთან შეხებისა სჯერა... დიდი თეატრის შექმნის სტურუასეული ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადამიანებისაგან, მათი ჟესტების, მოძრაობებისა, და გამოხედვისაგან, სცენის უმარტივესი ხარახურისაგან მსუბუქად ქმნის დანტეს ტილოებს. თვალთმაქცობისა და მოდერნული კეკლუცობის გარეშე", წერდა "მოსკოვსკი კომსომოლეცში" იან სმირნიცკი.

ხოლო "როსიისკაია გაზეტა" სპექტაკლ "სტიქსზე" ნანახსა და განცდილს ასე გადმოსცემდა: "ბევრი სპექტაკლში ქვეყნის (იგულისხმება საქართველო) სიცოცხლის, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის ისტორიას ხედავს... იდეის მხატვრული გამოსახვის საშუალება ამ სპექტაკლში არის არა სიტყვა, არა დიალოგები, რომლებიც აქ საერთოდ არ არსებობს, არამედ პლასტიკური ნახატი, საავტორო მუსიკა და, აგრეთვე, ხმისა და განათების პარტიტურა, რომელიც თავად რეჟისორის მიერ არის შექმნილი. სპექტაკლის ფინალი, როგორც ეს სტურუასთან ყოველთვის ხდება - კათარზისია, სულიერი განწმენდა, მთვლემარე მოგონებებთან განშორება და კაშკაშა სინათლისაკენ სწრაფვა. სტურუა მარადიულს შეგვახსენებს: ღმერთი სიყვარულია... და შვებით ამოსუნთქვის საშუალებას გვაძლევს" (ელენა იურინსკაია).

"სტიქსს" აფეთქების ტალღის ემოციური ძალა აქვს, რომელიც სილასავით გაგეწნება და "სიმწრით" აგატირებს. გია ყანჩელის მუსიკისა და დრმატული ვარიაციების მონაცვლეობით, ალტის თითქმის ადამიანური და გაოცებულად მჟღერი ხმის თანხლებით სტურუა მაყურებელს უძლიერეს მუსიკალურ დარტყმას აყენებს. მსახიობები იმდენად სავსე არიან ცოდნის სისრულით, რომ ის მაყურებელს უშუალოდ გადაეცემა. ეს გამომსახველობის ოპტიმუმია, უკიდურესი ღიაობა. ნულოვანი სიყალბე.

სინათლე ერთადერთია, რომელიც თავს მჭერმეტყველების თვითნებობის უფლებას აძლევს. ის დირიჟორივით მკაცრია და პრიმადონასავით თავისუფალი, ის მოცეკვავე და მომღერალი, დაუნდობელი და შეპყრობილი ის - სინათლეა, ის მიზანია და საშუალება.

რეკვიემის ქართული ტექსტი თარგმნას არ საჭიროებს, მას არც ახსნა სჭირდება და არც იმის განმარტება, თუ რა რას ნიშნავს, აზრობრივი დამუშავების გვერდის ავლით მოძრაობის ნაკადი ცნობისმოყვარეობისაგან თავისუფალ ცნობიერების ნაკადს ბადებს, რომელიც ერთი ნაპირიდან მეორემდე გადასასვლელ გზაზე მიგვაცილებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დავურთავთ წერილს სრულ ტექსტსა და სპექტაკლის ფოტოებს, რათა მცირედად მაინც ვაჩვენოთ ამოუხსნელი ამოცანის ამოხსნის მაგალითი". (ელენა ჩიბისოვა, ჟურნალი "თეატრის მანია").

ვფიქრობ, ამ წერილში საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი ის ამოცანა, რომელიც თეატრმა "სტიქსში" განახორციელა. ჟურნალისტის შეფასებაც "ზღვრულად" მაღალია - მისი აზრით, თეატრი წარმოუდგენელის წარმოდგენის ოსტატობასა და მაყურებელთან უწრფელესი, უსიტყვო დიალოგის წარმართვის ღირსებას ფლობს. დამეთანხმებით, ეს ძალზე იშვიათი ღირსებებია.

"სტიქსის" მსოფლიო პრემიერის რეზონანსი თანდათან მატულობს, ესეც, ალბათ, ამ სპექტაკლის თავისებურებით არის ნაკარნახევი - ჯერ ემოციური შოკი, შემდეგ გაოცებული დუმილი, "მეტყველი სიჩუმე" და ბოლოს, გულწრფელი აღფრთოვანება.

"ჰამლეტი" თაეტრმა მოსკოვში მეორედ წარმოადგინა, მაგრამ, როგორც სტურუამ თქვა და თავად მოსკოველებმაც შენიშნეს, ეს სრულიად განსხვავებული, თუმცა თითქოს იგივე, მხოლოდ რამოდენიმე შტრიხით შეცვლილი სპექტაკლი იყო.

"ოპტიმიზმი - აი, სტურუას გასტროლების საკვანძო სიტყვა. ორი წლის წინ, გასტროლებზე, მაყურებელმა ნახა სტურუას "ჰამლეტი", პირქუში, შიშის მომგვრელი სპექტაკლი, რომელიც, თითქოს, გამოუვალობის ცივი სუნთქვით გვთოშავდა. ამჯერად, სცენაზე იგივე "ჰამლეტია", მაგრამ უკვე სრულიად სხვა. ორი ახალი სცენა, შემსრულებელთა მცირე ცვლილება და სპექტაკლი საპირისპირო პოლუსზე "გადანაცვლდება", თითქმის კარნავალურ ჟღერადობას იძენს. ამას ქმნის მარადიული ჰამლეტი - ზაზა პაპუაშვილი და უმშვენიერესი ოფელია - სრულიად ნორჩი ია სუხიტაშვილი.

ტრაგედია დასრულდა, ფინალი ბედნიერ მომავალს გვიქადის, ისტორიის გზები ხსნილია. ასევე მომავლისაკენ მიისწრაფვის "სტიქსი", რომელიც არა მხოლოდ ყანჩელის შედევრია, არამედ სტურუას მეტაფორული თეატრის მწვერვალიც..." (ა. ვერდი).

"ამ სპექტაკლში, სტურუამ, თავისი, ერთი შეხედვით აუხდენელი ოცნების ახდენა შეძლო - ეთამაშა "ჰამლეტი", როგორც უცნობი ისტორია. ამიტომაც მსოფლიო დრამატურგიის მთავარი მონოლოგს - "ყოფნა, არყოფნა..." - რეჟისორი, უბრალოდ... წვავს. შედეგად ჩვენ წინაშეა "ძალიზე ცოცხალი და ძალიან თანამედროვე ჰამლეტი მსუბუქი პოსტმოდერნისტული აქცენტით", როგორც წერდა თეატრის წინა გასტროლების შემდეგ თეატრის კრიტიკოსი ნატალია კამინსკაია. სტურუას დროის ტონალობის უტყუარი გრძნობა აქვს. და, იმისდა მიუხედავად, რომ მისი გმირები კვლავინდებურად მოსასხამებში დადიან, დროდადრო კი ისევ გამოჩნდება ხოლმე მეტაფიზიკური ქოლგა, მაყურებლები პასიურად კი არ ჭვრეტენ წარმოდგენას, არამედ თანაგანიცდიან და ამ "ჰამლეტში" საკუთარ თავს ცნობენ.

სტურუას ელსინორის სიცოცხლის მდინარე სტიქსის მკვდარ წყლებს მოგვაგონებს. გია ყანჩელის სიმფონიური "სტიქსის" გამოძახილი ამ სპექტაკლისათვის მის მიერ დაწერილ მუსიკაშიც მოისმის. და ლოგიკურად გენიალური რობერტ სტურუა თავის "სტიქსს" უახლოვდება - ფორმით უნიკალურსა და თავისებურ "მუსიკალურ სანახაობას". (ინტერნეტის რუსული გვერდიდან).

წერილი რომ ძალიან ალმატებული არ გამოვიდეს, მას სტურუას ოლგა ეგოშინასათვის მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტით დავასრულებ:

"- რამოდენიმე წლის წინ მე და თქვენ თეატრის მდგომარეობის შესახებ ვსაუბრობდით. თქვენ მაშინ ძალიან ლამაზი სახიერი სიმბოლო მოძებნეთ. მითხარით: "მსოფლიო თეატრი თითქოს ფეხმძიმედ არის და ეს-ეს არის გააჩენს. ჩვენ კი, სუნთქვაშეკრულნი ველით ფეხმძიმე თეატრის ნაყოფს"...

- აი, ჩამოვალ და ვნახავ, როგორი ბავშვები დაიბადნენ... ან მივხვდები, რომ ფეხმძიმობა ცრუ ყოფილა."



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ა.ს.ა"
"ანტისულიერების ამფეთქებელი"
რეჟისორი: ნ. შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
პრემიერა
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
"თეატრის მოტაცება"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 13:00; 18:00; 20:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 15:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

**ცირკი**
რუსეთის საცირკო პროგრამა. ნაჩვენები იქნება ხუთი კონტინენტის 89 სახეობის ცხოველი.
ფასი: 3-7 ლარი
ლოჟა: 15 ლარი
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
**ბაია გალერეა**
საშობაო გამოფენა
"სათამაშო"
(კერამიკა)

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
გამოფენა "წიგნის უხილავი პოეტიკა"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირაკლი ოჩიაურის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ავსტრიელი ხელოვანების გამოფენა

საქართველოში ავსტრიის საელჩოს ინიციატივით, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ ცნობილი ავსტრიელი ხელოვანების გრაფიკულ ნამუშევართა ფოტორეპროდუქციების გამოფენა გაიხსნა. გამოფენა სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ავსტრიის ელჩმა ჰაიდე მარია გიურერმა გახსნა.

გამოფენაზე მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ავსტრიელი მხატვრების - კოკოშკას, კლიმტისა და კუბინის ფოტორეპროდუქციები იყო წარმოდგენილი.

"ასეთი უნიკალური ქმნილებები თბილისში არასდროს არ გამოფენილა. ეს მხატვრები ვენის აყვავების პერიოდში მოღვაწეობდნენ" - აღნიშნა საუბრისას, სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ.

აღნიშნული ფოტორეპროდუქციები აზერბაიჯანსა და სომხეთში უკვე გამოიფინა. თბილისში გამოფენა რამდენიმე დღე გაგრძელდება. გამოფენის გახსნას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი დაესწრო. ***ინტერ-პრესი***

# პოეზია კომპოზიტორთა წასახალისებლად

## სახელმწიფო განაახლებს მუსიკალურ შეკვეთებს

ვერა ნეფარიძე

*კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო წინამორბედი უწყების ტრადიციის გაგრძელებას ცდილობს. საქართველოში კომპოზიტორებს უნდა ჰქონდეთ სტიმული - ასეთია მიზანი; მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ცოცხალი კლასიკოსებიც. სამინისტრომ ამჯერად ორმაგი დანაკლისის ანაზღაურება სცადა, როდესაც ანა კალანდაძის პოეზიაზე მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა. გუშინ სამინისტროში კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ და პრემირებული ნაწარმოებებიც პირველად აჟღერდა.*



*ანა კალანდაძე და ბიძინა კვერნაძე*

კონკურსს სამ ჟანრში (საგუნდო, სასიმღერო და რომანსები) უნდა გამოევლინა გამარჯვებულები. თითოეულში სამი პრემია იყო დაწესებული: პირველი, მეორე და მესამე. მაგრამ ორგანიზატორთა მოლოდინი გადაჭარბებული აღმოჩნდა. საგუნდო ჟანრში არც ერთი პრემია არ გაცემულა (იმის მიუხედავად, რომ საკონკურსოდ გამოტანილი 53 ნაწარმოებიდან 22 სწორედ საგუნდო ჟანრს მიეკუთვნებოდა); რომანსის ჟანრში არ გაცემულა პირველი პრემია, ხოლო სიმღერის ჟანრში მხოლოდ მეორე პრემია გაიმეტა ჟიურიმ. ასეთ შედეგს პროფესიონალები უკანასკნელ წლებში ამ სფეროში შემოქმედებითი სტიმულის არარსებობის გამო ლოგიკურად აღიქვამენ.

კონკურსს ორი გამარჯვებული კომპოზიტორი ჰყავს. ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილ ნაწარმოებებს საკუთარი შეჰმატეს - ვაჟა აზარაშვილმა და ნანა კალანდაძემ. ასე გადაწყვიტა ცხრაკაციანმა ჟიურიმ, რომელსაც ბიძინა კვერნაძე ხელმძღვანელობდა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: მანანა ახმეტელი, მერი დავითაშვილი, გივი მუნჯიშვილი, ნიკა მემანიშვილი. პრემია ფულადი სახით გაიცა: მეორე ხარისხისთვის - 800, მესამისთვის - 700 ლარი.

"ძალიან სასიხარულო დღეა ჩვენთვის. ანა კალანდაძე ქართული პოეზიის ცოცხალი კლასიკოსია. ყველანი მის ლექსებზე გავიზარდეთ და ზეპირად ვიცით, უფრო მეტიც - შესისხლხორცებული გვაქვს. ამიტომ ჩვენი კონკურსი მის სახელს დავუკავშირეთ. სასიამოვნოა, რომ კონკურსი მაქსიმალურად ობიექტური იყო", - მიესალმა საზოგადოებას მინისტრი და ყველანი 24 დეკემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაგეგმილ ანა კალანდაძის საიუბილეო საღამოზე მიიწვია. ამის შემდეგ შეხვედრის პირველი ნაწილი - ოფიციალური მისალმება - ჟიურის თავმჯდომარემ, გამარჯვებულმა კომპოზიტორებმა და, უბრალოდ, მსურველებმა განაგრძეს. ძირითადად, სამადლობელი ისმოდა როგორც პოეტის, ისე კონკურსის ორგანიზატორი სამინისტროსა და ჟიურის წევრების მისამართით. "ანა კალანდაძის ლექსზე ძალიან ბევრი სიმღერაა შექმნილი და კარგია, რომ კიდევ ემატება; კარგია, რომ ფასდება ჭეშმარიტი პოეზია, მუსიკა და ჩვენთან სულიერი მდგომარეობა უმჯობესდება", - აღნიშნა გუჩა კვარაცხელიამ. თავად პოეტი, ჩვეულებისამებრ, მოკრძალებული იყო. მისი გულწრფელი მოსაზრებები საკუთარ იუბილესთან დაკავშირებით, საზოგადოებას ბიძინა კვერნაძემ გაანდო: "ანამ მითხრა, ოპერაში რომ დამთავრდება ყველაფერი, მერე იქნება ჩემი ნამდვილი იუბილეო". თუმცა, რამდენიმე სიტყვით პოეტს მაინც მოუხდა გუშინ გამოსვლა.

გუშინდელი ღონისძიების მეორე ნაწილი პრემირებული ნაწარმოებების შესრულებას ითვალისწინებდა. სიმღერის ჟანრში მეორე ხარისხის პრემიით აღნიშნული ნანა კალანდაძის მუსიკა (ლექსზე "ახლა აპრილის ჩუმი ღამეა") მომღერალმა ნატო მეტონიძემ შეასრულა; აკომპანემენტს ფორტეპიანოზე ნიკა მემანიშვილი უწევდა; შემდეგ ვაჟა აზარაშვილის ორივე რომანსი (ლექსებზე: "შემოდიოდა ჩვენში კალანდა" და "თქვი, ჭიამარია") შესრულდა. ლექსებიცა და შემსრულებლებიც კომპოზიტორებმა თავად აარჩიეს. მსგავსი კონკურსების გამოცხადებას, კომპოზიტორებისთვის სტიმულის მიზნით, სამინისტრო მომავალშიც გეგმავს. გაისად, სავარაუდოდ, კომპოზიტორებს სხვა ჟანრის, უფრო მოცულობით ნაწარმოებებს "შეუკვეთავენ".

# სომხური ლიტერატურის მაიაკოვსკი

ნანა ბასილაშვილი

*გუშინ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ "კავკასიურ სახლში" გაიმართა ცნობილი სომეხი პოეტის პარუირ სევაკის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. სავსე დარბაზში ქართველ მაყურებელს სომეხი კულტურის მოღვაწეები სჭარბობდნენ. როგორც ჩანს, იუბილეს ორგანიზატორებმა ეს თავიდანვე გაითვალისწინეს და საღამო ქართულ-სომხურ ენაზე გამართეს.*



*გივი შაჰნაზარი, ნაირა გელაშვილი და ზაზვა მედულაშვილი*

"კავკასიურ სახლში" პარუირ სევაკს უკვე მეორე საღამო მიუძღვნეს. მეტიც, ამ ცენტრში 2004 წელი სევაკის წლად იყო გამოცხადებული. "ჩვენ გვაქვს კულტურის კალენდარი. კავკასიურ ხალხებში (და არ მხოლოდ კავკასიელებში) კულტურული მოვლენების ასეთ დიდ თარიღებს შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის აღვნიშნავთ", - ამბობს მწერალი ნაირა გელაშვილი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, "კავკასიური სახლის" დიასახლისია. გუშინდელი საღამოს ნაირა გელაშვილი ცნობილ მთარგმნელებთან გივი შაჰნაზართან და ზეზვა მედულაშვილთან ერთად უძღვებოდა.

სევაკის კრებული "და იქმნა ნათელი" პირველად 1979 წელს გამოიცა საქართველოში. კრებული გივი შაჰნაზარმა შეადგინა. სევაკის ლექსები მან შვიდი სხვადასხვა წიგნიდან ამოკრიბა, ქართულად თარგმნა და ერთ წიგნად გამოსცა. ამ წიგნის გამოცემის შემდეგ სომეხ მწერალს ქართულ კულტურულ სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრებია. "და იქმნა ნათელი" ახალგაზრდა ქართველი პოეტების ერთ-ერთ საყვარელ წიგნად, პარუირ სევაკი კი საყვარელ პოეტად ქცეულა. იმის მიუხედავად, რომ საბჭოთა პერიოდში სომეხ პოეტს, მისი მსოფმხედველობისა და შეხედულებების გამო, რასაც საკუთარ ლექსებში თამამად ავლენდა, გასაქანს არ აძლევდნენ და მაქსიმალურად ახშობდნენ. ერთხელ უკვე სარეალიზაციოდ გამზადებული სევაკის ერთ-ერთი წიგნი სტამბაშივე გაუნადგურებიათ. საკმოდ ახალგაზრდამ მეტად საეჭვო ვითარებაში დაასრულა სიცოცხლე: ერევნიდან თბილისში, ნელის მშობლის დასაფლავებაზე მიმავალ პარუირ სევაკი და მისი ქართველი მეუღლე ნელი მენაღარაშვილი ავარიამ იმსხვერპლა. იმის გამო, რომ პოეტს სიცოცხლეში აშკარად ავიწროებდნენ, მაშინვე გავრცელდა ხმები, თითქოს ეს შემთხვევითი ავარია არ იყო. რა მოხდა სინამდვილეში, დღემდე არავინ იცის, თუმცა, სევაკის თაყვანისმცემლები დღესაც ხმამაღლა ამბობენ, რომ პოეტი მოკლეს. დანანებით ეს ფრაზა გუშინ დარბაზშიც არაერთხელ გაისმა.

"პარუირ სევაკი სომხური ლიტერატურის მაიაკოვსკია. მან თვისებრივად ახალი სიტყვა თქვა სომხურ პოეზიაში. ღრმად ლირიკული, ფილოსოფიური და მოქალაქეობრივი სული მის სიდიადეს განსაზღვრავს", - აღნიშნა გივი შაჰნაზარმა. იუბილესადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო მოგონებებითა და მუსიკალური პაუზებით მიმდინარეობდა. ქართულ-სომხურ ენებზე სევაკის ლექსებს კითხულობდნენ გივი შაჰნაზარი, ნაირა გელაშვილი, ზეზვა მედულაშვილი. საღამოს მოწყობისთვის სომეხი ლიტერატორები, არტისტები, პედაგოგები "კავკასიური სახლის" დიასახლისის მადლიერნი დარჩნენ.

უახლოეს მომავალში კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი პრეზენტაციისთვის ემზადება. ზეზვა მედულაშვილმა ქართველი მკითხველისთვის საიათნოვას ჯერ კიდევ უცნობი ლექსები თარგმნა. საიათნოვას ლექსები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოვა. ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით.

# ფესტივალი გაიხსნა

სალომე კიკალეიშვილი

*გასართობ ცენტრ "ბერიკონში" სტუდენტური სპექტაკლების და ფილმების კონკურს-ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.*



*პანტომიმური ნომერი*

მართალი გითხრათ, პირადად ჩემში, სიტყვა ფესტივალი უკვე რაღაც უარყოფით ემოციას იწვევს. რადგან ყველაფერი, რაზეც კი ხალხი იკრიბება და ხელოვნების ნამუშევრებს აჩვენებენ (განსაკუთრებით კი ფილმებს) ყველაფერს ფესტივალი ერქმევა. ერთკვირიანი, ერთდღიანი, თუნდაც ერთსაათიანი. ფესტივალი და მორჩა. დღეს, ალბათ, ფიქრობენ, რომ, რადგან ფესტივალი ჰქვია, ეს უკვე თავისთავად აწევს ამ ღონისძიების დონეს, არადა ხდება პირიქით... თავად ფესტივალი იძენს ყოველდღიური წვრილმანების მსგავს ჩვეულ მნიშვნელობას. ეს განსაკუთრებული გაღიზიანება კი ჩემში რამოდენიმე კვირის წინ კინოს სახლში გამართულმა ერთ-ერთმა რიგითმა ასეთმა "ფესტივალმა" გამოიწვია, რომლის არც გახსენება და, მით უმეტეს, არც საუბარი არ მსურს.

ზემოთ ნათქვამი მხოლოდ ჩემი გულისტკივილია ზოგადად ამ ტენდენციის მიმართ და არანაირად არ შეეხება იმ ღონისძიებას, რომელზეც ახლა ვაპირებ საუბარს.

სულ რაღაც ორი დღის წინ გამართული პრესკონფერენციის შესახებ, რომელიც ფესტივალ "დებიუტს" და მის პროგრამას შეეხებოდა, ჩვენი გაზეთის საშუალებით თქვენ უკვე გაეცანით. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ ეს არის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის მიერ დაფუძნებული ფესტივალი, რომელიც ყოველ დეკემბერს, ერთი კვირის მანძილზე ტარდება და მაყურებელს სტუდენტთა ნამუშევრებს ფილმებსა თუ სპექტაკლებს სთავაზობს. მნიშვნელოვანია ის, რომ წელს პირველად ფესტივალს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა და მასში ახალგაზრდა რეჟისორთა უცხოელი კოლეგებიც იღებენ მონაწილეობას.

ფესტივალის საზეიმო გახსნა გუშინ გასართობ ცენტრ "ბერიკონში" გაიმართა, სადაც მიწვეულ სტუმრებს და ჟურნალისტებს საინტერესო ღონისძიება ელოდათ. შესასვლელში, თეატრალური სამყაროს კოსტიუმირებული, ნიღბიანი პერსონაჟები გხვდებოდნენ, რომელთა შექმნაზეც თეატრალური უნივერსიტეტის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა იზრუნეს. ისევე როგორც ნებისმიერ ორგანიზებულ გახსნას, "დებიუტსაც" არ აკლდა მილოცვების და სასიკეთო სურვილების მსურველნი. სიტყვით გამოვიდნენ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი გიგა ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ჟიურის წევრები გუჯა ბურდული და ლელა ოჩიაური. - "ეს ჩვენი, თეატრალური უნივერსიტეტის სადეკემბრო რთველია, სადაც გავიგებთ, თუ რა მოვიმკეთ"- განაცხადა ბოლოს თეატრმცოდნე - ვასილ კიკნაძემ.

ყველაზე საინტერესო კი იმ საკონცერტო ნომრებში, რომლებიც "ბერიკონის" სცენაზე გახსნისთვის იყო წარმოდგენილი, პანტომიმის თეატრის საჩვენებელი ნომერი აღმოჩნდა, რომელიც ზოგადად ხელოვანის, მისი ქმნილების და მსუბუქი ფემინიზაციის ელემენტებით იყო გაჟღენთილი. დინამიკურმა, მკვეთრმა მოძრაობებმა კი დარბაზის გამხიარულება და მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალი, შეიძლება ითქვას, საკმაოდ პომპეზურადა გაიხსნა, ყოველ შემთხვევაში, იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორგანიზატორები სტუდენტები და ასპირანტები არიან. ეს კი, ალბათ, მათი სპონსორების დამსახურებაა: "ბერიკონის", კომპანია "ძველი თბილისის", კინოთეატრ "რუსთაველის". ხოლო "Jam კლუბი" და "ნოა-ნოა" რამოდენიმე დღის მანძილზე, გასართობი პროგრამებით ჟურნალისტებს და მონაწილეთ მიგვიპატიჟებს.

# იაპონური ზღაპარი წყლისა და კაცის შესახებ

თამარ ბაბუაძე



"ფლიც-ფლიზი", "ა-პოკი" - "ისი მიაკიზე" საუბარი ამ გამოგონებებით რომ დავიწყოთ, აზრი არ აქვს. ეს სახელები ბევრმა ან არ იცის, ან დავიწყებული აქვს, ან კიდევ - იცის და კარგადაც ახსოვს, მაგრამ იმდენად მიუწვდომელ და შორეულ ოცნებად ეჩვენება, რომ მათთვის უაზრო დახარბება გამოვა და მეტი არაფერი.

ამიტომ სჯობს ისევ იმით შემოვიფარგლოთ, რაც გვაქვს და იაპონელი დიზაინერის სამყარო, როგორც აქამდე, დღესაც სურნელოვანი რაკურსით გავხსნათ. მით უფრო, რომ ამ მხრივ ისი მიაკის მოსაყოლი ბევრი აქვს, განსაკუთრებით კი მამაკაცებისთვის.

66 წლის დიზაინერს თავისი ახალი სუნამოს "ლე ბლუს" (L'EAU BLEUE) პრეზენტაციის მოწყობაში გუშინ პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი "ისი პარი" და მისი ერთ-ერთი ბრენდის "ბიუთი პრესტიჟ ინტერნაციონალის" ხელმძღვანელი გიული ჯაგაევა "დაეხმარა". ისი მიაკიზე ყოველთვის ამბობენ: ის უკვე იმდენად საერთაშორისო მოვლენაა, რომ მას, როგორც იაპონელს აღარავინ იცნობს. არადა, ასე, ალბათ, არ არის. მიაკი ნიუ იორკშიც, პარიზშიც და ლონდონშიც ყოველთვის თავისი კულტურის წარმომადგენლად რჩება. ამაში გუშინდელმა პრეზენტაციამაც დამარწმუნა. იაპონური სიდინჯე, გაწონასწორებულობა, სისადავე, ბუნებასთან კავშირი - ეს ფასეულობები ისი მიაკის ბილბორდებზეც კი იგრძნობოდა. მერე კი, თითქოს, ამ აზრის დასტურად, დაირღვა დასავლეთის პარფიუმერულ სამყაროში დამკვიდრებული კიდევ ერთი სტანდარტი და სუნამოს დასაგემოვნებლად სქელი მუყაოების ნაცვლად ბამბის თეთრი ლენტები დაგვირიგეს. ეს იმიტომ, რომ ისი მიაკის მოდის სახლში ფიქრობენ: ქაღალდი სურნელს ბევრ თვისებას უკარგავს და სხეულსა და ტანსაცმელზე სულ სხვანაირად გადადის. ამიტომ, ჯობს, სუნამო ისეთ ბუნებრივ და ჯანსაღ ქსოვილზე დააგემოვნოთ, როგორიც ბამბაა. ფერიც - თეთრი უნდა იყოს, ძალიან სადა და დახვეწილ სურნელთან ორგანულ კავშირში დარჩენისთვის.

ასეა, ისი მიაკის სამყაროში ბევრს ფიქრობენ, თანაც იაპონურად და მშვიდად. ამიტომ მიაკის ზღაპარიც წყლის შესახებ ასეთივე გამოდის - წყალსავით რაკრაკით წასაკითხი. ამ ზღაპარს დიზაინერი ამჯერად ექსკლუზიურად მამაკაცების გასაგონად ჰყვება. შეიძლება ეს ჩახვეული აზრები კაცებისთვის ოდნავ მოსაწყენი მოსასმენი იყოს, მაგრამ სურნელის ხათრით, რომელიც იაპონური სენტენციების უკან დგას, მოთმენა ნამდვილად ღირს.

მიაკის ზღაპარს კი ფერიც აქვს - ცისფერში გარდამავალი ლურჯი. ის ნაწილობრივ მიაკის მიერ დიდი ხნის წინ "ამოჩემებულ" შთაგონების წყაროს - წყალს აღნიშნავს და ნაწილობრივ კი - ცასთან კავშირზე მიგვანიშნებს. ანუ, მამაკაცებისთვის პირველი სუნამოს გამოშვებიდან (1994 წ.) ათი წლის იუბილეს დიზაინერი სიახლით ხვდება:

ჩვეულებრივ წყალს, რომელსაც წინათ ის გრძელ და გამჭვირვალე ფლაკონში ჩამოსხმული L'EAU D'iSSEY-ით ასხამდა ხოტბას, და რომლის სურნელიც საოცრად გამჭვირვალე და მსუბუქი იყო, ახლა ანაცვლებს ცისფერს - როგორც კოსმიური ჰარმონიის სიმბოლოს. ახლა, ამ ცისფერი სითხის შესუნთქვისას არა, უბრალოდ, ტბის კამკამა წყალი უნდა წარმოგვიდგეს თვალწინ, არამედ ტბა, რომლის ტალღებშიც მთვარე ასხივებს, გარემოს კი - მიწასაც და ცასაც ერთი ფერი მიუღია - საფირონის.

...ყველაზე მეტად, ასეთი სენტიმენტალური აზრები სწორედ ისი მიაკისთან კავშირში არ მიღიზიანებს ხოლმე სმენას. რადგან ასე აზროვნება, ასეთ ბუნებრივ წვრილმანში ამხელა აზრების ჩადება მისი კულტურისთვის რაღაც უფრო ორგანული მგონია.

მოკლედ, ასე, ქართულ ბაზარზე მეოთხედ მოსული ისი მიაკი მამაკაცებს იაპონურ ზღაპარს თან ძალიან მამაკაცური და თან ძალიან იდუმალი, კაშკაშა და კეთილშობილური სურნელით უყვება. ამ სურნელს მანდარინის ხე, ლიმონი, როზმარინი, მაისის ვარდი და სხვები ქმნიან. მისი გასინჯვის შემდეგ თითოეული მამაკაცი დარწმუნდება, რომ არც სიტყვამ - ცისფერმა უნდა დააფრთხოს მათი სმენა. "ბიუთი პრესტიჟ ინტერნაციონალის" ბრენდ-მენეჯერს კი სჯერა, რომ ახალი "ისი მიაკიც" ისეთივე წარმატებული იქნება, როგორ წარმატებასაც გამოშვებიდან ათი წლის თავზე მისი პირველი სუნამო ინარჩუნებს.

**P.S.** რაც შეეხება "ფლიც-ფლიზსა" და "ა-პოკს". მათი მაღაზიები მოდის ყველა დიდ ქალაქშია, ნიუ იორკშიც, პარიზშიც, ლონდონშიც და ცხადია, ტოკიოშიც. "ფლიც-ფლიზი" პლისეს განსაკუთრებული მეთოდია, რომელიც მიაკიმ გამოიგონა. ეს პლისე მაისურები, პერანგები, კაბები უძვირფასესი ხარისხით გამოირჩევა, ტანს კომფორტულად ერგება და ათეულობით წლობით უძლებს რეცხვასა და ხმარებას. "ა-პოკიც" მიაკის ქსოვილზე ჯადოქრობის შედეგია. ოღონდ, მართლა ჯადოქრობაა. დევს ქსოვილის დიდი გორგალი, რომელსაც ზედაპირზე ახატია რამე, მაგალითად, კაბა, ან მაისური, ან ქოლგა. იღებ მაკრატელს, ჭრი რომელიმე ზემოთ ნახსენებ ნივთს, შლი და გამოდის მზა ნივთი. ზუსტად ასე. ახლა თავად იფიქრეთ, როგორი კაცია ისი მიაკი, არ არის აუცილებელი - იაპონურად...



"ისი მიაკის" შემოქმედება გამომცემლობა "ტაშენის" საყვარელი თემაა.

# საშობაო განწყობა გალერეა „ბაიაში"

სალომე კიკალეიშვილი

*გუშინ გალერეა "ბაიაში" გაიხსნა საშობაო გამოფენა-გაყიდვა. კერამიკის დეკორატიული თუ საყოფაცხოვრებო ნამუშევრები დამთვალიერებელში საშობაო-საახალწლო განწყობას ქმნიდა.*

საკმარისია, კარგად შეათვალიეროთ ჩვენი ქალაქის ქუჩები, რომ უკვე იგრძნობთ მომავალი საშობაო-საახალწლო სამზადისის პირველ ნიშნებს. სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქში ეს, ძირითადად, ქალებისთვის საყვარელ სიტყვა sale-თან უფრო ასოცირდება, ვიდრე ისეთ საინტერესო და ხალისიან კულტურულ ღონისძიებებთან, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თითქმის მთელი დეკემბრის მანძილზე საახალწლო სამზადისის აუცილებელი ატრიბუტია.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ქალაქი ნელ-ნელა ემზადება საახალწლოდ, რისი დასტურიც იყო გუშინ შარდენის ქუჩაზე, გალერეა "ბაიაში" გახსნილი ჯგუფური გამოფენა. უფრო სწორად, გამოფენა-გაყიდვა "სათამაშო", რომელზეც წარმოდგენილი მრავალფეროვანი კერამიკული, დეკორატიული და საყოფაცხოვრებო ნივთები მშვენიერ განწყობას უქმნიდა დამთვალიერებელს.


იური ლობოდინის ფოტო

გიგიშა პაჭკორია თვის სათამაშოებთან ერთად.

კერამიკოსთა ამ ჯგუფს არაერთხელ გამოუტანია თავისი ნამუშევრები "ბაიას" საგამოფენო სივრცეში. ნინი ციციშვილი, მარიკა იზორია, ნატო ერისთავი, მალხაზ შველიძე, ლალი ქუთათელაძე, გიგიშა პაჭკორია - მათი ნამუშევრები თავისი ინდივიდუალობით იწონებდნენ თავს საგამოფენო დარბაზში. განმასხვავებელი შტრიხების მიუხედავად, რაც ფერსა და ფორმაში გამოიხატებოდა, მათ აკავშირებდათ მთავარი - საშობაო განწყობა. ამ თემაზე შექმნილ ნამუშევრებში კი, ცხადია, ჭარბობდა ანგელოზები, თოვლის ბაბუა, ნაძვისხე და მისი მთავარი სამშვენისი - ჩამოსაკიდი ფიგურები.

თითოეული ავტორი უცებ იქცევდა ყურადღებას. ლალი ქუთათელაძის "გახუნებული" ფერებით შექმნილი ანგელოზები, მშვენიერი შანდალი-ფიგურები, რომელზეც დაყოლებული ოქროსფერი სადღებავი კიდევ უფრო უსვამდა ხაზს საზეიმო განწყობას; ნინო ციციშვილის ფიგურები, რომელიც ავტორმა, ძირითადად, ცისფერში გადაწყვიტა, ზედ შემოვლებული ფერადი ლენტით, არანაკლებ აღგიძრავდა მისი ყიდვის სურვილს. პირადად მე კი ყველაზე მეტად გიგიშა პაჭკორიას ნამუშევრები მომეწონა - სხვა ექსპონატებისგან განსხვავებით, ყველაზე ფერადი და მხიარული ნივთები: თოვლის ბაბუები (მათ შორის ზანგიც) და მისი ევროპელი კოლეგები სანტა კლაუსები, საახალწლო პერსონაჟებისგან გაკეთებული ზარები, ყულაბები, ჩრდილოპოლუსელი ირმის ზარდახშები, მოცეკვავე კაცუნების ფორმის ჩაიდნები... "ყველაფერ ამის ორგანიზება მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ. თვენახევრის მანძილზე ვქმნიდით ამ ექსპონატებს, რადგან კერამიკაში დიდი დრო მიაქვს მის გამოძერწვას, რამდენჯერმე გაშრობას, მოჭიქურებას... მოკლედ, ხანგრძლივი პროცესია. არ მეგონა, თუ ასეთი საინტერესო, საპასუხისმგებლო და აზარტულიც კი აღმოჩნდებოდა ამ თემაზე მუშაობა, რომელზეც პირადად მე პირველად მომიხდა ნამუშევრების შექმნა. ჯერ მარტო ანგელოზები შევქმენი, მერე მოვიდა ჯამბაზები, ბაბუები, მეფეები... საოცრად სახალისო და სასიამოვნო აღმოჩნდა. თითქოს ბავშვად ვიქეცი", - თქვა ავტორმა.

როგორც აღვნიშნე, ეს არის გამოფენა-გაყიდვა, სადაც ყველას შეუძლია შეიძინოს საახალწლო სამშვენისები. თუმცა, იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე გალერეაში, ძირითადად, ციციშვილის ნამუშევრებით დატვირთულ მყიდველთა პატარა რიგიც კი დადგა, თავისი ლოგიკური ახსნა მოვუძებნე. მართალია, ცისფერი კერამიკული ფიგურები მართლაც ძალიან მომხიბლავი იყო, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველად გამოიყურებოდა ქუთათელაძის, ერისთავისა და პაჭკორიას ფერადოვანი სამყარო. ვფიქრობ, აქ საქმე უფრო ფასში იყო, რომელიც სხვა ავტორთა შემთხვევაში, საშუალოდ, 20-30 ლარიდან იწყებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში დოლარებშიც გადადიოდა (თუმცა, ასეთი ნამუშევრების უმრავლესობა გაცილებით მასშტაბური იყო). ეს კი იმ კატეგორიის საზოგადოებისთვის, რომელიც შარდენის ქუჩას არა მარტო რესტორნების, არამედ საინტერესო გალერეების ქუჩადაც იცნობს, ცოტა მიუწვდომელია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, ყიდვას აპირებთ თუ არა (ეს კი არავინ იცის, რადგან შეიძლება ცდუნებას ვერ გაუძლოთ და თქვენც პატარა ნამუშევრით ხელში მყიდველთა რიგში აღმოჩნდეთ), დასათვალიერებლად მაინც შეიარეთ "ბაიაში", რადგან, დარწმუნებული ვარ, ის სასიამოვნო შეგრძნება, რასაც საახალწლო სამზადისი ჰქვია, გამოფენაზე შესვლისთანავე დაგეუფლებათ და, უბრალოდ, კარგ განწყობაზე დაგაყენებთ.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის | მზია სურგულაძე | "ლიტერა" | 3.6 |
| "ლუციფერის შვილები" | გოდფრიდ ნიხელი | "სანი" | 3.2 |
| "ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები" | ო. გოლიაძე | "ლიტერა" | 2.4 |
| "მორიელი" | გურამ მაწყვლიძე | შპს "თბილისელები" | 2 |
| "საკონტროლო გასროლა" | გურამ მაწყვლიძე | შპს "თბილისელები" | 1.6 |
| "მწვანეთვალება ანგელოზი" | ნინო ნუცუბიძე | შპს "თბილისელები" | 1.6 |
| "მე შემიძლია ადამიანების ხატვა" | რეი გიბსონი | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 1.2 |
| "ილუზიები" | ნინო ნუცუბიძე | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| "შვლები" | გურამ მაწყვლიძე | შპს "თბილისელები" | 1.2 |
| "ქართული მეტყველების კულტურა" | ა. არაბული | "უნივერსალი" | 1.2 |

### საუკეთესო ალბომების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | ალბომი | ხმის ჩამწერი კომპანია |
|---|---|---|
| U2 | How to Dismantle an Atomic Bomb | "აილენდი" |
| ემინემი | Encore | "ინტერსკოუპი" |
| რობი უილიამსი | Greatest Hits: Chrysalis | |
| ბრიტნი სპირსი | Greatest Hits: My prerogative | "ჯაივი" |
| "დესთინის ჩაილდი" | Destiny Fulfilled | "კოლუმბია" |
| სილი | Best of 1991-2004 | "უორნერ ბროსი" |
| შანია ტვეინი | Greatest Hits | "მერკური" |
| კაილი მინოუგი | Ultimate Kylie | "პარლოფონი" |
| ტინა ტერნერი | All the Best | "პარლოფონი" |
| ბლუ | Best of Blue | "ინოსენტი/ვირჯინი" |



### ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ეროვნული განძი" | ჯონ ტარტლტაუბი | ნიკოლას კეიჯი, შონ ბინი, დაიან კრუგერი | 17,004,967 | 110,113,345 |
| "შობა კრანკებთან ერთად" | ჯო როთი | ტიმ ალენი, ჯეიმი ლი კერტისი, დენ აკროიდი | 11,163,492 | 44,926,841 |
| "პოლარული ექსპრესი" | რობერტ ზემეკისი | ტომ ჰენქსი, კრის კოპოლა, პიტერ სკოლარი | 10,770,094 | 96,127,863 |
| The Incredibles | ბრედ ბერდი | კრეიგ ნელსონი, ჰოლი ჰანტერი, სემუელ ლ. ჯექსონი | 9,015,796 | 225,858,787 |
| "სიახლოვე" | მაიკ ნიკოლსი | ნატალი პორტმანი, ჯულია რობერტსი, ჯუდ ლოუ, კლაივ ოუენი | 7,707,972 | 7,707,972 |
| "სპანჯბობ სქვეარფენტსის ფილმი" | შერმ კოენი, ს. გრინბლატი | ტომ კენი, როჯერ ბამპასი, კლენსი ბრაუნი | 7,655,872 | 68,209,314 |
| "ალექსანდრე" | ოლივერ სტოუნი | კოლინ ფარელი, ანჯელინა ჯოლი, ენტონი ჰოპკინსი, ვალ კილმერი, ჯარედ ლეტო | 4,706,445 | 29,687,331 |
| "ნევერ ნევერლენდი" | მარკ ფორსტერი | ჯონი დეპი, კეიტ უინსლეტი, ჯული კრისტი, დასტინ ჰოფმანი | 2,824,222 | 11,683,573 |
| "ბრიჯიტ ჯონსი: გონების მიღმა" | ბიბან კიდრონი | რენე ზელვეგერი, კოლინ ფირთი, ჰიუ გრანტი, ჯიმ ბროდბენტი | 2,761,455 | 36,321,185 |
| "რეი" | ტეილორ ჰექფორდი | რეჯინა კინგი, კერი ვაშინგტონი | 1,888,860 | 67,792,750 |

ფეხბურთი

# World Soccer-ის ვერსიით, საუკეთესოა რონალდინიო

## ვის აირჩევენ France Football-ი და FIFA?

დეკემბრი წელიწადის უკანასკნელი თვეა და, აქედან გამომდინარე, ყველაზე შესაფერისი დრო შედეგების შესაჯამებლად და დასკვნების გასაკეთებლად. ასეა ფეხბურთშიც. სწორედ დეკემბერში ასახელებენ წლის საუკეთესო ფეხბურთელებს, მწვრთნელებსა და გუნდებს. ორგანიზაციები და გამოცემები კონტინენტის ან პლანეტის უძლიერეს ფეხბურთელებს გამოავლენენ.

საუკეთესოთა გამოვლენით ბევრია დაკავებული, თუმცა, განსაკუთრებული ავტორიტეტით საფეხბურთო სამყაროში მხოლოდ სამი მათგანი სარგებლობს. ინგლისური ჟურნალი World Soccer მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, მწვრთნელსა და გუნდს ასახელებს. ფრანგული გამოცემა France Football, რომელიც საკუთარ თავს "ფეხბურთის ბიბლიად" მიიჩნევს, ყოველწლიურად ასახელებს ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელს. ყველაზე პრესტიჟული კი მაინც საერთაშორისო ფეხბურთის ასოციაციების ფედერაციის ანუ ფიფა-ს გალა-საღამოა, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იმართება და რომელზეც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად კიდევ უამრავ ნომინაციაში აჯილდოებენ ფეხბურთის სამყაროს წარმომადგენლებს.

ფიფა-ს წლევანდელი გალა-საღამო 20 დეკემბერს ციურიხში გაიმართება. პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელს ფიფა ტრადიციულად ყველა სხვა დანარჩენზე გვიან დაასახელებს. მანამდე საუკეთესო "ევროპელს" France Football-ი დააჯილდოებს "ოქროს ბურთით". უფრო ადრე კი World Soccer გაამხელს თავისი რჩეულის, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის ვინაობას.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს France Football-ი 13 დეკემბერს დაასახელებს. ისევე როგორც ფიფა-ს ნომინაციაში, France Football-ის "ოქროს ბურთის" პრეტენდენტებიც ესპანური "ბარსელონას" ბრაზილიელი ნახევარმცველი რონალდინიო, იტალიური "მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო და ლონდონის "არსენალის" ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი არიან.

გულშემატკივრები და ჟურნალისტები უკვე დიდი ხანია მარჩიელობენ, თუ ვის აქვს გამარჯვების მეტი შანსი. ზოგიერთი საინფორმაციო წყარო იმასაც ამტკიცებს, რომ France Football-ის გამოკითხვის შედეგები ჩაიგდო ხელში და რომ "ოქროს ბურთს" აუცილებლად შევჩენკო დაეუფლება. იმასაც ამბობენ, ფრანგულმა ჟურნალმა უკრაინელ თავდამსხმელს ინტერვიუ ჩამოართვა და ფოტოსურათებიც გადაუღო შემდეგ ნომერში გამოსაქვეყნებლად. "მილანის" პრეზიდენტ ადრიანო გალიანის თავისი ფეხბურთელის წარმატების აღსანიშნავად მომზადებაც კი დაუწყია.

ანდრეი შევჩენკოს "ოქროს ბურთის" მოპოვების, მართლაც, დიდი შანსი აქვს. მიმდინარე წელს ის ჩინებულ ფორმაშია და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მისი დასახელება ნამდვილად არ იქნება სიურპრიზი. თუმცა, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ჯობს იმაზე ვისაუბროთ, რაც დანამდვილებით ვიცით.

დანამდვილებით კი ის ვიცით, რომ World Soccer-მა 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა და ეს შევჩენკო არ არის. იმ სპეციალისტთა 28.6 პროცენტმა, რომლებმაც ინგლისური ჟურნალის გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა, ბრაზილიელ რონალდინიოს მისცეს ხმა. შევჩენკოს არც მეორე ადგილი ერგო. World Soccer-ის აზრით, რონალდინიოს შემდეგ საუკეთესოა ტიერი ანრი. შევჩენკოს კი მესამე ადგილი ხვდა წილად.



*გენერალურ რეპეტიციაზე რონალდინიო საუკეთესოა.*

ჟურნალმა საუკეთესო მწვრთნელებისა და გუნდების სიაც გამოაქვეყნა. ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელი დამრიგებელი ჟოზე მაურინიო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. გამოკითხულთა 35.5 პროცენტმა მაურინიო ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატის ტრიუმფატორ ოტო რეჰაგელს ამჯობინა. რეჰაგელი, თავის მხრივ, მეორე ადგილს უნდა დასჯერდეს. მის მიერ გაწვრთნილი საბერძნეთის ნაკრები კი 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო გუნდად იქნა აღიარებული. თუმცა, ბერძნებმა ხმების სულ მცირე, 0,3 პროცენტით აჯობეს მეორე ადგილზე გასულ "არსენალს". World Soccer-ი რომ ინგლისური ჟურნალია, გამოკითხვის შედეგებზე ნამდვილად აისახება...

სულ მალე France Football-ის აზრსაც შევიტყობთ და გავიგებთ, თუ ვინ გახდება "ოქროს ბურთის" ლაურეატი. მავანნი ამტკიცებენ, რომ ეს შევჩენკო იქნება. World Soccer-ისა და France Football-ის აზრი შარშან დაემთხვა ერთმანეთს. 2003 წელს პაველ ნედვედი ორივე გამოცემამ საუკეთესოდ აღიარა.

**წლის საუკეთესო ფეხბურთელი**

**1. რონალდინიო ("ბარსელონა", ბრაზილია) - 28.6%**
2. ტიერი ანრი ("არსენალი", საფრანგეთი) - 22.2%
3. ანდრეი შევჩენკო ("მილანი", უკრაინა) - 12.6%
4. დეკო ("პორტო"/"ბარსელონა", პორტუგალია) - 10.2%
5. პაველ ნედვედი ("იუვენტუსი, ჩეხეთი) - 3.5%
6. უეინ რუნი ("ევერტონი"/"მანჩესტერი", ინგლისი) - 2.6%
7. ადრიანო ("ინტერი", ბრაზილია) - 2.2%
8. ფრენკ ლამპარდი ("ჩელსი", ინგლისი) - 2.0%
9. თეოდოროს ზაგორაკისი ("აეკ"/"ბოლონია", საბერძნეთი) - 1.7%
10. მილან ბაროში ("ლივერპული", ჩეხეთი) - 1.5%
სხვები - 12.9%

**წლის საუკეთესო მწვრთნელი**

**1. ჟოზე მაურინიო ("პორტო"/"ჩელსი") - 35.5%**
2. ოტო რეჰაგელი (საბერძნეთის ნაკრები) - 26.4%
3. არსენ ვენგერი ("არსენალი") - 10.0%
4. ფრანკ რაიკაარდი ("ბარსელონა") 3.5%
5. რაფაელ ბენიტესი ("ვალენსია"/"ლივერპული") - 3.3%
6. კარელ ბრუკნერი (ჩეხეთის ნაკრები) - 1.7%
7. დიდიე დეშამი ("მონაკო") - 1.3%
8. კარლო ანჩელოტი ("მილანი") - 1.1%
9. ფაბიო კაპელო ("რომა"/"იუვენტუსი") - 0.8%
10. დევიდ მოიესი ("ევერტონი") - 0.4%
სხვები - 16.0%

**წლის საუკეთესო გუნდი**

**1. საბერძნეთის ნაკრები - 25.1%**
2. "არსენალი" - 24.8%
3. "პორტო" - 16.0%
4. "ბარსელონა" - 4.0%
5. "მილანი" - 3.1%
6. ჩეხეთის ნაკრები - 2.6%
7. არგენტინის ოლიმპიური ნაკრები - 2.2%
8. "ვალენსია" - 2.0%
9. ბრაზილიის ნაკრები - 1.7%
10. "მონაკო" - 1.1%
სხვები - 17.4%

# "ჩემპიონები დაბრუნდნენ!"

ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურში "პორტუს" მიერ ლონდონის "ჩელსის" დამარცხების შემდეგ პორტუგალიური გაზეთი "ა ბოლა" გამოვიდა მყვირალა სათაურით, რომელსაც, ალბათ, ყველა პორტუგალიელი გულშემატკივარი მოაწერდა ხელს: "ჩემპიონები დაბრუნდნენ!"

იმის გარდა, რომ "პორტუმ" თავიდან აიცილა არასასურველი პერსპექტივა, ადრეულ ეტაპზე გამოთიშოდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას და გამხდარიყო პირველი გუნდი, რომელმაც ლიგის მოგების შემდეგ ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია, გუნდმა კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ვიქტორ ფერნანდესის გუნდმა მოახერხა და უსიამოვნო წუთები უკან მოიტოვა. "პორტუმ" დაამარცხა იმ ადამიანის გუნდი, რომელსაც ბოლო დროის "პორტუს" ყველა გამარჯვება უკავშირდება. ეს ადამიანი ჟოზე მოურინიოა.

"ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და გადავლახეთ მათი მიუდგომელი ბარიკადები", - ამბობს დერლეი, რომელმაც ლუის ფაბიანოსა და ბენი მაკარტისთან ერთად პორტუგალიელთა შეტევის ტრიუმვირატი შექმნა. ამასთან, ლუის ფაბიანოსთვის "ჩელსისთან" შეხვედრა პირველი იყო თითქმის ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, რაც ტრავმით იყო გამოწვეული.

შეტევა შეტევად, მაგრამ მატჩის 34-ე წუთზე "პორტუმ" გაუშვა დამიენ დაფის მიერ დარტყმული ბურთი და მდგომარეობა თითქოს გამოუვალი გახდა. ჯგუფის მეორე მატჩში მოსკოვის არმიელები პარიზში "პარი სენ-ჟერმენს" ამარცხებდნენ. "პორტუმ" კი ბოლო ორი შეხვედრა სწორედ მინიმალური ანგარიშით დაუთმო "ბოავიშტასა" და "ბეირა მარის", ხოლო სამშაბათამდე კლუბს მიმდინარე სეზონში არც ერთი დრამატული მატჩი თავის სასარგებლოდ არ შემოუტრიალებია.

ამ ყველაფრის გარდა, საყურადღებო იყო ის ფაქტიც, რომ "ჩელსის" დაცვას პორტუგალიელთათვის კარგად ნაცნობი რიკარდუ კარვალიუ და პაულუ ფერეირა შეადგენდნენ, ხოლო მოურინიოს, რომელმაც "პორტუსთან" ერთად უეფას თასს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც მიაყოლა, "დრაგაუს" სტადიონზე არც ერთი მატჩი არ წაეგო.

თუმცა, ყველაზე წარმოუდგენელ სერიებსაც კი დასასრული აქვთ. ამაში პორტუგალიელი გულშემატკივარი მატჩის 86-ე წუთზე დარწმუნდა, როცა ბენი მაკარტიმ თავით გაგზავნა ბურთი პეტერ ჩეხის კარში და გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა. "ბედნიერი ვარ, - მსაჯის ფინალური სასტვენის შემდეგ ემოციებს ვერ ფარავდა ვიქტორ ფერნანდესი, - ბედნიერი ვარ გუნდის, გულშემატკივრისა და კლუბის პრეზიდენტის ჟორჟ ნუნუ პინტუ და კოშტას გამო".



*"პორტუ" იაპონიას ამაღლებული განწყობით ეწვია.*

"ჩელსისთან" გამარჯვებამ "პორტუს" საშუალება მისცა, მხრებიდან ჩამოეგდო მძიმე ტვირთი, რომელსაც პორტუგალიასა და, ალბათ, მთელ ევროპაში "მოურინიოს ერას" უწოდებდნენ. ძველი გუნდის ახალთან შედარება კლუბის ახალ მწვრთნელ ვიქტორ ფერნანდესს (ამ პოსტზე მან შეცვალა ლუიჯი დელ ნერი, რომელსაც ოფიციალური მატჩების ჩატარებამდე დაატოვებინეს თანამდებობა) იმთავითვე ხელს უშლიდა და მასზე ფსიქოლოგიურად მოქმედებდა.

ელდერ პოშტიგას დაბრუნებამ, ლუის ფაბიანოს, რიკარდუ კვარეჟმასა და უაღრესად ნიჭიერი ბრაზილიელი პლეიმეიკერის დიეგოს შეძენამ, რომელიც კლუბს თითქმის 7 მილიონი ევრო დაუჯდა, "პორტუს" საშუალება მისცა, სრულიად აღმოეფხვრა, ჟოზე მოურინიოს, რიკარდუ კარვალიუს, პაულუ ფერეირასა და "ბარსელონაში" გადასული დეკუს წასვლით გამოწვეული დეფიციტი და, ფაქტობრივად, ძველი ძალა დაებრუნებინა.

ბოროტი ენები ამტკიცებდნენ, რომ "პორტუში" განხეთქილება იყო. ფერნანდესი და მაკარტი (ეს უკანასკნელი მწვრთნელმა თავის დროზე ვიგოს "სელტადან" გააგდო), ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. თუმცა, "ჩელსის" დამარცხების შემდეგ ფერნანდესმა სიხარულით გააქარწყლა ეს ჭორები: "როგორც ყოველთვის, მან კარგად ითამაშა", - განაცხადა "პორტუს" მწვრთნელმა.

მაკარტისა და ვიქტორ ფერნანდესის შერიგება შეიძლება გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდეს და მის წარმატებებში გადამწყვეტი როლი შეასრულოს. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ საკონტინენტთაშორისო მატჩის წინ, რომელიც კვირას იაპონიაში გაიმართება, "პორტუმ" საბრძოლო ჟინი დაიბრუნა.

"ჩვენ მატჩი აღმავლობით დავასრულეთ. გამარჯვებამ კი გუნდზე დადებითად იმოქმედა. თუმცა, მატჩის მსვლელობისას რამდენიმე ფეხბურთელმა მიკროტრავმა მიიღო, - გვიამბობს ლუის ფაბიანო, - ვიმედოვნებ, რომ გამარჯვების იმპულსი კვირას წარმატების მოპოვებაში დაგვეხმარება". "პორტუს" გამარჯვება საკონტინენტთაშორისო თასზე მხოლოდ დაადასტურებს იმას, რაც გუნდის ყველა გულშემატკივარს პირზე აკერია - "ჩემპიონები დაბრუნდნენ!"

# შემაკავშირებელი

გასული კვირა "მილანის" ბრაზილიელი გამთამაშებლის კაკასთვის უაღრესად მშვიდი გამოდგა. მან მხოლოდ 4 წუთი დაყო მინდორზე ჩემპიონთა ლიგის მეექვსე ტურში გლაზგოს "სელტიკთან" შეხვედრაში. "როსონიერის" მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ ამ პოზიციაზე სარეზერვო ფეხბურთელებისთვის თავის გამოჩენის საშუალება მიეცა.

22 წლის ფეხბურთელის თამაშმა წლეულს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი ძალისხმევით "მილანმა" იოლად დაძლია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი, როცა მეხუთე ტურში - 4:0 გაანადგურა დონეცკის "შახტარი". ამ მატჩში თვითონ ბრაზილიელმა დუბლი შეასრულა. ამ დღეებში კაკამ სიამოვნებით უპასუხა გულშემატკივართა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

2003-2004 წლების სეზონში კაკას "მილანის" შემადგენლობაში სენსაციური დებიუტი ჰქონდა. იმ წელს კლუბმა თავისი არსებობის ისტორიაში მე-17 "სკუდეტო" მოიგო. ამიტომ წლევანდელ სეზონში ბრაზილიელ ნახევარმცველს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ. "უკვე ყველა მიცნობს და კარგად იცის ჩემი თამაშის მანერა", - ამბობს კაკა.

კაკა ჩემპიონთა ლიგის გასულ ტურნირშიც იცავდა "მილანის" ღირსებას. მაშინ ტურნირის მეოთხედფინალში იტალიელები ლა კორუნიას "დეპორტივოს" გადაეყარნენ. პირველი მატჩი "სან-სიროზე" "მილანმა" დამაჯერებელი ანგარიშით - 4:1 მოიგო, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში - 0:4 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა. სწორედ ამიტომ ბრაზილიელი, რომელშიც 2003 წელს "მილანმა" 8,5 მილიონი ევრო გადაიხადა, მიიჩნევს, რომ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

"ესპანეთში შარშან გამართულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსაჯის საფინალო სასტვენამდე მინდორზე მოვლენები შეიძლება ბევრჯერ შეიცვალოს, - განმარტავს კაკა, - ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი გუნდი, რომელიც მუდმივად პირველობისთვის იბრძოლებს. ბუნებრივია, ჯილდო ჯერ კიდევ უნდა მოიგო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გასულმა სეზონმა მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც ბევრი რამ გვასწავლა".

ალბათ, შორიდან ყველაფერი, მართლაც, ასე ჩანს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ხუთ შეხვედრაში მიღწეულმა ოთხმა გამარჯვებამ "მილანს" საშუალება მისცა, "ბარსელონასთვის" გადაესწრო და ჯგუფში პირველი ადგილი დაემკვიდრებინა. კარლო ანჩელოტის გუნდი იტალიის ჩემპიონატშიც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. გუნდი ოთხი ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ ტურინის "იუვენტუსს", მაგრამ საინტერესო ის არის, რომ "მილანმა" მხოლოდ ერთი მარცხი განიცადა.



*კაკა: "მილანს" შესწევს ძალა "სკუდეტოც" მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაც".*

როდესაც ფანების შეკითხვებს პასუხობდა, კაკამ განაცხადა: "ჯერჯერობით არცთუ ისე ცუდად ვთამაშობთ. შარშანდელ სეზონთან შედარებით მხოლოდ ერთი განსხვავებაა. ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ვართ. შევჩენკო შესანიშნავ ფორმაშია. თამაშის ხარისხს ყოველდღიურად აუმჯობესებს ერნან კრესპო. არც ფილიპო ინძაგი უნდა დაგვავიწყდეს. ის გუნდს ახლო მომავალში დაუბრუნდება".

კაკა თავისი გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებულია, ამიტომ მისთვის სულ ერთია, ვინ შეხვდება "მილანს". "შიში? ჩვენ არავისი გვეშინია", - ხაზგასმით აღნიშნა ახალგაზრდა გამთამაშებელმა. ბრაზილიელის აზრით, მის გუნდს შესწევს ძალა, წლეულს იტალიის ჩემპიონატიც მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაც. "ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება, - ამბობს კაკა, - ისტორიას მსგავსი შემთხვევა ბევრი არ ახსოვს, მაგრამ იდეა მომწონს".

როგორც ჩანს, ბრაზილიელს ძალიან მოსწონს თავისი ფუნქცია კლუბში, რომელსაც ფეხბურთელი უწოდებს "შემაკავშირებელ რგოლს ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის". ყველაზე მეტად კაკას ხიბლავს პირდაპირ მცველებზე წასვლა და მათი მოტყუება. "ძალიან მიყვარს მეტოქის კარისკენ ბურთის თრევა, - განაცხადა კაკამ, - შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი საყვარელი ილეთია".

კაკას ისიც ჰკითხეს, თუ ვისთან მეგობრობს "მილანის" შემადგენლობაში. "რა თქმა უნდა, ბრაზილიელებთან, - უპასუხა ფეხბურთელმა, - ძალიან დიდ დროს ვატარებ ანდრეი შევჩენკოსთან. საერთოდ, ჩვენს გუნდში ფანტასტიკური ატმოსფეროა. ერთმანეთს კარგად ვუგებთ და არავითარი პრობლემა არ არსებობს".

კაკას ძალიან უყვარს გოლფის თამაში. ეს სახეობა რონალდომ შეაყვარა. თურმე ამერიკული საეკლესიო საგალობლებიც იტაცებს. "მილანის" გულშემატკივრები, ალბათ, მადლობას შესწირავენ ღმერთს იმისთვის, რომ ბრაზილიელს ფეხბურთის ასეთი ნიჭი უბოძა, თუ, რა თქმა უნდა, კაკა გუნდს ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დაეხმარება.

რაგბი

# 13 ჯობია თუ 15?

პაატა თოთაძე



თუ 15-კაცა რაგბში ვერ ივარგეთ, მიაკითხეთ 13-კაცას.

გააჩნია, რა შემთხვევაში. შემთხვევა კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. დავიწყოთ იმით, რომ ზოგს ლიგის რაგბი მოსწონს, ზოგს - კავშირისა ანუ 13-კაცა, ზოგსაც - 15-კაცა. გემოვნებაზე კი, მოგეხსენებათ, არ დავობენ. ამას გარდა, ლიგაში ლამის მთელი სათამაშო დროის განმავლობაში მხოლოდ ხელით თამაშობენ, შერკინება და ჯაჯგური არ არის. ამდენად, მოთხოვნები მოთამაშეთა ფიზიკური მონაცემებზე აქ ცოტა სხვაგვარია. ასე რომ, 15-კაცაში ხელმოცარულმა, შესაძლოა, 13-კაცაში იპოვოს თავი.

ცოტა ხნის წინათ ჩვენში სპორტის ამ სახეობის დამნერგავმა, გამავრცელებელმა და განმკარგველმა ფედერაციამ მედიასთან მოაწყო შეხვედრა, რომელზეც დაწვრილებით ისაუბრა ამ სახეობასა და იმ სიკეთეზე, რომელიც მან შეიძლება მოუტანოს ქართულ საზოგადოებას. არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ 15-კაცა რაგბისთან მხოლოდ სახელი (ისიც ნაწილობრივ) და ოვალური ბურთი აკავშირებს, სხვა მხრივ კი ჩვენი სახეობა დამოუკიდებელია კავშირის რაგბისგანო. მიუხედავად ამისა, რაგბის კავშირთან თანამშრომლობაზე უარს არ ვიტყვით, პირიქით, ძალიანაც გვინდაო და ნათქვამის დასადასტურებლად ფაქტები დაასახელა. კერძოდ, კალენდარს იმგვარად შევადგენთ, მორაგბეებს ჩვენთანაც შეეძლოთ თამაში და 15-კაცაშიც, თანაც, მზად ვართ, მათთან ერთად სტადიონი ავაშენოთო.

ცხოვრებაში ასეა: სუსტს ძლიერი უდგენს თამაშის წესებს და უმეტესად მისი კარნახით მიდის ყველაფერი. ამ ორი სახეობიდან ჩვენში 15-კაცაა ძლიერი. ამდენად, საწყის ეტაპზე ლიგა იძულებულია, მისი თამაშის წესებით ითამაშოს - კალენდარი ისე ააწყოს, რომ მოთამაშეებს ორივეგან მიეცეთ თამაშის საშუალება, თორემ დიდი საფრთხეა იმისა, რომ "ახლები" ხელმოცარულნი დარჩნენ. რაც არ უნდა იყოს, 15-კაცა რაგბის ჩვენში გარკვეული ტრადიცია აქვს. ჰოდა, თუ საქმე ასარჩევად ექნებათ, უმეტესობა სწორედ ამ ტრადიციულის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს. ეჭვი არაა, ადრე თუ გვიან, ბევრს არჩევანის გაკეთება მოუწევს. როგორც არ უნდა შეადგინონ კალენდრები ფედერაციებმა, რომელიმე ეტაპზე ისინი აუცილებლად გადაკვეთენ ერთმანეთს და მოთამაშეებსაც მაშინ მოუწევთ არჩევანის გაკეთება. მაგრამ იმ ეტაპზე ლიგა, ალბათ, უფრო მომძლავრებული იქნება და, შესაბამისად, უფრო თამამადაც იმოქმედებს. მით უმეტეს, რომ ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციაა, რაზეც მისი გეგმებიც მეტყველებს. ყველაფერის მიუხედავად, სულაც არაა შეუძლებელი, სპორტის ეს ორივე სახეობა საერთო საქმის სამსახურში ჩადგეს. თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ნავარაუდევია, ყველას წაადგება. ლიგაში, როგორც ზემოთ ვთქვით, ძირითადად, ხელით თამაშობენ. ასე რომ, ამ საქმეში ისინი უფრო გაწაფულები არიან. ამასთან, ლიგის მწვრთნელებს ხშირად იწვევენ 15-კაცაში უკანა ხაზისა და დაცვის მწვრთნელებად. ლიგაში წასული ჩვენი მოთამაშეებიც უფრო დაოსტატდებიან ხელით ბურთაობაში, რაც, უდავოდ, წაადგება კავშირს. შესაძლებელია ლიგის ნაკრების მწვრთნელის ცოდნის გამოყენებაც. ახლა კი ასე ამბობენ, მაგრამ მომავალშიც ეგრე იფიქრებენ? - ეჭვი გაუჩნდა ზოგიერთს კავშირში. ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი კია, დამოუკიდებელ სახეობას განვითარების საკუთარი გზა აქვს და, ბუნებრივია, მუდმივად სხვისთვის მოსაწონ საქმეებს ვერ გააკეთებს. ახლა მთავარია, ორი სახეობის ფედერაციებმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიონ, რომ საერთო საქმეს არა ევნოს, თორემ ჩვენში არაა იმდენი რესურსი, ორივეს გასწვდეს. მოთამაშეთა გადანაწილება და ერთმანეთისთვის წაგლეჯა კი არც ერთს წაადგება და არც მეორეს. კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც, შესაძლოა, სიკეთე მოუტანოს საერთოდ ქართულ რაგბის, კონკურენციაა. ლიგის შემოსვლით კავშირს საფიქრალი მოემატა. ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციას მოთამაშეთა გადაბირების მეტი შანსი აქვს. ამდენად, მათ დასაკავებლად კავშირსაც მოუწევს სიახლეების შეტანა თავის მუშაობაში.

ყოველივე აქედან გამომდინარე კი, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სათაურში გამოტანილი კითხვა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჯობს, საერთოდ არ გახდეს დასასმელი.

მოკლედ

# გვეშინოდეს ცაციასი?!

*თუ ხელჩართულ ჩხუბში მოგიხდათ გადაშვება, მარტო ის ინატრეთ, რომ თქვენი მეტოქე ცაცია არ იყოს. ცნობილი ამბავია, რომ ჩხუბში ცაციებს მემარჯვენეებთან უპირატესობა აქვთ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ საყურადღებოა კრივი, თუმცა, ეს საკითხი მეტად აქტუალურია ჩოგბურთელებისთვისაც. ყოველ შემთხვევაში, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფრანგი მეცნიერები.*

მონპელიეს უნივერსიტეტის მკვლევართა თქმით, ადამიანები ყველაზე ნაკლებად მოელიან მარცხნიდან დარტყმას. თუმცა, ისევე როგორც მემარჯვენეებს, ცაციებსაც აქვთ ერთგვარი დისკომფორტი, რა თქმა უნდა, მემარჯვენეებთან შეხლისას, მაგრამ გარკვეული უპირატესობა მაინც მათ მხარესაა. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს პარადოქსთან, რომელიც დღემდე მეცნიერთა სჯაბაასის საგანი გამხდარა.

მაინც რას ასკვნიან მეცნიერები? მათი მტკიცებით, ცაციებს ბევრად უკეთესი შედეგები აქვთ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორებიცაა ფარიკაობა, კრივი, ჩოგბურთი და ბეისბოლი. იმავე მეცნიერთა მოსაზრებით, სპორტის ამ სახეობის ზოგიერთი მიმდევარი შეიძლება ასე იყოს კლასიფიცირებული: "წინააღმდეგობის განსაკუთრებული სახეობა მკაცრი წესებით, მათ შორის მკვლელობის აკრძალვა და მეტოქის განგებ დაშავება".

საგულისხმოა, რომ იგივე უპირატესობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას საბრძოლო მოქმედებებისასაც. მეტიც, მეცნიერებმა გაბედეს და დაასკვნეს, რომ აგრესიული საზოგადოების უმეტესობა ცაციები უნდა იყვნენ.

მეცნიერებმა ხანგრძლივი კვლევისა და ძიების შემდეგ რვა ეთნიკური ჯგუფის მონაცემები გააანალიზეს, მათ შორის დომინიკანელი - კრეოლების, კამერუნელი - ნტიმუს, ბურკინა-ფასოს - დიულას დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობის, გაბონის - ბაკას, ირანის - ინუიტებისა და ახალი გვინეის - ეიპოს ტომისა.

იმავე მეცნიერებმა ცაციათა მხრიდან ჩადენილი მკვლელობების პროცენტულობაც დაითვალეს და დაასკვნეს, რომ ამ ციფრებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. მაგალითად, დიულებს შორის ათას სიკვდილზე წელიწადში ერთი მკვლელობა მოდის. ცაციები კი დიულას ენაზე მოსაუბრეთა შორის 3 პროცენტს შეადგენენ. იმავდროულად, ეიპოს ტომში მკვლელობა სამჯერ ხშირად ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ახალი გვინეის ეიპოს ტომში ცაციები 20 პროცენტს შეადგენენ.

თუმცა, ფრანგ მეცნიერთა მოსაზრებებს არ იზიარებს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ფსიქოლოგიის პროფესორი კრის მაკმანუსი. მას მიაჩნია, რომ ცაციებს, მართლაც, შეუძლიათ, გარკვეულ სახეობებში უპირატესობა ჰქონდეთ, მაგრამ საეჭვოდ ეჩვენება, უფრო სწორად, პესიმისტურად აფასებს იმის შესაძლებლობას, რომ ეს ყველაფერი შეიძლება აგრესიულობაზეც აისახოს, ისევე როგორც საზოგადოებაში ცაციათა რაოდენობაზე.

მაკმანუსს მიაჩნია, რომ გამოკვლევათა სტატისტიკა არასაკმარისია შორს მიმავალი დასკვნების გასაკეთებლად. აქვე გთავაზობთ გამოჩენილ ცაციათა ნუსხას:

**ალბერტ აინშტაინი, ბილ გეიტსი, მფატრავი ჯეკი, ჯონ მაკინროი, მარი კიური, პელე პოლ მაკარტნი, უინსტონ ჩერჩილი, უსამა ბინ ლადენი.**

ფორმულა 1

# „სილვერსტოუნი" გაფორმებული და დამტკიცებულია!

ბიბა ბურასაშვილი

*როგორც იქნა, კამათსა და გაურკვევლობას ბოლო მოეღო. "ბრიტანეთის დიდი პრიზის" მასპინძელი - "სილვერსტოუნი" სამშვიდობოს გავიდა. ბრიტანელ მრბოლთა კლუბსა და ფორმულა 1-ის მამებს შორის "სამშვიდობო ზავი" დაიდო - "სილვერსტოუნის" ტრასა სამეფო რბოლების საასპარეზო არენად დარჩა. ის 2005 წლის კალენდარში შეიტანეს.*



"სილვერსტოუნის" ტრასა "სამეფო რბოლებს" კიდევ უმასპინძლებს.

"ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის" განაჩენის გამოტანას ალბიონელები დღემდე ელოდნენ. მათდა საბედნიეროდ, გუშინ მონაკოში, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის თავყრილობაზე, "სილვერსტოუნს" მწვანე შუქი აუნთეს.

მხარეები შეთანხმდნენ. გაფორმდა კონტრაქტი, რომელსაც 2009 წელს გაუვა ვადა.

მანამდე კი ბრიტანული ავტოდრომის მეპატრონენი ამტკიცებდნენ, რომ ფორმულა 1-ის იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი "სილვერსტოუნისგან" ძალზე დიდ თანხას ითხოვდა. რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა ვაჭრობა. კერძოდ, იმაზე, თუ როგორ განისაზღვრებოდა კონტრაქტის ხანგრძლივობა. ეკლსტოუნი, სულ ცოტა, 7-წლიან ხელშეკრულებას ითხოვდა. ბოლოს მხარეებს შორის დავა იმდენად გამძაფრდა, რომ ეკლსტოუნმა საკუთარ ადვოკატებს მოსთხოვა, ბრიტანეთის კლუბის პრეზიდენტის სერი ჯეკი სტიუარტის მიმართ ცილისწამებისთვის სარჩელი აღეძრათ. თუმცა, მერე, როდესაც ბრიტანეთის სპორტის სამინისტრო საქმეში ჩაერია, ვნებათაღელვა ჩაცხრა. მიღწეულ იქნა კომპრომისი: ფორმულა 1 გაისად 19 ეტაპს უმასპინძლებს.

"მოხარული ვარ, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ", - მოგვიანებით თქვა 74 წლის ეკლსტოუნმა.

როგორც "ჯორდანის" მეპატრონემ ედი ჯორდანმა განაცხადა, "დიდი პრიზების რბოლათა ისტორია ყოველთვის "სილვერსტოუნის" ირგვლივ ტრიალებდა (ბრიტანეთი და "სილვერსტოუნი" ფორმულა 1-ის დაბადებიდან, 1950 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად მასპინძლობს ჩემპიონატს.-რედ.). ამიტომაც იყო, რომ სამეფო რბოლების საჯინიბოები (ათიდან ექვს საჯინიბოს ბრიტანეთში აქვს ნავსაყუდელი.-რედ.) შეთანხმდნენ, 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეეგროვებინათ, რათა ახალი სეზონის "დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი" ფინანსურად წელგამართული ყოფილიყო.

"დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის (გუშინდლამდე "საფრანგეთის დიდი პრიზის" მომავალიც გაურკვეველი რჩებოდა.-რედ.) რბოლები კალენდარში რჩება, - მონაკოში თავდაჯერებულმა განაცხადა ეკლსტოუნმა. ძალიანაც არ მინდოდა, ამ აბსურდში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ რა ვქნა, ასე გამოვიდა".

თავის მხრივ, კონფლიქტის მოგვარებით კმაყოფილებას არ ფარავს ბრიტანეთის სპორტის მინისტრი რიჩარდ კებორნი: "მშვენიერი დღე გაუთენდა ქვეყანაში ავტოსპორტის მომავალს. ჩვენ საკუთარი სახსრების ინვესტირებას მოვახდენთ "სილვერსტოუნზე". ამჟამად ერთობლივად ვმუშაობთ "East Midland Development Agency"-თან, რათა ტრასის საწარმოო ინფრასტრუქტურა შევიმუშაოთ".

ასე და ამგვარად, ქვეყნის ხელისუფლებამ ყურად იღო ჯეკი სტიუარტის მოწოდება, რომელიც ხელისუფლებისგან "სილვერსტოუნის" დახმარებას ითხოვდა. დღეის შემდეგ "ბრიტანეთის დიდ პრიზს" სამეფო რბოლების მასპინძლობის უფლება გარანტირებლი აქვს ხუთი წლით.

გთავაზობთ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ გუშინ დამტკიცებულ 2005 წლის კალენდარს:

| | | |
|---|---|---|
| ავსტრალია | - | 6 მარტი |
| მალაიზია | - | 20 მარტი |
| ბახრეინი | - | 3 აპრილი |
| სან-მარინო | - | 24 აპრილი |
| ესპანეთი | - | 8 მაისი |
| მონაკო | - | 22 მაისი |
| "ევროპის დიდი პრიზი" | - | 29 მაისი |
| კანადა | - | 12 ივნისი |
| აშშ | - | 19 ივნისი |
| საფრანგეთი | - | 3 ივლისი |
| დიდი ბრიტანეთი | - | 10 ივლისი |
| გერმანია | - | 24 ივლისი |
| უნგრეთი | - | 31 ივლისი |
| თურქეთი | - | 21 აგვისტო |
| იტალია | - | 4 სექტემბერი |
| ბელგია | - | 11 სექტემბერი |
| ბრაზილია | - | 25 სექტემბერი |
| იაპონია | - | 9 ოქტომბერი |
| ჩინეთი | - | 16 ოქტომბერი |

TV-სპორტი

**შაბათი. 11 დეკემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV. სეზონი 1998-1999. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "HOUSTON ROCKETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. პსჟ - ცსკა
14:10 "ფუტბოლისტიკა"
14:40 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:10 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "ლივერპული". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:30) - თავისუფალი დარტყმა
17:35 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "შტუტგარტი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მარსელი" - "ოსერი". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:05) - თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "პორტსმუტი"
23:00 "FUTBOL MUNDIAL"
23:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკი" - "ატლეტიკო. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:45) - თავისუფალი დარტყმა
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "INDIANA PACERS" - "SACRAMENTO KINGS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
09:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:00, 12:40, 15:45, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 "ნოკაუტი" - ტელეჟურნალი
10:55 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
11:25 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
12:10 "ჰოკეი-პლუს"
12:55 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ქალები. ვაჟები. 30 კმ. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში. ვაჟები. სწრაფდაშვება
17:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები. სუპერგიგანტი
18:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ფინალი ინგლისში
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
22:25 ფიგურული სრიალი. პროფესიონალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:40 01:40-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვიტალი კლიჩკო - დენი უილიამსი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**
10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
12:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ბობსლეი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ავსტრიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
21:15 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. ფინალი
22:15 სნოუბორდი. პირდაპირი ტრანსლაცია ავსტრიიდან
23:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
23:45 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. ფინალი
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი. ჩემპიონთა საღამო
03:45 ახალი ამბები.





ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ერთი კვირის შთაბეჭდილებები

## ცალფეხზე დგომისთვის განწირულები

თბილისის ამჟამინდელი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ ათი წლის წინ ქართლის დედის შესახებ დაწერილმა ფილოსოფიურმა ტრაქტატმა ისეთი უცნაური აჟიოტაჟი გამოიწვია, თითქოს ზიგმუნდ ფროიდის და ნებისმიერი ხელოვნების ნიმუშის ინდივიდუალური აღქმის შესახებ არაფერი გაგვიგია. ცალკეული ადამიანის, თუნდაც მომავალი თბილისის მერის ხედვა ასეთი იყო და ეს მისი პიროვნული უფლებაა, რომელსაც შეიძლება დაეთანხმო ან არა, მაგრამ ამისგან ამხელა ხმაურის ატეხვა იაფფასიან შანტაჟს უფრო წააგავს, ვიდრე ქართლის დედის უმანკოების სრულიად არასაჭირო ადვოკატობას.

თბილისს ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე, მართალია პატარა, ახალი ქანდაკება შეემატა, რომელთა მიმართ, არაფილოსოფიური ხედვისა და ფროიდის არმიმდევრობის მიუხედავად, ჩემი ინდივიდუალური ასოციაციები შემექმნა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ქალაქის მერი და, შესაბამისად, შანტაჟის ობიექტი ვერასდროს გავხდები, ეს კი საკუთარი აზრის გამოთქმის კიდევ უფრო მეტ სითამამესა და თავისუფლებას მაძლევს. გმირთა მოედანზე, აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალის წინ და 55-ე საშუალო სკოლის გვერდზე ორი ქანდაკება - ქალის ფიგურა დაიდგა. ეს ორი ქანდაკება, ისევე როგორც ყველა ქალი, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ასევე, როგორც ყველა ქალი, რაღაცით გავს ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ ორივე ქალბატონი ჰაეროვანი, ქალური, ნაზი და ლამაზია, ასევე ორივე, რატომღაც მათი ავტორების მიერ ცალ ფეხზე დგომისთვის არის განწირული. სრულიად არაბუნებრივი, არაკომფორტული, მოგონი-





ლი პოზების მქონე ქანდაკებების ტენდენცია თბილისში შოთა ყავლაშვილის უცნაური ძეგლის დადგმით დაიწყო და ახლა მას ეს ორი ქალიც შეეწირა. დაღუპულთა მემორიალის წინ ცალ ფეხზე მდგომ ქალს სიმბოლიკის თვალით თუ შევხედავთ და დაღუპული შვილების მოტირალ საქართველოდ აღვიქვამთ, მაშინ მის უხერხულ პოზაში ჩვენი ქვეყნის არასიმყარე, ცალ ფეხზე დგომა შეიძლება დაინახო. წინა ათწლეულის განმავლობაში ამგვარი სიმბოლური "საქართველო" მაშინ მწოლიარე უნდა ყოფილიყო. ახლა კი, ჩვენდა სასიხარულოდ, ცალ ფეხზე მაინც მოახერხა წამოდგომა. მართალია, ჯერ ცოტა ბარბაცებს, ყანყალებს, მაგრამ მაინც უძლებს, დგას და იმედია, იდგება. 55-ე სკოლის წინ დადგმული სიმბოლური "დედა" ჩქარობს, აგვიანდება, ერთი შვილი პირველ კლასში მიჰყავს, მეორე კი ვერავის დაუტოვა და ხელში უჭირავს. უამრავი პრობლემა აწუხებს, ბევრი საქმე აქვს და გარბის. თუ ამ "დედასაც" სიმბოლიკის კუთხიდან შევხედავთ, აბსოლუტურად სწორია, რომ ჩქარობს, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შვილების პირველ კლასში შეყვანა მართლაც დაგვიანდა და ჯერჯერობით ისეთივე არამყარი, საფუძველგამოცლილია, როგორც ამ "დედის" ფეხის ცერებზე მდგომარე პოზა.

იმედი მინდა ვიქონიო, რომ მოვა დრო, როდესაც ქვეყანა და, შესაბამისად, მისი სიმბოლური ქანდაკებები ლოგიკურად ორივე ფეხზე მყარად დადგებიან. ეს კი იმის ნიშანი იქნება, რომ საქართველოც ამოისუნთქებს, ქანდაკებებიც დაისვენებენ და ჩვენც, მათი არამყარი ყანყალის შემხედვარეებიც, დავმშვიდდებით.

## "Придурков всюду хватает"

ქართული მასმედიის, მისი პლუსებისა და მინუსების, ობიექტურობისა და ანგაჟირების გარჩევას ნამდვილად არ ვაპირებ. უბრალოდ, მის ერთ საკმაოდ უცნაურ, მაზოხისტურ თვისებას მინდა შევეხო. ოსეთში, აფხაზეთში ან, თუ გნებავთ უკრაინაში, ამ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გაანალიზების, შეფასების მიზნით ჩვენი წამყვანი ჟურნალისტები მხოლოდ და მხოლოდ რუსული პოლიტიკის სრულიად დისკრედიტირებულ პერსონებს იწვევენ. მათთან "ექსკლუზიური" ინტერვიუების ასაღებად იბრძვიან, ნერვიულობენ, რუსულის არასაკმარისი ცოდნის გამო ელემენტარულ პოლემიკაშიც კი მარცხდებიან და თუ რისთვის არის საჭირო ამდენი წვალება, გაუგებარია. ზატულინი, ბაბურინი, გრიზლოვი, ჟირინოვსკი და სხვა მისთანები ჩვენთვის ასეთ მწვავე საკითხზე ექსპერტებად მოჰყავთ და მათი ფაშისტურ-კომუნისტურ-შოვინისტურ-იმპერიული ხედვის პოპულარიზაციასა და იდეალიზაციას ახდენენ. გამაგებინეთ, მათი წინასწარ ცნობილი აზრი, პოზიცია ვის აინტერესებს, ვინ გულუბრყვილო ელის მათგან რაიმე ახლის, ოდნავ ობიექტურის მოსმენას? ვინ არ იცის წინასწარ პასუხი მათთვის დასმულ ნებისმიერ კითხვაზე. რუსული პოლიტიკა, ისევე როგორც ქართული ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის პოლიტიკა, სხვადასხვა ტიპის პერსონაჟებიდან შედგება. მოდით, ჩვენს თავში ჩავიხედოთ და ვთქვათ, რამდენად მოგვეწონებოდა, რომ ჟურნალისტები და მით უმეტეს უცხო ქვეყნის, ყველაფერზე აზრს მხოლოდ და მხოლოდ შალვა ნათელაშვილს, გოჩა ფიფიას ან ჯონდი ბაღათურიას ეკითხებოდნენ. რუსეთშიც, მერწმუნეთ, ზუსტად ასეა. უამრავი ისეთი პოლიტიკური პერსონა არსებობს, რომლის მოსაზრება ბევრად უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი და ობიექტურია, რომელთა ინტელექტი იმის ღირსია, რომ მათი ხედვით, აზრით დავინტერესდეთ. ჩემთვის პირადად სრულიად აუხსნელია, რატომ ვკარგავთ დროს, ფულს, საეთერო წუთებს, ნერვებს და მაზოხისტურად ვცდილობთ, ბაბურინისგან ან ჟირინოვსკისგან, თუნდაც შეურაცხყოფის, ზიზღის ფასად მოვისმინოთ ის, რაც ისედაც შესანიშნავად, ფაქტობრივად, ზეპირად ვიცით. ამით ხომ ქართულ-რუსული ურთიერთობისთვის სასიკეთო არაფერი ხდება. პირიქით, რამდენიმე ავანტიურისტის გამო ზოგადად რუსეთზე ვბრაზობთ, ვღიზიანდებით. არადა, რუსეთი მხოლოდ ჟირინოვსკით და, თუ გნებავთ, პუტინითაც კი არ შემოიფარგლება. თუმცა, ისევე როგორც საქართველო ნათელაშვილით.

"Придурков всюду хватает" - ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, მიხეილ სააკაშვილმა ასე უთხრა ჟირინოვსკის და მეც აბსოლუტურად ვეთანხმები.

## დედიკოს ბიჭი

დარწმუნებული ვარ, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში თითოეულ თქვენგანს ერთი ისეთი კლასელი გყავდათ, რომლის დედა წამდაუწუმ სკოლაში მორბოდა, მასწავლებლებს ეჩხუბებოდა, დირექტორის კაბინეტში სკანდალით ვარდებოდა, შვილის თანაკლასელებს მის გაცდენა-გაფუჭებაში ადანაშაულებდა და სხვისი შეურაცხყოფის ხარჯზე საკუთარი შვილის სრულ იდეალიზაციას, გაფეტიშებას ცდილობდა. შედეგი კი ის იყო, რომ ასეთი დედის შვილებს არავინ ემეგობრებოდა, ენდობოდა, შატალოზე წასვლასაც არ სთავაზობდა.

ზუსტად ასეთი კლასელი მეც მყავდა და ძალიან კარგად მახსოვს, მთელი კლასის მისადმი და დედამისისადმი დამოკიდებულება. ვიცინოდით, მასთან მეგობრობას ვერიდებოდით, სტუმრად არ დავდიოდით და დაბადების დღეებზე არ ვპატიჟებდით. ჩემს ბავშვობაში ასეთ დეფიციტურ და სანატრელ საღეჭ რეზინსაც კი არასდროს ვთხოვდით, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდით, ასეთ წვრილმანზეც კი დედამისი მოგვაკითხავდა და პასუხს მოგვთხოვდა. ამ კვირაში ტელეეთერის მეშვეობით აღმოვაჩინე, რომ დედის კალთას ამოფარება ასაკობრივი სინდრომი არ ყოფილა და მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიის განათლების სამსახურის უფროსის მოადგილე არც ჩემი სკოლელი და არც კლასელი ყოფილა, მისი მოხსნის შემდეგ პოლიტიკოსი დედამისის, ელენე თევდორაძის მერიაში მივარდნა და "ჩემი შვილი, ჩემმა შვილმა, ჩემ შვილს, ჩემი შვილისნაირის" ძახილმა ზუსტად ის კლასელი და მისი დედა მომაგონა, რომლებსაც ბავშვობაში ასე დავცინოდით. ვერ გეტყვით, რომ ახლაც გამეცინა. უბრალოდ, გამიკვირდა, არ მოველოდი. პოლიტიკოსი, რომელსაც ადამიანთა უფლებების დაცვა ავალია, თავისი საკუთარი შვილისადმი ასეთი სუბიექტური როგორ უნდა იყოს? მის ზრდასრულ თავმოყვარეობას არა მთელი კლასის, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე ოდნავი ანგარიში როგორ არ უნდა გაუწიოს? ამდენი წლის "ინტელიგენტის" იმიჯი ერთი ხელის მოსმით როგორ უნდა დაამსხვრიოს? ემოციები ოდნავ მაინც არ გააკონტროლოს და საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მისცეს? თუ ეს პოლიტიკოსების უფლებაა?

## კამერაში ჩაიხედეთ!

ნებისმიერი ცივილური ქვეყნის პრეზიდენტის ტელეეთერში გამოჩენა, მისი რიგითი ბრიფინგი, ინტერვიუ პრესსამსახურის მიერ წინასწარ საგულდაგულოდ მზადდება. თუ პრეზიდენტი ექსპრომტად, მოულოდნელად უნდა გამოვიდეს და რაიმე განცხადება ან მიმართვა გააკეთოს, მაშინაც კი შესაბამისი პროფესიონალების მიერ გათვლილი, ნაფიქრი და გათვალისწინებული უნდა იქნას სად, როგორ, რის ფონზე დაჯდება თუ დადგება ქვეყნის პირველი პირი. ამ კვირაში ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა საქართველოს პრეზიდენტის სრულიად არაექსპრომტული განცხადება მედიის გადასახადებისგან გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი უზარმაზარი ტელევიზორის უკანა ნაწილის ფონზე აკეთებდა. თითქოს ეს პიროვნება ქვეყნის პრეზიდენტი კი არა, ნოლაიდელის მიერ გამოძახებული ტელევიზორის ხელოსანია, რომელიც ხელოსნებისთვის ჩვეულად, საქმის გაკეთების მაგივრად ჩამოჯდა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე ტელევიზორის მფლობელს ესაუბრება, ტელევიზორი კი შემობრუნებული, შესაკეთებლად გამზადებული დარჩა და შველას ელოდება.

ძალიან საინტერესოა, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი განცხადებას აკეთებს, მისი პრესსამსახური რითია დაკავებული? ამ საკმაოდ საპასუხისმგებლო სამსახურის ერთმა თანამშრომელმა მაინც რატომ არ შეიძლება, კამერაში ჩაიხედოს და კადრი შეასწოროს? რამდენიმე წუთით ტელევიზორის კადრიდან გაწევა ან თუნდაც ეკრანით შემობრუნება ნუთუ ასეთი რთული იყო?

## კარნავალი თუ ჰიპოკრატეს ერთგულება

საქართველოში ახალდანიშნულ მინისტრთა შორის დიდმა ნაწილმა მათზე დაკისრებული იმედი გაამართლა. ზოგიერთმა კი პირიქით, თავი ვერ გაართვა. ზოგიერთი, მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრი, დაკისრებული პასუხისმგებლობისა და არსებული პრობლემებისგან ასაკისთვის შეუფერებლად გაჭაღარავდა. შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოსავლურ ბრძენს ბაძავს და მოკლე-მოკლე სიბრძნეებს ქადაგებს. ლომაია ჰოლივუდში გადაღებული ფატალური ფილმის მთავარ გმირს დაემსგავსა. ზურაბიშვილმა რუსულიც კი ისწავლა. ბენდუქიძე აცეკვდა და ა.შ. მაგრამ ზოგიერთის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა საცოდაობა იყო. ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი ექიმის კეთილშობილ პროფესიას ვერა და ვერ ელევა და ჰიპოკრატესთვის მიცემულ ფიცს ვერ ჰღალატობს. მინისტრი ტელეეკრანებზე ხან ბახილებში, ხან პირბადით, ხან ხელთათმანებში და ხან ურთულესი ოპერაციისთვის ან კარნავალისთვის შესაფერის თავსაბურავებში გვევლინება. იმედი მაქვს, რომ ლადო ჭიპაშვილს თავი კოსტიუმირებულ შოუზე არ ჰგონია და, უბრალოდ, პროფესიონალიზმს ვერ ელევა. მაშ საცოდაობა ხომ არ არის, ამგვარი სულით და გულით ქირურგის საოპერაციო მაგიდას მოწყვეტა და ჩინოვნიკად გადაქცევა.

# ათი წლის წინანდელი კაბა გუდის არომატით







თბილისის, როგორც ევროპისა და აზიის გასაყარზე არსებული ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე აღმოსავლური კოლორიტი, ისევე როგორც აზიის უმეტეს ქვეყნებში, ბაზარი იყო. თბილისურ ბაზარზე, მის სილამაზეზე, სიუხვეზე, კოლორიტულობაზე, სპეციფიკურ ხმაურზე, ფერადოვნებაზე, ეგზოტიკურობაზე არაერთი რამ დაწერილა, კინო თუ ფოტო გადაღებულა, ნახატი დახატულა. საქართველოში არც ერთი ტურისტი, სტუმარი ისე არ ჩამოსულა, რომ ბაზარი არ მოენახულებინა. გასაყიდი პროდუქტები პირდაპირ დახლთან არ გაესინჯა. ვაჭრობის საინტერესო, აზიური ბაზრისთვის დამახასიათებელ ტრადიციას არ გაცნობოდა. ერთი-ორი ფოტო არ გადაეღო და თბილისის მოსაგონებლად თან არ წაეღო.

ბაზარში სიარულისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს. ზოგიერთს ძალიან ეზარება და ამ ბოლო წლებში ყველა ქუჩის კუთხეში გახსნილი პროდუქტების პატარ-პატარა მაღაზიებით კმაყოფილდება. ზოგიერთისთვის კი ბაზარში წასვლა მთელი რიტუალია, რომელსაც უფრო ხშირად კვირა დღეს ასრულებენ. ძალიან ბევრი ისეთი ოჯახი ვიცი, სადაც ბაზარში ყოველ კვირას ოჯახის უფროსი დადის, საათობით დახლიდან დახლთან გადადის, გამყიდველებს ევაჭრება, ესაუბრება, ეხუმრება, ეჩხუბება. ყველის თითქმის ყველა თავს სათითაოდ სინჯავს. საკუთარი მეხორცე ჰყავს, რომლისგანაც საუკეთესო ნაჭრებს ყიდულობს. ხილის თვალისმომჭრელ დახლებთან ყურძენს მოსინჯავს, ვაშლს გააჭრევინებს, ბროწეულს გაახლეჩინებს და ბოლოს, ბაზარში გატარებული საათების შემდეგ, კარგად გამძღარი, ნასიამოვნები, ნავაჭრი, დატვირთული ყვავილების რიგშიც ჩაივლის, ცოლისთვის ერთ სიმბოლურ თაიგულს მაინც იყიდის და კმაყოფილი სახლში ბრუნდება. ნახევარი კვირა დღეც გავიდა!

არ ვიცი, რამდენად ჭკვიანურია ჩემი მხრიდან იმის აღიარება, რომ მართალია ბუნდოვნად, მაგრამ "ვერის ბაზარი" მაინც მახსოვს. მახსოვს და რა ვქნა! ისიც მახსოვს, ჩემი ორივე ბებია სიკვდილამდე ამ ბაზარს, როგორც ყველაზე მოხერხებულს, უხვსა და ხარისხიანს როგორ მისტიროდა. "ვერის ბაზრის" გაუქმების შემდეგ თბილისის ცენტრალურ უბნებს - "საბურთალოს", "კოლმეურნეობის" და "დეზერტირების" სამი ბაზარი ემსახურებოდა. "დეზერტირების" ბაზრის სიდიდის, სიუხვისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, თბილისელების საყვარელი ბაზარი "კოლმეურნეობის" იყო. მისასვლელად ადვილი, ულამაზეს შენობაში განლაგებული, ძალიან სწორად, ჭკვიანურად ორ სართულზე კომფორტულად განაწილებული, შედარებით სუფთა, მყუდრო, ნათელი "კოლმეურნეობის" ბაზარი თბილისელებს წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა და ერთ მშვენიერ დღეს მასიური ევროპიზაციისა და პრივატიზაციის უაზრო მსხვერპლად იქცა. ბაზარი შენობის ბნელ, პირველ სართულზე შეტენეს. ხორციდან დაწყებული, კარტოფილითა და ხილით დამთავრებული, ყველაფერი ერთად შეკუჭეს და ზედა სართულზე კი "ელიტარული" ბუტიკების მთელი ქსელი გაგვიხსნეს. მომხმარებელს რკინის ლოგიკა გააჩნია და ყოველივე ალოგიკურს სკეპტიკურ-ცინიკური იუმორით, მაგრამ პრინციპულად უყურებს. "კოლმეურნეობის" ბაზრის ზედა სართული იქ გამძვინვარებული უკაცრიელობით მსოფლიოს არც ერთ "შოპინგ ცენტრს" არ ჰგავს. აბა, ვინ ჭკუათმყოფელი მივა ყოფილი ბაზრის, დღეს კი ნახევრად ბაზრის ტერიტორიაზე ან ყავის დასალევად, ან თეთრეულის საყიდლად, ან, მით უმეტეს, ხუთი-ათი წლის წინანდელი ცნობილი მოდელიერის 500-1000-დოლარიანი კაბის საყიდლად? ხუმრობენ, თუ დღეს ასეთ მოდურ სიტყვა "მარკეტინგში" მართლა ასე კარგად ერკვევიან? თუ ამ ფასის კაბის ყიდვა მომინდება და შევძლებ, პირველ რიგში, ვეცდები, რომ წინა წლის მოდელი მაინც ვიშოვო და თანაც ისეთი, რომელსაც უნებლიეთ ხორცის, მჟავე კომბოსტოსა ან, კიდევ უარესი, გუდის ყველის სუნი არ ექნება შეპარული. უცნაური, ალოგიკური მეთოდებით მოგვინდა ევროპისკენ მიჩოჩება. ჯერ იყო და, "ევროპულ" ყაიდაზე საათი გადავწიეთ და შედეგად ნახევარ დღეს უკუნეთში ვატარებთ. ახლა კი თბილისის კოლორიტული ბაზრის "გასვეცკება" მოვინდომეთ. დარწმუნებული ვარ, რომ "კოლმეურნეობის" ბაზრის "შოპინგ ცენტრის" სრული არარენტაბელურობის გამო მფლობელები თავის იდეას უკვე ნანობენ. კარგი იქნება, თუ ძალას მოიკრებენ, ლოგიკას მოუხმობენ, "მარკეტინგის" ვინმე სპეციალისტს დაეკითხებიან და საკუთარ შეცდომას აღიარებენ. ამით ადგილების არასაკმარისობის გამო გარემოვაჭრეების არსებულ პრობლემასაც გადაჭრიან, "კოლმეურნეობის" ბაზარს ბაზრის ფუნქციასაც დაუბრუნებენ და საკუთარ ფინანსურ მდგომარეობასაც, მგონია, გაიუმჯობესებენ. აბა, ცარიელი სავაჭრო ცენტრი ვის რად უნდა?

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მოგვბეზრდა და დავიღალეთ. ჩვენი დედაქალაქის სილამაზის, კომფორტისა და ტრადიციების ხარჯზე მერამდენე ექსპერიმენტი უნდა ტარდებოდეს? დროს გადაწევენ - გადმოსაწევია, "სამკუთხედს" მოიფიქრებენ - გასაუქმებელია, ქვაფენილს დააგებენ - ასაყრელია, შენობას ააშენებენ - დასანგრევია, ბაზარს მოსპობენ - აღსადგენია. ჩვენ ხარჯზე სწავლობენ თუ რაშია საქმე? მოეშვან ველოსიპედების გამოგონებას და ასე სანატრელ ევროპას თვალი ცოტა უფრო დაკვირვებით გადაავლონ. ევროპაში რა-რა და, ტანსაცმელიც, პარფიუმერიაც, საპარიკმახეროებიც და კვების პროდუქტებიც, როგორმე, ჩვენზე არანაკლებად გააჩნიათ. ოღონდ აი, ვის უნახავს, რომ კაბა, პალტო, ლიფი და კამამბერი ერთად იყიდებოდეს?

თუ ევროპა გვინდა, რომ ვიყოთ - ვიყოთ, სიამოვნებით, მაგრამ რაც აზიისგან კოლორიტული, ღირსშესანიშნავი გვაქვს, იმასაც ცოტა დაფიქრებით მოვუაროთ და მოსახლეობის კომფორტზეც ოდნავ მეტი ვიზრუნოთ. სხვათა შორის, ამაზე ევროპაშიც და აზიაშიც ფიქრობენ. ამაში მხოლოდ ჩვენ ვართ გამონაკლისი.

## ფოტოგალერეა



ორნი. ავტორი: იური ლობოდინი

## TV პროგრამა

### 10 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქალაქის მაძიებლები" **12.20** "გაიღიმეთ ფარული კამერაა" **12.50** მხ. ფილმი "ზორსალინო და კომპანია" (გ) **15.20** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **17.00** სერიალი "ვიდრე ხვალ" **18.00, 21.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი "ეის ვენტურა" **22.00** "ფსიქო"- მხ. ფილმი "ჩაშხამებული აპრილი". რეჟ. ვალტერ სალესი. **01.20** მხ. ფილმი "მეომარი" (18)ყ

**TV5**

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** გადაცემა: აღმოჩენა. **14.05** არტ რეპორტაჟი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **23.00** ტყის მაწანწალები. დოკ.ფილმი. **24.30** აბრეშუმი და ნაცარი. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ ოტმეზგინი 2003. **04.20** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

**პირველი არხი**

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) მე-2ს. **09.20** იმღერე რამე **09.50** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.10** მხ. ფილმი "ნაზი კანი" **14.10** დოკ. ფილმი "ხეები" **16.00** მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" **17.00** დოკ. ფილმი "ამერიკული კინო" **18.00** ვესტნიკი **18.40** "იმღერე რამე" **19.05** "ტელეზღაპარი" **19.20** "დრო და ადამიანები" - შვეიცერი **19.40** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **20.35** მუს. ოქტაგონი - ჯ. სეფიაშვილი **21.25** საღამოს საუბარი **22.10** სპექტაკლი "სტელა და ავი სული" **00.45** მხ. ფილმი "მოკვეთილი" (გ)

**კავკასია**

**15.00** მხ. ფილმი "დიდი ზომა" (გ) **17.00** ქართული მუსიკა **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** "ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** "საწინდარი" **21.30** მხ. ფილმი "მეტრო" (გ) **23.00** გადაცემა "კალმახები" **23.30, 00.30** ქართული მუსიკა

**მზე**

**09.00** მუსიკა მზეზე **09.30** მულტსერიალი "რედვოლი" **10.00** საბ. სერიალი "ოდისეა" **10.30** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **11.30** შემეცნებითი პროგრამა "ექსტრემალური ამბები" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.15** მხ. ფილმი "დისწული" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** შემეცნ. გასართ. პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "კარაბინერები" **20.30** მუსიკ. კონკურსი "ჯეოსტარი" **22.00** მხ. ფილმი "იტალიური დამწყებთათვის" (12) (ანდერს ბერტელესი) **00.00** ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი.

**მეორე არხი**

**19.00** საცირკო სანახაობა **19.50** საქართველო არის ესე **20.15** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.10** "იმღერე რამე" **21.30** ფრაგმენტები სურათისთვის **22.00** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **22.15** ასე ვცხოვრობთ **22.35** მხ. ფილმი "ლაზარე" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "სამი მამაკაცი და ჩვილი" (გ) **19.40** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ჩემი ქალიშვილის ტოლი" (12)

**იმედი**

**08.50** ანიმაციური ფილმი "პრინცესას სასახლე" **09.50** მხ. ფილმი "მაღალი ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლებით" (გ) **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "კლიპ-ლოტო" **12.40, 16.15, 02.40** ტვ-მარკეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15, 02.30** ქრონიკა **13.15** მხ. ფილმი "სუნამო" (გ) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.05** მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (გ) (ჰ. გრანტი) **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **00.20** "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" **01.35** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.10** იმედის მელოდიები

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** მხ. ფილმი "იაზონი და არგონავტები" **11.00** "გადარჩენილი სიტყვა" **11.30** მუსიკა **11.45** "სტარტი" (განმ.) **12.15** კომედია "ჩარლის ანგელოზები" **14.05** დრამა "თოჯინები" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **16.15** მულტფილმი **17.20** "ჭიტაჭიტა" **17.45** თრილერი "ძარცვა" **19.35** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "დიდი ცუდი სიყვარული" **23.00** მიუზიკლი "ევიტა"

**ОРТ**

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал "Кошки-мышки". **06.30** Борис Щербаков в боевике **"ВЫКУП"**. **08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.20** "Смак" **10.30** "Любовные истории". Игорь Бочкин. **11.10** Док. фильм "Романы Матильды Кшесинской". **12.20** История с географией "Укротители крокодилов". **13.10** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". **13.40** Питер О'Тул в фильме **"ТРЮКАЧ"**. **16.10** Финал "КВН-2004". Премьер-лига. **17.50** Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. **18.10** Криминальная Россия. "Предъявите валюту". **1**-я с. **18.40** "НОВЫЕ ПЕСНИ О ГЛАВНОМ". **20.00** "Кто хочет стать миллионером?". **21.00** Время. **21.20** "Последний герой". Суперигра. **22.30** "Золотой граммофон". **23.30** Курт Рассел в боевике **"ПОБЕГ ИЗ ЛОС-АНДЖЕЛЕСА"** **01.30** Жан Рено в комедии **"МЕЧТА РОЗАННЫ"** **03.20** Майкл Китон в фильме **"ГАЗЕТА"**

**НТВ**

**06.00** Мультфильм "Каштанка". **06.30** Борис Химичев в фильме **"ДВОЙНОЙ ОБГОН"**. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Боцман и попугай". **08.25** Сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА"**. **08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.15** "Растительная жизнь" **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! Беспредельщики. **13.50** Марат Башаров в фильме **"СВАДЬБА"**. **16.20** "Женский взгляд". Максим Дунаевский. **16.55** Своя игра. **17.55** "Школа злословия". Ток-шоу **19.40** Профессия - репортер. "Гражданская оборона". Фильм Ильи Зимина. **20.10** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ПРИВАТИЗАЦИЯ"**. **21.20** Шарлиз Терон в остросюжетном фильме **"24 ЧАСА"** **23.40** Майк Тайсон. Лучшие бои. **Майк Тайсон - Клиффорд Этьен. 00.15** Вечер памяти погибших в Чечне. **01.15** Алисия Сильверстоун в остросюжетном фильме **"НЯНЯ"** **03.05** Футболлистика. **03.40** Сериал **"КЛАН СОПРАНО"**.

## სკანვორდი




1. რაიმე პროცესის ან მოვლენის ძირითადი თვისება; 2. სპორტული ნაგებობა; 3. ბაზალტების ანალოგიური ეფუზიური ქანი; 4. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 5. ერთნაირი ზომის უჯრედებისაგან შემდგარი ძირითადი ქსოვილი მცენარეებში; 6. ერთ ხაზზე გამწკრივებული ოთახების რიგი; 7. სიტყვებისა და გამოთქმების მარაგი; 8. ნიჩბიანი სპორტული ნავი; 9. სატანვარჯიშო იარაღი; 10. ლეგენდარული რუსი ტანმოვარჯიშე ქალი; 11. იტალიელი კინომსახიობი; 12. სიგრძის საზომი ერთეული; 13. თავთავიანი პურეული მცენარე; 14. ზღვისპირა ქალაქი საბერძნეთში; 15. მცენარეთა სამყარო; 16. ტროპიკული ქარი; 17. ქრისტიანული ტაძრის ნაირსახეობა; 18. მუქი ფერის ლუდი; 19. კლავიშებიანი სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. შინაური ფრინველი; 21. არაფორმალური, ახალგაზრდული, საპროტესტო მოძრაობა საქართველოში; 22. იუპიტერის თანამგზავრი; 23. კრისის როლის შემსრულებელი ფილმში "შესანიშნავი შვიდეული"; 24. სპორტის სახეობა; 25. შოტლანდიის ადმინისტრაციული ცენტრი; 26. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მეთაური გერმანიაში; 27. ორკორპუსიანი ნავი ან ხომალდი; 28. ხელოვნების მუზეუმი მადრიდში; 29. მაღალი რანგის, კეთილმოწყობილი სასადილო; 30. ახლომხედველობა; 31. სასადილო-დუქნის პატრონი ან დახლიდარი ძველად; 32. პერსონაჟი ოპერიდან "აიდა"; 33. დაბალი და ხშირი ბუსუსები ზოგი ქსოვილის კარგ პირზე.

# ანჯელინა ჯოლი

## რუსეთიდან, მაგრამ გლების გარეშე

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

2004 წელი ჰოლივუდის ვარსკვლავის ანჯელინა ჯოლისთვის მაღალ ნოტაზე მთავრდება. ახლახან წამყვანმა ამერიკულმა მამაკაცების ჟურნალმა "ესკვაიერმა" ძლიერი სქესის ყველა წარმომადგენლის სახელით იგი აღიარა პლანეტის "ყველაზე სექსუალურ ქალად", ამ დღეებში ეკრანზე გამოვიდა ბლოკბასტერი ალექსანდრე მაკედონელზე, "ალექსანდრე", სადაც "ყველაზე სექსუალური" იპყრობს მსოფლიოს დამპყრობელს.

ჰოლივუდში ხუმრობით ამბობენ, რომ ანჯელინას დიდი ტუჩები აქვს, გული კი უფრო დიდი. რაც შეეხება ტუჩებს, ეს ჩვენთვის ცნობილია ეკრანიდან. მის დიდ გულს კი ადასტურებს სამი წლის მედოკსი. თუმც მედოკსი სუფთა ანგლოსაქსური სახელია, ის კამბოჯელია. ანჯელინამ იგი იპოვა მრავალტანჯული კამბოჯის ერთ-ერთ უპატრონოთა სახლში, პირველივე შეხედვით შეუყვარდა და წაიყვანა შტატებში.

პატარა კამბოჯელის ბედმა კინოვარსკვლავის ბედზეც მოახდინა გავლენა. გაეროს ლტოლვილთა საკითხების უმაღლესმა კომისარიატმა ამ სფეროში მოღვაწეობის გამო ანჯელინას კეთილი ნების ელჩის ტიტული მიანიჭა. სწორედ ამ, და არა ჰოლივუდის ვარსკვლავის სახით, ჯოლი ესტუმრა მოსკოვს. როგორც სხვა ქვეყნებში, მან აქაც დაათვალიერა ბავშვთა სახლები და საავადმყოფოები, შეისწავლა ბედით განწირული ბავშვების მდგომარეობა. ანჯელინა მოსკოვის №13 ბავშვთა სახლშიც იყო. აქ მამაკაცთა გულების დამპყრობი, თვითონ მოიხიბლა არა ალექსანდრე მაკედონელით, არამედ ცისფერთვალება, ქერათმიანი პატარა ანგელოზით, შვიდი თვის გლებით. ანჯელინას და გლების ფოტოებმა რუსული და მსოფლიო ბეჭდვითი პრესა მოიარა და ოკეანის ორივე მხარის ზოგიერთ ტაბლოიდში გააჩინა ეჭვი, რომ სამი წლის კამბოჯელ მედოკს მალე რუსეთიდან შვიდი თვის ძმა, გლები გაუჩნდება. ამ ჭორებს რაღაც საფუძველი ჰქონდა. ჯერ კიდევ სამი თვის წინ ამერიკის ტაბლოიდებმა განაცხადეს, რომ ანჯელინას გადაწყვეტილი აქვს იშვილოს რუსი ბავშვი და რომ უკვე ხელთ აქვს დოკუმენტები ბედნიერი ბავშვის სახელის გამოტოვებით. სახელი კი ჩაიწერება, როცა მსახიობი "შესაფერის კანდიდატურას" შეარჩევს (ფუ, რა სიუხეშეა!). ტაბლოიდებმა ისიც გაიხსენეს, რომ 2003 წლის აგვისტოში მოსკოვში ყოფნისას, ანჯელინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იური ფედოტოვთან ვახშამზე დაინტერესდა რუსეთში შვილობის პირობებით. არა როგორც გაეროს ელჩი, არამედ ქალი. ალბათ, არაუმიზეზოდ.

ამგვარად, თითქოს ყველაფერი აწყობილი იყო, მაგრამ... არ გამოვიდა. ჭორები გლების შვილობაზე არ გამართლდა. მსახიობის მენეჯმენტის სააგენტოს წარმომადგენელმა ჯერ რუსულად მითხრა "არა", მერე კი ინგლისურად: "ენჯი რუსეთში იმისთვის იყო, რომ ენახა ბავშვთა ჰოსპიტლები, სადაც მკურნალობენ ბავშვებს ბესლანიდან". ანჯელინას პირადმა წარმომადგენელმა, ბრაინ ლივიმ კი დაუმატა: "ამ ისტორიაში ერთი გრამი სიმართლეც არაა. მე არ ვიცი შვილობის არავითარი გეგმები, ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის". თუმცა, ეს უარყოფა მომავალში ასევე შეიძლება იყოს უარყოფილი. თავის დროზე ანჯელინას გარემოცვა არანაკლებ დამაჯერებლად უარყოფდა ჭორებს იმის თაობაზე, რომ ანჯელინა შორდება თავის ქმარს, ბილი ბობი ტორტონს, მაგრამ ისინი მაინც გაშორდნენ. ასე რომ, გლებს, ან შეიძლება ბორისს აქვს შანსი გახდეს მედოკსის ძმა.

ჟურნალმა "სტარმა" ბოლო ნომერში გამოაქვეყნა გლების შვილობის მითის ექსკლუზიური გამოძიება, სადაც მოყვანილია №13 ბავშვთა სახლის დირექტორის სიტყვები: "შვილობის შესახებ საკითხი არც განხილულა. იგი მხოლოდ გვესტუმრა. მას უყვარს ბავშვები. მაგრამ, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, მას აქ არავინ უშვილებია". და მაინც, ბავშვთა



სახლის თანამშრომლებმა ტყუილად არ მოინდომეს - გახეხეს იატაკი, ჩაიცვეს სადღესასწაულო კაბები, წინადღით წავიდნენ საპარიკმახეროებში. ანჯელინა ჯოლი გაემგზავრა რუსეთიდან გლების გარეშე, მაგრამ სიყვარულით.

საინტერესოა, როდის მოინახულებს №13 ბავშვთა სახლს მეტრო "რიჟსკაია"-სთან, ან უფრო ბედნიერი ნომრით სხვა რომელიმე ბავშვთა სახლს თავისი გლების საპოვნელად არა ამერიკელი, არამედ რუსი კინოვარსკვლავი?

# ეს ის არის!



მონა - ასე უბრალოდ ჰქვია გოგოს, რომელიც სინამდვილეში ძალიან ბრალიანია. მასზე მთელი მოდის სამყარო ლაპარაკობს. კეიტმოსობას უწინასწარმეტყველებენ. დიდ იმედებს ამყარებენ.

მონა 17 წლის შვედი გოგოა, რომელიც სამი წლის წინ დოღზე აღმოაჩინეს. მისი დაყოლიება ძნელი აღმოჩნდა. გოგონა მხოლოდ დროის ნახევარს თუ უთმობდა სამოდელო საქმეს. თითზე ჩამოსათვლელ შეკვეთებს შორის იყო შვედური ჟურნალის "ფიორდებისთვის" გადაღებული ფოტოსერია, რომელშიც მონამ კეიტ მოსის საყოველთაოდ ცნობილი პოზები გაიმეორა.

ამასობაში დაამთავრა სკოლა, ორიოდე კვირის წინ ლონდონში ჩავიდა და პოდიუმით უკვე სერიოზულად დაინტერესდა. როგორც ვიცით, წარმატებისთვის ყოველთვის საჭირო ადამიანების გაცნობაა მთავარი. მონაც უცებ დაუმეგობრდა "ვოგის" დირექტორს ლუსინდა ჩემბერსს, სტილისტს კარლ ტემპლერს და ფოტოგრაფებს: ლორი ბართლის, პატრიკ დემარშელიესა და გლენ ლეჩფორდს.

მონას ანგელოზის სახე აქვს. ამიტომც ყველას ავიწყდება, რომ გოგონა თავის კოლეგებზე საგრძნობლად დაბალია (მისი სიმაღლე 5.7 ფუტია) და ნაკლის გამოსასწორებლად ყოველდღიურად მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე უწევს შედგომა.

მის სიმაღლეს არც დიზაინერები აქცევენ ყურადღებას. ჟურნალისტები კი ვარაუდობენ, რომ მონა მალე დიდ შოუებშიც მიიღებს მონაწილეობას.

"გააჩნია, როგორ გუნებაზეა. ამის მიხედვით მონა ხან კეიტ მოსს ჰგავს, ხან - ბრიჯიტ ჰოლს, ხანაც - აურიელ კლოდელს", - ამბობს ერთი ექსპერტი და იქვე დასძენს: "მოდის სამყარო ისეთ გოგონებს ეძებს, ძალიან ლამაზი, ნაზი და მსუბუქი გარეგნობა რომ აქვთ, ანუ ბრუკ შილდსის ტიპის ქალებს. მონა სწორედ ასეთია."

გაზაფხულზე ამ ანგელოზის სახეს მოდის მოყვარულები უკვე ყველგან ნახავენ - ბრიტანული "ვოგის" მარტის ნომრის გარეკანსა და იტალიური "ვოგის" აპრილის ნომრის გარეკანზეც.

# ამასაც გადავიტან

ჯეიმს ბრაუნს პროსტატის კიბო აღმოაჩნდა. რამდენიმე დღეში მუსიკოსი საავადმყოფოში დაწვება. "ცხოვრებაში ბევრი რამ გადამიტანია და ამასაც გადავიტან", - აღნიშნა 71 წლის ბრაუნმა კანადური ტურნეს დასრულების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს ბრაუნს კონცერტები აქვს დაგეგმილი ავსტრალიასა და აზიის ქვეყნებში.

ჯეიმს ბრაუნი ნახევარ საუკუნეზე მეტი სცენაზეა. ის ფანკის დამაარსებლებს შორისაა; მისი სახელი ხშირად ხვდებოდა გაზეთების კრიმინალურ ქრონიკებში. 1998 წელს მუსიკოსი ციხეშიც მოხვდა, სადაც ორწელიწადნახევარი გაატარა. წელს კი რიგით მეოთხე ცოლის ცემის გამო ათასი დოლარით დააჯარიმეს. ახლახანს ბრაუნმა სცენიდან წასვლის შესახებ მიანიშნა მსმენელს, უკანასკნელი ცნობა მის შესახებ კი ასეთი სამწუხარო აღმოჩნდა.

# კიდევ ერთი ვარსკვლავი ბავშვებისთვის



შოუბიზნესის მორიგმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა საბავშვო ლიტერატურაში საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა. ამჯერად ეს ვარსკვლავი გლორია ესტეფანია, რომელიც ამჟამად საბავშვო წიგნს წერს. ცნობილი კუბელი მომღერლის მთავარი ლიტერატურული გმირი იქნება ძაღლი, მეტსახელად ნოელი.

"ზოგიერთმა იცის, რამდენად ძლიერ მიყვარს ცხოველები. ყოველთვის ბევრი ცხოველი მყავდა სახლში. განსაკუთრებით, ძაღლები. მე მათთან საოცარ კავშირებს ვგრძნობ. ყველაზე ძალიან ჩემი ინგლისური ბულდოგი ნოელი მიყვარს. ის ჩემთან სრულიად შემთხვევით მოვიდა, მაგრამ ძალიან მალე გახდა ჩემი ოჯახის წევრი", - ამბობს მომღერალი. შეგახსენებთ, ამ დროისათვის უკვე მოასწრეს საკუთარი საბავშვო წიგნების გამოცემა მადონამ, ასევე მსახიობებმა - სპაიკ ლიმ და ბილი კრისტალმა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.